ს. უსთიუნგელი

საპყრობილე და „თავისუფლება“

თურქი კომუნისტის
ჩანაწერები

საბჭოთა მწერალი

1953

წინასიტყვაობა

1951 წელს შესრულდა ოცდაათი წელი თურქეთის კომუნისტური პარტიის დაარსების დღიდან. კომპარტიის ოცდაათი წლის არსებობის ისტორია — ეს არის მუშათა კლასის მეთაურობით თურქეთის ბშრომელთა მასების ბრძოლა პურისათვის, თავისუფლებისათვის. ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის. ამ ბრძოლაში კომპარტია ყოველთვის იყო თურქი ხალხის ერთადერთი ნამდვილი ხელმძღვანელი.

გააფთრებული ტეროროის პირობებში, რომელიც ფაშისტებმა თავს დაატეხეს ხალხს, თურქეთის კომპარტია უშიშრად ასრულებს ხალხთა მასების ორგანიზატორის მოვალეობას თურქეთის შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლისათვის. ემყარება რა მასებთან

კავშირს და რევოლუციურ მუშათა კლასს, ის იცავს ქვეყნის დამოუკიდებლობას. კომპარტია თურქეთის ერთადერთი ეროვნული პარტია.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თურქმა ხალხმა იმპერიალისტების წინააღმდეგ ეროვნულ-განთავისუფლებელ ბრძოლაში გაიმარჯვა მხოლოდ საბჭოთა კავშირის მორალური და მატერიალური მხარდაჭერით საბჭოთა კავშირიდან მას არა ერთხელ მიუღია უანგარო დახმარება. თურქეთის დამოუკიდებლობას საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე იცავდა მხოლოდ საბჭოთა კავშირი. ნუთუ ამის შემდეგ ცხადი არ არის, რომ თურქი ხალხისათვის საბჭოების ქვეყანასთან მუდმივი მეგობრობა წარმოადგენს სასიცოცხლო საჭიროებას? როგორც სუნთქვაა საჭირო ადამიანისათვის, რომ იცოცხლოს, ისე თურქეთის თავისუფლებისათვის, ბედნიერებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის საჭიროა მუდმივი მეგობრობა საბჭოთა კავშირთან. თურქმა ხალხმა იცის ეს. თურქი ხალხი ამას ელოდება! თურქეთის კომუნისტური პარტია ერთადერთი პარტიაა, რომელიც გამოხატავს ხალხის ამ სურვილს.

ხალხის მტრები, რომლებმაც იჯარით გადასცეს სამშობლო ამერიკელებს, ცდილობენ მიწასთან გაასწორონ, მოსპონ ჩვენი პარტია. მაგრამ მათ მოკლე ხელები აქვთ. ისინი უძლურნი არიან მოსპონ თურქეთის კომუნისტური პარტია, როგორც უძლურნი არიან მოსპონ თურქეთის მუშათა კლასი, თურქი ხალხი!

უსთიუნგელის „კომუნისტის ჩანაწერები"—ეს არის ფურცლები თურქეთის კომუნისტური პარტიის ჯერ

კიდევ დაუწერელი ოცდაათი წლის ისტორიიდან. ის მოგვითხრობს ამერიკის იმპერიალიზმისა და „ოიანამე-მამულე“ სისხლის მწოველთა წინააღმდეგ თურქი ხალხის ბრძოლაზე. მაგრამ უსთიუნგელის წიგნი მარტო ძვირფასი ისტორიული დოკუმენტი როდია. ის მე მიმაჩნია როგორც თურქული მოწინავე ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანი. მე იქიდან მესმის ჩემი ტანჯული ხალხის სატკივარი და გულისწყრომა, მასში ჟღერს მებრძოლი ხალხის ხმა, მისი რწმენა გამარჯვებისადმი.

მე მინდა აღვნიშნო კიდევ ამ წიგნის ერთი მნიშვნელოვანი მხარე. თურქი კომუნისტები მასში პირველად არიან მართლად ასახულნი, მათ ნათლად ხედავ და წარმოიდგენ. თურქულ ლიტერატურაში ჩვენი პარტიის ბრძოლის თემამ პირველად ჰპოვა ასეთი ცოცხალი, მგზნებარე გამოხატულება. კომუნისტები ძლიერნი არიან მასებთან მჭიდრო სიახლოვით. კომუნისტების მომხრე მუშების, გლეხების, ხელოსნების მართალ სახეებში უსთიუნგელის წიგნი გვიჩვენებს, რომ საპყრობილეშიც, ისე როგორც გარეთ, ეს სიახლოვე ურყევია. არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც მას გატეხს.

უსთიუნგელის „ჩანაწერები“ ნაწილ-ნაწილად იბეჭდებოდა იატაკქვეშა სტამბებში და ვრცელდებოდა კომპარტიის ორგანიზაციების მიერ. წიგნის დიდი ნაწილი გამოვიდა „ფოტოგრაფის“ სახელწოდებით. გარეკანზე დახატული იყო ფოტოაპარატი „კოდაკი“. ილუსტრირებული ფურცლები და ფოტოგრაფიის შესახებ რჩე-

ვა დარიგებანი ფარავდნენ საიდუმლო პოლიციისაგან წიგნის მებრძოლ, რევოლუციურ შინაარსს.

მამაცი პატრიოტები, განსაკუთრებით ახალგაზრდა მუშები, უშიშრად ავრცელებდნენ უსთიუნგელის არალეგალურ წიგნს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის მათ მოელოდათ სატუსაღო და საშინელი წამება საიდუმლო პოლიციაში. ამ წიგნის გამოცემამ ახალ საფეხურზე აიყვანა ჰერქვეშა კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვა და პროპაგანდის მეთოდები.

განვლო რა საპყრობილეს კედლები, „ფოტოგრაფმა“ ჩემამდისაც მოაღწია. მე ვხედავდი, თუ როგორ მღელვარებით კითხულობდნენ ამ წიგნს პატიმარი მუშები, ღარიბი გლეხები, ხელოსნები. მათი თვალები ნაპერწკლებს ჰყრიდნენ სიხარულისაგან, თითქოს მათ წინაშე იდგა სინათლის კაშკაშა წყარო, რომელიც გზას უნათებს მათ სიცოცხლისა და თავისუფლებისაკენ.

მე, როგორც თურქეთის კომუნისტური პარტიის წევრი, როგორც თურქი პატრიოტი, პროლეტარული ინტერნაციონალისტი და როგორც მწერალი-კომუნისტი ვამაყობ ამ წიგნით და მახარებს მისი რუსულად გამოცემა. დე, მან კიდევ უფრო მეტად განამტკიცოს დიდი საბჭოთა ხალხის მეგობრული გრძნობანი თურქეთის წამებულ მებრძოლი ხალხისადმი.

ნაზიმ ჰიქმეთი

„...საპყრობილეები, ჯურღმულები, სისხლი და ცეცხლი ვერ შეაჩერებენ ხალხის ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის... დე, ისინი, ვინც დღეს თურქეთის ხალხს ცრემლებს აღვრევინებს და ტანჯავს, ნუ დაივიწყებენ სისხლიანი სულთანების სამარცხვინო დასასრულს“.

მუსტაფა სუბხი

1920 წლის 10 სექტემბერი

ფოტოგრაფიის ნიგნაკი

შეიძლება გადაღება სხვადასხვა პოზიციიდან. ფოტოობიექტივებიც ხომ სხვადასხვანაირია. არ დაივიწყოთ, ეს ძალიან საყურადღებოა. ნუ დაივიწყებთ, რომ ფოტოგრაფებიც სხვადასხვანაირია. ზოგის გადაღებები ცხოვრებას ასახავენ, ზოგს კი სურათის მაგიერ გამოუდის შავი ლაქები.

არის ობიექტივები, როგორც უბრალო შუშა, — ისინი არ იძლევიან წარმოსახვის სიღრმეებს. დიდ სიამოვნებას წარმოადგენს ზღვის პეიზაჟის გადაღება მძლავრი ოპტიკის მქონე აპარატით. წარმოიდგინეთ:

ლურჯზე ულურჯესი ზღვა.
ცეცხლივით წითელი მზე...

.

პატარა წიგნაკი გარეკანზე ფოტოაპარატის გამოხატულებით... სტამბოლში ემინენის ხალხმრავალ გზაჯვარედინზე. სადაც ერთდება ექვსი ქუჩა, ფეხშიშველა ბიჭი ნაჩქარევად აწოდებდა მას გამვლელებს:

— როგორ უნდა ისწავლოთ გადაღება! ხუთი კურუში!* როგორ უნდა ისწავლოთ გადაღება!..

პატარა წიგნაკს, გარეკანზე ფოტოაპარატით, ნახულობდნენ ტრამვაის საჯდომებზე დილით ადრე აქსარიდან და ბებეკიდან** სამუშაოზე მიმავალი მუშები. ისინი ფურცლავდნენ მას და კითხულობდნენ:

ლურჯზე ულურჯესი ზღვა.
ცეცხლივით წითელი მზე...

გადაშლიდნენ მეორე გვერდს და კითხულობდნენ:

---

* კურუში—წვრილი თურქული ფული. (ყველა შენიშვნა ეკუთვნის რუსულ ენაზე მთარგმნელს).

** მუშათა რაიონები სტამბოლში.

... ზღვა ელავს მზეზე. ცეცხლად ლივ-
ლივებს. ლივლივებს გემბანი. ლივლივებენ
დაბორკილი ჩვენი ხელები. ქარი არხევს ჩემი
ამხანაგის ოქროსფერ, მეღალ თმებს, რომ-
ლებიც ცისფერ თვალებამდე ჩამოშლია. მის
ცისფერ თვალებში მზე ანათებს. მზეზე ლაპ-
ლაპებენ ჟანდარმების ხიშტები.

ბადრაგების თანხლებით ჩვენ ავდივართ
გემბანზე. გადავყავართ ერთი საპყრობილე-
დან მეორეში.

სამანქანო განყოფილების ბანის ქვენები-
დან ამოდის სულშემხუთავი, გავარვარებული
ჰაერის ნაკადი. დაბლა ყრუდ ხმაურობენ
მანქანები. ვიხედებით ბანის ქვენაში. მე-
მანქანეთა ფერმიხდილი, ოფლიანი სახეები
გეჩვენებათ ბზინვადაკარგულ სარკის ანარეკ-
ლად. ერთ-ერთი მზეთავი ჩვენ გვიცქერის.
კიდევ ერთი წამი და მისი ხელი მოჰყვა მო-
ძრავ ლილვში. მაგრამ მოასწრო ხელის ამო-
ღება. მხოლოდ საზეთე გამოგლიჯა ხელიდან,
გაიტაცა, წაიღო. როგორი დიდი თვალები
აქვს ამ მუშას, როგორი მკვეთრი, წაწვეტი-
ანებული სახის ნაკვთები! ოფლის ზეთიანი

მსხვილი წვეთები მის სახეზე გეჩვენებათ წამოსივებულ დაღებად.

საქვაბეში, გემის სულ დაბლა, ალის მოწითალო სინათლეში ირევიან წელამდე გაშიშვლებული მეცეცხლურები. ჯოჯოხეთური სიცხეა.

ზღვა კი ელვარებს, კრიალით თამაშობს. მზე წვავს გემის ბანს, რომელზეც მგზავრები გასაშრობად გადაჭიმულ ცხვრის ტყავებივით გაშხლართულან.

პირველი კლასის სალონიდან ისმის ფოქსტროტის ღრჭიალა ხმები.

ჩვენ ჩავყავართ ტრიუმში. იგი გატენილია ცხვრებით. აქვე გლეხები ერთმანეთს ცხვრებივით ეკვრიან. პირაღმა მწოლარე ორი მათგანი მღერის ეგინურ* სიმღერას.

დიდიხნის გაუსუფთავებელი ფარეხიდან ცხვირში გვხვდება მწკლარტე სუნი. რკინის ხელბორკილები ხელებს გვწვავენ.

---

* ეგინი—ცენტრალური ანატოლიის რაიონია, რომელიც არა ერთხელ ამხედრებულა ფეოდალების წინააღმდეგ და განუცდია მხეცური დასჯა.

გამოვყავართ ბანზე. კაპიტნის მესაბე თანაშემწე გემის ცხვირთან დგას, მექანიკოსი—კაბესტანთან. ემზადება ღუზის ჩასაშვებად...

ზღვის ნაპირი. ფორთოხლის ბაღები... მთებს შორის მიიკლაკნება მდინარე ასკეროსი. ფერდობებზე ხელისგულისოდენა სიმინდის ყანებია. წინ, პირდაპირ გემის მიმართულებით, კონცხზე უკვე კარგად ჩანს შუქურას თეთრი კოშკი, ფეოდალიზმის ძეგლი—„ქალწულის კოშკი“, ძველი ციხის სანგრები. ქალაქი ნახევარმთვარედ გაშლილა. მთების ფერდობებზე სახლებია აჩხორვილი.

გემი შედის ნავსადგურში. ღუზა რახრახით ეშვება ზღვაში. ჩვენ ქვესავლელ ბოგირს ჩავყევით.

ამ ქუჩებზე მიკქონდათ სანდიკჩი

ყანდარმები ნავსადგურში ხიშტების რგოლით გარსშემოგვერტყა; მივდივართ დამსკდარ ქვაფენილზე, ვიწრო დარაბებიან და დაქანებულ სახურავებიან დუქნების ახლოს.

აქ არის ხელოსანთა ბაზარი. მჭედლები, მექვაბეები, ფეიქრები, სარაჯები გვესალმებიან. ჩვენ წინ მიმავალი ჟანდარმერიის სერჟანტი ხიშტით ორად ჰყოფს ,ბრბოს. უკან ხალხი აგვედევნა. ჟანდარმების ნალდაკრული ჩექმები ქვებზე ბაკუნობენ.

— ვინ არიან? — გაისმის ხმები.

— პოლიტიკურები.

— კომუნისტები თუ?

— სწორედ ისინი. ნუთუ არ გაგიგია, რომ ისინი აქ მოჰყავდათ?

სიტყვები ხვდებიან სახლების კედლებს, გამოძახილი ქალაქში იფანტება.

ამ ქუჩებზე ჟანდარმების ბადრაგობით გავლისას, ჩემ თვალწინ კვლავ ცოცხლდება სისხლიანი სცენა, რომლის მოწმე მე ვიყავი ბავშვობაში.

...მე მაშინ, ალბათ, ვიქნებოდი ექვსი წლისა, მაგრამ ყველაფერი კარგად მახსოვს. კოკისპირული წვიმა მოდიოდა. ხალხი ისე. როგორც აი ახლა, ქუჩებში გამოეფინა. ფესკებიანი სულთანის ჟანდარმები თოფის კონდახებით ფანტავდნენ ,ბრბოს და გზას იკაფავდნენ. ერთ-ერთ ხიშტზე ადამიანის თავი

ქანაობდა. უკან კი მოჰქონდათ დიდ კეტზე მიკრული ადამიანის თავმოკვეთილი სხეული. ეს იყო სახალხო გმირის სანდიკჩი შუქრის ნეშტი. წლების მანძილზე მას შიშის ქვეშ ჰყავდა ახლო ადგილებში მცხოვრები მემამულეები და ქალაქელი მდიდრები.

ამ საშინელი მსვლელობის დანახვისას ხალხი ჩერდებოდა, ტიროდა, იწყევლებოდა.

ჩვენი ოჯახი მოდგმით სხვა ქალაქიდან იყო. მე აქ ნათესავებთან ვცხოვრობდი. სანდიკჩის დასჯის შემდეგ მალე წამიყვანა ბიძამ სტამბოლში. იგი კარგი, გულკეთილი ადამიანი იყო. საღამოობით ხშირად ჩამოჯდებოდა ხოლმე სკამზე ფანჯარასთან და, გაჰყურებდა რა სტამბოლის ციხის კედლებს, მარმარილოს ზღვას, შორეული მთების მწვერვალებს, მღეროდა დესტანს* სანდიკჩიზე. სანდიკჩი ნამდვილი გმირი იყო. უკანასკნელი ბრძოლის დროს ის ახალგაზრდა გლეხი ბიჭებით ებრძოდა სალდათების მთელ პოლკს. მთელი სიცოცხლის მანძილზე შემრ-

---

* დესტანი—ხალხური თქმულება.

ჩა ღრმა პატივისცემა ამ უბრალო გლეხისადმი, რომელმაც თოფს მოჰკიდა ხელი ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მედიცეგეები

მაღალი, ხავსმოდებული გალავანი გარშემორტყმია ქვიტკირის შენობას. მაღლა გალავანზე გაყოლებულია ეკლიანი მავთულები, კუთხეებში დგანან გუშაგები. რკინის ვიწრო ჭიშკარი მოედანზე გამოდის. ჭიშკრის ზემოთ წარწერაა: „ქალაქის მთავარი საპყრობილე“. ულვაშჭაღარა მედილეგე, ჯოხით ხელში, აღებს პატარა კვადრატულ კარებს. როგორც ბიდონის ყელში, ისე გვაძვრენენ ამ კარებში. ვიძირებით ბინდბუნდში. ისე მივდივართ ხელების ფათურით, თითქოს კატაკომბში შევდიოდეთ. დაბოლოს მედილეგე გვაჩერებს ერთ-ერთ კარებთან, რომელსაც აქვს წარწერა: „დირექცია“. მედილეგე ისწორებს ულვაშებს, ხელს აყოლებს მუნდირის ღილებს, ჩაახველებს და დაკაკუნების შემდეგ შეაღებს კარებს.

შევდივართ დაბალჭერიან ოთახში. იქ ყველაფერი თითქოს ბოლში ცურავს. ქაღალდებით სავსე ერთ-ერთ მაგიდასთან ზის ცხვირწვეტიანი, ვირთხისებური სახის კაცი და ფურცლავს საქმეებს. პირდაპირ, მეორე მაგიდაზე ნარგილა დგას, ისმის მისი ყრუ ბუყბუყი, შავგვრემან, მსუქან კაცს, რომელსაც ზორბა მუცელი ჩამოკიდებია, ხელში უჭირავს ნარგილას ტყავის მსხვილი მილი. მისი პირიდან და ცხვირიდან კვამლი ბოლქვად გამოდის. მის აქეთ-იქით სავარძლებზე მოკალათებულა ჟანდარმის ორი ოფიცერი. ერთი მათგანი ხელჯოხს იტყაპუნებს ჩექმის ყელზე, ამღვრეული თვალებით თავიდან ფეხებამდე გვათვალიერებს. ლაპარაკობს ისე, თითქოს კევს ღეჭავდეს და, აშკარა დაცინვის განზრახვით, ცბიერად გვეკითხება:

— კომუნისტები ხართ?

— დიახ, — ვპასუხობ დამშვიდებით.

ოფიცერს უწითლდება სახე, თითქოს სილა გააწნეს:

— ეჰე, რა გმირებია! ჩანს მათ[illegible] ყველაფერი სულ ერთია... მხოლ[illegible] კ[illegible]

ბუნიზმი ქემალურ თურქეთში არ გასაღდება; უმჯობესია ამ საქონლით აქეთ ნუ ეჩრებით!

— კომუნიზმი კარტოფილი არ არის, ბაზარზე არ იყიდება...—ოფიცერი თითქოს რაღაცამ წამოაგდო სავარძლიდან:

— ეგ ხუმრობა თქვენ ძვირად დაგიჯდებათ. მედილეგევ, წაიყვანე ისინი საპატიმრო ოთახში. ხელბორკილები არ მოხსნა, დე, ისწავლონ, თუ როგორ უნდა ლაპარაკი!

ოფიცერმა კარები ბრახუნით გააღო და გავიდა.

— ბატონო უფროსო, მათი წყალობით შენ ბევრი უსიამოვნების გადატანა მოგიხდება, — ეუბნება მეორე ოფიცერი მსუქან კაცს, რომელიც ნარგილას ექაჩება, — არ ვიცი, ესმით თუ არა მათ ზრდილობიანი მოპყრობა... მედილეგევ, შეხსენი მათ ხელბორკილები!

ვეებერთელა ახმახმა ლამის მაჯები ამოგვიგდო, მაგრამ ხელბორკილები არ შეგვხსნა.

— შენ გითხრეს—ხელბორკილები შეხსენიო! ხელებს რას მამტვრევ?—ეუბნება ჩემი ამხანაგი.

მსუქანი, რომელსაც უფროსს უწოდებენ, ტაკიმასხარაობს:

— ბატონო უფროსო მედილეგევ! იყავით უფრო თავაზიანი!

მე შევნიშნე, თუ როგორ უცნაურად არის ჩაცმული ეს „უფროსი“. ქვაბურა ქუდი, გაქონიანებული წამოსასხამი, წინწკლებიანი ხალათი უყელსახვევოდ, რაღაც შარვლისებური, ფეხებზე ვიწრო კალოშები კაუჭა ცხვირით.

ქვაბურა ქუდი ფესკის მაგიერ, წამოსასხამი ხალათის მაგიერ, რაღაც საშუალო ძველ აღმოსავლურ და ევროპულ შარვალს შორის, — ასეთია ციხის უფროსის ახლანდელი გარეგნობა, რომელიც აქ მსახურობს სულთან აბდულ-ხამიდის დროიდან. ასეთს „ცვლილებებში“ ჰპოვეს თავიანთი გამოსახულება იმ „უდიდესმა“ რეფორმებმა, რომლითაც ტრაბახობენ ქემალისტები.

მძიმე ამოსუნთქვის შემდეგ გაქონიანებულ მოსასხამში გახვეული მსუქანი კაცი ბრძანებს:

— მედილეგევ, აბა, წაიყვანე ისინი კა-

რანტინში. გაჩხრიკე როგორც საჭიროა. ქაღალდი ან ფანქრები არ ჰქონდეთ,—და დარიგების კილოთი დასძენს:—ოცდაათი წლის განმავლობაში მე ამ საქმეში დიდი გამოცდილება მივიღე. ოდესღაც მეც ამავე ციხეში ვიჯექი... ვინ არ მინახავს... ამათზე უფრო შმაგები მომითვინიერებია.

„მარადიული ქვა“

გავიარეთ რკინის ერთი კარები, მეორე, რომლის იქით პატარა, ვიწრო ეზოა. ნაირ-ნაირი ბრბო ზრიალით გვეგებება, მჭიდრო რკალად გვერტყმის.

მედილეგე ყვირის:

— შორს!.. ჩამოდექით გზიდან!

მას ყურადღებას არავინ აქცევს.

მაღალი ტუსაღი გზას უღობავს მედილეგეს. „შესდექი!“—ამბობს მისი მრისხანე გამოხედვა.

ყველა, ვინც ფეხს გადაადგამს ამ ორმოს ზღურბლზე, ჩვეულებისამებრ, ვალდებულია

წმინდაჯის — პატიმართა მფარველის — საპატივცემოდ ჩამოჯდეს ამ „მარადიულ ქვაზე“. ტუსაღი უთითებს ეზოს კუთხეში მიგდებულ ქვაზე.

დაფარა რა ხმაური, ვიღაცა ყვირის:

— ბოლშევიკო! ბოლშევიკო! სადა ხარ? შენიანები მოიყვანეს!

ჩვენთან მოვიდა 18-19 წლის ჭაბუკი. ჩამოგვართვა ხელი.

— გისურვებთ აქედან მალე გასვლას! ამბობს ის.

— გმადლობთ, ჩვენებურო!

ირგვლივ ისმის მხოლოდ:

— მალე გასულიყოთ... ალაჰმა ჯანმრთელობა არ მოგაკლოთ!

— ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან...

— სადაურებია? ვინ არიან, თურქები?

— რისთვის დაუპატიმრებიათ?

— ნუთუ არ გაგიგონია?—მათ უნდოდათ გლეხებისათვის მიწა მიეცათ!

— რა მიწა? ვის აძლევენ? დამაცათ, მეც შემახედეთ.

— მოითმინეთ თქვენ!.. ისინი დაღლილები არიან...

— ბოლშევიკო, დასვი შენიანები „მარადიულ ქვაზე“! აქეთ მოდი, ჩვენებურო!

— ეი, მოიტანეთ ყავა!

ჩვენ ვსხდებით „მარადიულ ქვაზე“.

ლაზების ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი, წელზე ქამარშემოჭირებული ახალგაზრდა გვაწოდებს სათუთუნეს:

— გასინჯეთ ჩემი თამბაქო, ჩვენებურებო!

და ყოველი მხრიდან გვაწოდებენ სათუთუნეებს, ქისებს, პორტსიგარებს.

— ჩემი გაახვიეთ... ჩემი მოსწიეთ.

ყველას თვალები ჩვენსკენ არის მოპყრობილი. როგორი ღრმაა ეს თვალები! და ამავე დროს თითქოს არაფრის დამნახველი გამოხედვა.

აქ ყველა უადგილოდ ლაპარაკობს, თითქოს ყურთასმენა აკლიათ. საპყრობილეში ადამიანები ყრუ-მუნჯებს ჰგვანან, მაგრამ მათ ესმით ყველაფერი. მალე გებულობენ რა ხდება გარეთ, რასაც თითოეული თავისებურად ხსნის.

ჩვენს შესახებ მათ, ვიდრე მოგვიყვანდნენ, ადრევე იცოდნენ ყველაფერი. ყურადღებით ათვალიერებდენ ჩვენს ტანსაცმელს, თითქოს რაღაცას ეძებენ და ვერ პოულობენ. სრულიადაც არ გვეტყობა, რომ ჩვენ ოდესმე გვეტარებინოს იარაღი, მაგრამ მათს წარმოდგენაში სულ სხვა შეხედულება არსებობს ჩვენზე. მათი თვალები თითქოს გვეუბნებიან: „განა შეიძლება, რომ ადამიანი, რომელიც ამხედრდა ანკარის წინააღმდეგ, მთავრობის წინააღმდეგ — არ ატარებდეს იარაღს?!“.

ერთი პატიმართაგანი დიდხანს აღტაცებით უცქერის ჩემს ამხანაგს, უყურებს მის ფართო მხარ-ბეჭს და ამბობს:

— ამ ვაჟკაცმა, ალბათ, არანაკლებ ორმოცისა მიაწვინა!

ხანშესული, თეთრწვერა გლეხი მოდის ჩემს ამხანაგთან, მკლავში ჩაავლებს ხელს:

— შვილო, მეც ხომ მიწის თაობაზე მოვხვდი აქ. მომისმინე, როგორ იყო საქმე...

— მოეშვი, კირო! აცალე მათ ყავის დალევა!

მოულოდნელად ჩვენს გარშემო ბრბო გაირღვა, მოვიდა უფროსი მედილეგე.

— ადით მეორე სართულზე, ჩქარა, იქ არის თქვენი საკანი. ჩაჯექით კარანტინში...

ვერც კი ასწრებს მედილეგე სიტყვის დამთავრებას, რომ რაღაც გაუგებარი რამ იწყება.

— ამ.... ამ.... ამუ...—ისმის ყველა მხრიდან ძაღლისებური ყეფა. შეუკავებელი სიცილი, ყიჟინი... უფროს მედილეგეს სახე გაუწითლდა, თითქოს დამდუღრესო.

დორბლებს ყრის და ყვირის:

— კომუნისტებო, გასწით საკანში! თქვენ კი გიჩვენებთ, როგორ უნდა ყეფა...

ჩაგვყარა საკანში, კარებში რკინის ურდულები გაუყარა. ხელახლა იწყება და დიდხანს გრძელდება ყვირილი. დაბოლოს ყველაფერი მიჩუმდა.

ნახევარი საათიც არ გასულა, რომ ჩვენი საკნის რკინის გისოსებიან ფანჯარას მოადგა ყმაწვილი, რომელსაც პატიმრები „ბოლშევიკს“ უწოდებენ. ხელში თუნუქის ტოლჩა და სპილენძის თეფში უჭირავს საჭმელით:

— ნუ დამძრახავთ, ჩვენებურებო... ყველი და პური, კეთილი გული...

— ჩვენ მაძღრები ვართ, ყმაწვილო, ნუ სწუხდები!

მაგრამ „ბოლშევიკი“ არ გვისმენს და აძვრენს საჭმელს გისოსში.

— გვითხარი, რა იყო ეს? რა ყეფა იყო?

— დიდი არაფერი. ყოველთვის ასე ეგებებიან უფროსს. ჩვენ მას ქოფაკი შევარქვით. თუ მან თქვენ დაგიღრინოთ, ნუ მიაქცევთ ყურადღებას, არ გიკბენთ... მოსაწევი გაქვთ? შეიძლება კიდევ რამე გსურთ?

ეზოში კვლავ გამოჩნდა უფროსი მედილეგე. მისი გრძელი ფიზიონომია ჩამოკიდებული ლოყებით მართლაც ძალიან წააგავს ქოფაკი ძაღლის დრუნჩს. ისიც ისე დადის, როგორც ჯაჭვის ბებერი ნაგაზი.

საპყრობილეს ეზო

საპყრობილეში ორი სართულია. პირველი სართულის საკნების ფანჯრებიდან შეიძლება ცაზე ვარსკვლავების დანახვა. მხოლოდ

ზემო სართულიდან მოჩანს უნაპირო, თავისუფალი ზღვა. ამ უსასრულო სივრცეს ჩვენ გვაშორებს მხოლოდ მაღალი კედელი ეკლიანი მავთულებით. კედელსა და ციხის შენობას შორის 7 მეტრი სიგანისა და 40 მეტრი სიგრძის მოკირწყლული ეზოა. ეს პატიმრების სასეირნო ადგილია.

რამდენი დღეა გადავცქერით ამ პატარა ეზოს ჩვენი საკნის ვიწრო ფანჯრიდან! დილაობით გაიღება თუ არა საერთო საკნების კარები, ტუსაღები ფარეხიდან გამოშვებული ცხვრებივით აქეთ გამოცვივდებიან ხოლმე. ისინი დადიან კუთხიდან კუთხეში, წინ და უკან, ხვდებიან ერთმანეთს. ისმის ნალდაკრული ფეხსაცმელების ბრახუნი. კუთხიდან კუთხეში ტრიალებს ხალხი. მოკლე ნაბიჯები, ხანგრძლივი ხვნეშა:

— ა-ა-ახ... რომ მათ... ოჰ!

გრძელი, გრძელი ნაბიჯები, ფრაზების ნაწყვეტები:

— ...რის გადახდა! დაგვღუპა გადასახადებმა...

— ...განა მე ვიცოდი სად მოხვდებოდა ტყვია?

— ...გადასახადების ამკრები... მას აზრაილს — სიკვდილის ანგელოზს უწოდებენ...

— ...ის ბატონია, შენ კი ლატაკი...

— მან ჩვენ საყანე ძალით წაგვართვა. მოწმეები—ყველა მისია. ფული ბევრი აქვს, ძალაც მის ხელშია...

— ...ბოლომდე ვერ მივაღწიე... აი თუ გავედი...

— ...მან დარაჯს ესროლა...

ხმები საერთო გუგუნად იქცევა, ნაბიჯები სხვადასხვა მხრით მიიმართებიან. მერე კვლავ ისმის მწარე სიტყვები:

— ...არც ხარებია, არც მიწა. დაიშალა მეურნეობა.

— ... ის აღაც არის და მევახშეც. ერთ კურუშში ხუთი მიაქვს.

— ...მამასახლისიც, ჟანდარმებიც, მოსამართლეც მათ მოსყიდული ჰყავთ.—პატიმრებს შორის ბევრია ლაზი. დადიან თავაღერებულნი, გამართულნი, ლაპარაკობენ ჩქარა. რას ლაპარაკობენ, ჩვენ არ გვესმის. ლაზები თვალს არ აშორებენ ჩვენს ფანჯარას. ყო-

ველ დილით, ეზოში გამოსვლისთანავე გვესალმებიან:

— კომუნისტი!.. ბოლშევიკი! იაშა! *

დაჩაგრული ერები ჩვენ, კომუნისტებს, განსაკუთრებული სიმპათიით გვიყურებენ. სატუსაღოში მომიხდა რამდენიმე წელს ჯდომა ქურთებთან ერთად. მიუხედავად მკაცრი რეჟიმისა, ისინი იგონებდნენ საშუალებას ჩვენთან დასაკავშირებლად. რომ ისინი არა, ჩვენ უთუოდ დავიღუპებოდით შიმშილისა და წყურვილისაგან. თურქეთის სატუსაღოებში კომუნისტებს საერთოდ არ აძლევენ პატიმრებისათვის განკუთვნილ ულუფას. თუ გარეთ არვინა გყავს გულშემატკივარი, შენი საქმე წასულია.

უბრძოლველად ჩვენთვის არც ჰაერია, არც მზე

დღეები გადიან, „კარანტინს“ კი ბოლო არ უჩანს. ჩანს, ჩვენი საპყრობილეშიაც ეშინიათ: უნდათ გამოგვთიშონ ცხოვრებიდან.

---

* იაშა—გაუმარჯოს.

ცდილობენ გამოგვაცალკევონ ხალხიდან, მაგრამ ჩვენ ფიცი დავდეთ, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიყოთ ხალხთან, მასთან ერთად ვიბრძოლოთ.

ჩვენი საკანი პაწაწინა კოლოფს წააგავს. ზოოპარკში ლომის გალიაც კი მასზე უფრო ხალვათია. ჩემი ამხანაგი ბოლთას სცემს კუთხიდან კუთხეში, თავისთვის ბუტბუტობს:

ჩვენ არა ერთსა და ორ საკანს ვიცნობთ ციხისას,
ჩვენ ბალიშებად ბორკილები გვიდევს რკინისა,
მაგრამ ქედს არ ვხრით და ის არის ჩვენი ნუგეში,
რომ კვლავ შევუტევთ მტერს,
და კვლავ ჩავდგებით მებრძოლთ რიგებში! *

ვმღერით, ვხმაურობთ.

გაიღო საკნების კარები. მზე უკვე აცხუნებს ეზოს კუთხეს. თბილ ქვებზე ჩაცუცქული ფეხშიშველი ტუსაღები თბებიან. იქექებიან, სიკვდილით სჯიან მკბენარებს.

---

* ნაწყვეტები ლექსებიდან თარგმნა ვ. გაბესკირიამ.

— ცხელი აბანო! ცხელი, ცხელი! ბი-
დონი ერთ კურუშად!

გამგმირავად გაჰყვირის ტუსაღი — აბა-
ნოს „მეპატრონე“.—ვინ ნახა ტკბილი, სასია-
მოვნო სიზმარი, აიდა, აბანოში!

„აბანოში! აბანოში!..“ — გუგუნით ეხ-
მაურებიან ქვის კედლები.

დილაობით ეზოს ერთ კუთხეში ჩამოაფა-
რებენ ტომრის ნაჭრებს, ვინც შესძლო ერთი
კურუშის გადახდა, მიდის ამ შირმის იქით—
„აბანოში“. აი ახლაც, ჩვენი ფანჯრის პირდა-
პირ ახალგაზრდა ჭაბუკი ბიდონიდან თავზე
წყალს ისხამს.

მზე თანდათან მაღლა იწევს. ეზოში სულ
უფრო მატულობს ხმაური. გაიღო საპყრობი-
ლეს „ბაზარი“.

— ყოველთვის ცხელია... ცხელი...

— ასეთი ქაფი შავ ზღვაშიაც არ არის!
ვის უნდა ქაფიანი!

— არც მეჩაიეა დამასკიდან, არც წყა-
ლია შადრევნიდან.

მუქი, ნამდვილი სპარსული ჩაი!

ეზოში კერაა ყავის მოსახარშად. ტუსა-

ღები ვაჭრობენ ყავით—რა თქმა უნდა, ისინი. ვისაც ფული აქვს. ისინი მთელი ძალით ცდილობენ ერთმანეთზე მეტი იყვირონ. მძაფრი მეტოქეობა მათ შორის ხშირად მთავრდება დანების ტრიალით.

მზის სხივმა შემოიჭვრიტა რკინით დასალტულ ფანჯრიდან ჩვენს ნესტიან გალიაში. ჩვენც ვთბებით. საკანში რკინის ნარია, შიშველი ფიცრები და აყროლებული კასრი. რომ თავი გადირჩინო ამ შმორიდან და ისუნთქო სუფთა ჰაერით, საჭიროა ბრძოლა. უბრძოლველად ჩვენთვის, ჩანს, არც მზე იქნება. არც ჰაერი.

ფეხებს ვუბრახუნებთ კარებზე. ვყვირით ფანჯრიდან:

— მედილეგევ, გააღე კარები! გასეირნება გვინდა!

ეზოში ხმები უეცრივ წყდება. ყველას ყურადღება მოპყრობილია ჩვენი პატარა ფანჯრისაკენ. ატყდა ხმაური.

— ეს უმართებულოა!—ყვირიან ზოგიერთნი.—გამოუშვით ისინი სასეირნოდ!

— ნუ ერევით!—უპასუხებენ მათ მეორენი.

პატიმართა უმრავლესობა აღშფოთებულია უსამართლობით და მათთან ერთად ყვირის. ხმაურზე ეზოში შემოდის მედილეგემას თან მოჰყვებიან ჟანდარმები და თვით ციხის უფროსი. ტუსაღები საკნებში შერეკეს, ეზოში სიჩუმე მყარდება. ისმის მხოლოდ ჩვენი ხმები:

— ჩვენ გვაქვს სეირნობის უფლება!

საკნის კარები იღება. ზღურბლზე დგას ჟანდარმერიის სერჟანტი. ის გველივით სისინებს:

— რა გაღრიალებთ? მე თქვენ ახლავე გიჩვენებთ სეირნობას! გაუყარეთ მათ ხელბორკილები!

მოგვესიენ ჟანდარმები და მედილეგეები. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. გახეთქილი შუბლიდან გამონადენი სისხლი ჩამოსდის ჩემს ამხანაგს წარბებზე, თვალებზე... მაგრამ სერჟანტიც, რომელმაც მიიღო რა სამაგიერო მუჯლუგუნი, ვეღარ დგება იატაკიდან. სიბრაზისაგან გაფითრებული საპყრობილეს უფროსი ყვირის:

— ჩაყარეთ ესენი სარდაფში! ჩასვით კარ-

ცერში! დაე, იცოდნენ, რას ნიშნავს საპყრობილეში წესრიგის დარღვევა!

სამ დღეს ბორკილებში ყოფნამ, ორ დღეს ბნელ კარცერში გდებამ, რომელიც სავსეა პარაზიტებით, 48 საათის შიმშილობამ, კიდევ უფრო გაამძაფრა ჩვენი სიძულვილი.

შიმშილობამ იმოქმედა: საპყრობილეში მოვიდა პროკურორის თანაშემწე. ჩვენ ამოგვათრიეს სარდაფიდან, შეგვხსნეს ბორკილები.

— თქვენ ნება გეძლევათ მეორე სართულის ტერასზე სეირნობისა დღეში ორ საათს,—დამცინავი ღიმილით გვიცხადებს პროკურორის თანაშემწე და გადის.

ასე დამთავრდა ჩვენი პირველი შეტაკება ამ საპყრობილეში.

შუადღისას უფროსს ზედამხედველს გავყავართ ტერასზე. ტერასი გავარვარებულია—მთელ დღეს მცხუნვარე ნაზის სხივები ახურებენ მას. ჩვენს გარდა აქ არავის არ უშვებენ. ჭუჭყიან ნაკადულებად ჩამოგვდის ოფლი წვერმოშვებულ სახეებზე, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ ვსუნთქავთ სუფთა ჰაერით...

ხიღიანი კაღათა

უკვე რამდენიმე დღეა განუწყვეტლივ ასხამს წვიმა. თუკი მოისურვებ უფასოდ აბაზანების მიღებას, შეგიძლია დაჯდე ტერასზე ერთი-ორი საათი — ეს ახლა ჩვენთვის ნებადართულია.

უეცრად გააღო რა საკნის კარები, მეღილეგე აცხადებს:

— მოემზადეთ, სასამართლოში წახვალთ!

აი უკვე რამდენიმე თვე ჭიანურდება ჩვენი გასამართლება. თავდაპირველად სასამართლოს სხდომები მიმდინარეობდა ერთ-ერთ დიდ ქალაქში. მიუხედავად პროკურატურისა და პოლიციის მიერ მიღებული ყოველგვარი ღონისძიებისა, სასამართლომ ვერ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ ვართ იმ ფურცლების ავტორები, რომლებიც ამ ადგილებში არალეგალურად გაავრცელეს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებმა, მაგრამ გაშვებით ჩვენ, რა თქმა უნდა, მაინც არ გაგვიშვეს. ჩვენ ხომ დაუსწრებლად ვიყავით გასამართლებული ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე. პოლიცია და

პროკურატურა რამდენიმე წლის განმავლობაში ნადირობდნენ ჩვენზე. ახლა აქაური პროკურორი მოითხოვს ჩვენთვის სიკვდილით დასჯას.

ჟანდარმებით გარშემორტყმულნი შევდივართ „მართლმსაჯულების სასახლეში“. დერეფნები სავსეა ხალხით. უმრავლესობა გლეხებია, ზოგს ფოსტლები აცვია, ზოგი ფეხშიშველაა. ამ ადამიანთა მთელი გარეგნობა ლაპარაკობს მათს უსინათლო ცხოვრებაზე, სიღატაკეზე. ჟანდარმთა ოფიცერი უხეშად უყვირის ხალხს:

— დაიხიეთ უკან!

შევდივართ დიდ დარბაზში. ხალხი უკან მოგვდევს.

იწყება სხდომა. ჩვენ ვდგავართ სასამართლო კოლეგიის მაგიდის წინ. აქეთ-იქით გვიდგას გუშაგები მოღერებული ხიშტებით. ზურგს უკან ხალხია. ერთ-ერთი მოსამართლეთაგანი ცხვირს იჩიჩქნის. მეორეს წამოუცვამს შავი სათვალეები: თვლემს იგი თუ ფხიზლობს—ვერ გაიგებ. თავჯდომარეობს ჩასუქებული, კეფაჩასისხლიანებული მოსა-

მართლე. პროკურორის ნაცრისფერი მოჭუ-
ტული თვალები ყოველ წუთს ჩვენსკენაა მო-
მართული.

პროცედურის თანახმად, ჯერ „ადგენენ“
ჩვენს პიროვნებას.

— სახელი, გვარი, ვინ არიან მშობლე-
ბი?—გვეკითხება თავმჯდომარე.

შემდეგ წამოდგება პროკურორი. წამდა-
უწუმ იცქირება ხალხისაკენ და ამბობს:

— იმის გამო, რომ გასარჩევ საქმეს და-
მოკიდებულება აქვს მთავრობის შინაგან და
საგარეო პოლიტიკასთან... მშვიდობიანობისა
და წესრიგის დაცვის ინტერესების მიზნით...
მოვითხოვ, რომ საქმე გაირჩეს დახურულ
სხდომაზე.

მე და ჩემი ამხანაგი ერთდროულად წამოვ-
ხტით სკამებიდან და განვაცხადეთ:

— პროკურორს უნდა დაუმალოს ხალხს
სიმართლე... დე, ხალხმა იცოდეს, თუ რაში
გვდებენ ბრალს. ჩვენ ყოველ წუთს მზადა ვართ
ანგარიშით წარვსდგეთ ხალხის წინაშე! ცხა-
დია, პროკურორს სიმართლის ეშინია...
ვაცხადებთ, რომ თუ ჩვენი საქმე განხილული

იქნება დახურულ კარებში, მაშინ ჩვენ არ გავცემთ პასუხს სასამართლოს შეკითხვებზე! ეს თვითნებობაა! მოვითხოვთ, რომ ჩვენი განცხადება შეტანილი იქნას ოქმში!

ხალხიდან ისმის ხმები:

— ბატონო თავმჯდომარე, ჩვენც გვინდა მოვისმინოთ!

— რაში არიან ისინი დამნაშავენი? ეს უსამართლობაა!

თავმჯდომარე რაღაცას ჩასჩურჩულებს ყურში ჯერ ერთსა და შემდეგ მეორე მსაჯულს. ორივე დამადასტურებლად უქნევს თავს.

— საქმის განხილვა გადადებულია,—აცხადებს თავმჯდომარე.

ჩვენ გამოვყავართ სასამართლოს დარბაზიდან. ხალხი სატუსაღოს ჭიშკრამდე გვაცილებს. ხანშესული გლეხი გვაწვდის ხილით სავსე კალათს. ჟანდარმთა ოფიცერი მას მკაცრად უბღვერს. დღემდე მახსოვს გემო ახალი ხილისა, რომლითაც მაშინ გულწრფელად გაგვიმასპინძლდა უცნობი გლეხი.

ხალხი ანგარიშს ნარუდგენს

მუალამეა. კედელზე ბჟუტავს ჭრაქი. ციხე მიჩუმდა. პატიმრებს სძინავთ. ჩვენ საკანში ვნადირობთ ბაღლინჯოებზე.

აი ჩვენს სმენამდე აღწევს არაადამიანური ყვირილი. წარმოებს „დაკითხვა“ ჟანდარმერიის უბნის სარდაფში, რომელიც ციხის გვერდით მდებარეობს. ყვირილი თანდათანობით მინელდა. ისმის ჯოხების დარტყმა და გინება. გათენებისას ყველაფერი მიყუჩდა. იშვიათად ისმის მხოლოდ სტვენა— გუშაგები ერთმანეთს ეხმაურებიან.

ჩვენ ყოველ ღამე გვესმის ტანჯულთა ყვირილი და კვნესა.

ხალხის მიმართ ძალადობის პოლიტიკა თურქეთში უკვე ასეული წლობით გრძელდება. ქემალისტებმა, როცა ისინი ხელისუფლების სათავეში მოექცნენ, ამ მხრით სისხლისმსმელ სულთანებსაც კი გადააჭარბეს: გაშიშვლებული შოვინიზმი, ეროვნულ უმცირესობათა ნაძალადევი გათურქება... ქემალისტები მშობლიური ადგილებიდან ასახლებენ ლა-

ზებს, ჟლეტენ სომხებს, აწყობენ ქურთების მასობრივ ჟლეტას. ასეული ათასი ქურთი ამოხოცეს. ქურთების სოფლები ათასობით გადაბუგული, აღგვილია დედამიწის პირიდან. რომ დაფარონ თავიანთი დანაშაულის კვალი, ანკარის მმართველებმა აკრძალულად გამოაცხადეს რაიონები, სადაც ეს სოფლები მდებარეობდნენ.

გაყვეს რა ქვეყანა შვიდ „გენერალურ ინსპექციად“—„გაუთ“ მათ ქურთისტანის გაულაიტრად დანიშნეს იბრაგიმ თალიგი, რომელიც დიდხანს იყო იქ სრული ბატონპატრონი. მისი დამსჯელი რაზმები დაწანწალებდნენ ამ მხარეში. სხვა კომუნისტებთან ერთად მაშინ მე ვიჯექი ერთ-ერთ საპყრობილეში, რომელიც თალიგის სამფლობელოში შედიოდა. იქიდან ყოველდღე პარტიობით გაჰყავდათ პატიმარი ქურთები, რომლებსაც ხვრეტდნენ ტიგროსის კლდოვან ნაპირზე. შემდეგ ჟანდარმები საპყრობილეში ყიდდნენ დახვრეტილი ახალგაზრდა ქურთების მოქარგულ აბრეშუმის ქამრებს.

მახსოვს, ერთხელ მეზობელ საკანში მოი-

ტანეს ახალგაზრდა ქურთი. ის იყო ოცი წლისა. ამბობდნენ, რომ დამსჯელ რაზმებთან ბრძოლის დროს მან მოჰკლა რამდენიმე ოფიცერი. დიდხანს აწამეს ის ჟანდარმებმა, დაღავდნენ გახურებულ ზუმბით, მაგრამ მას ერთი სიტყვაც არ წამოცდენია. ჭაბუკის მთელი სხეული დაჩირქებულ ჭრილობას წარმოადგენდა. ახალგაზრდა ქურთი რამდენიმე დღე ხმაამოუღებლივ ებრძოდა სიკვდილს.

ის მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა:

— შურისძიება... შურისძიება... შურისძიება!

თურქეთის პოლიცია ათავსებს იანიჩარის მხეცობას გესტაპოელების დახელოვნებულ წამებასთან. ადამიანებს დიდი ხნით ჰყრიან ნესტიან სარდაფებში, აწამებენ უწყლობით და უძილობით; ცემენ ჯოხებით ტერფებზე, გაზებით ჰგლეჯენ სხეულს, აქრობენ სიგარეტებს მათს ჭრილობებში; თმებით ჰკიდებენ ჭერზე, აცვამენ ჯვარზე და თვალწინ უდგამენ დამაბრმავებელ ხუთასსანთლიან ნათურას; ყინვიან ზამთარში გადაასხამენ ცივ წყალს.

ხ'მირად წამება თვეობით გრძელდება. დაბოლოილი და ნაწამები კომუნისტების შესახებ პოლიცია იტყობინება:

„მოკლული იქნა გაქცევის ცდის დროს".

„ფანჯრიდან გადავარდა".

„თავი მოიკლა".

„ჭკუაზე შეირყა".

სწორედ ასე შეეცადა პოლიცია დაეფარა მკვლელობა სტამბოლის საიდუმლო პოლიციაში წამებულ თურქეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის აბასისა, კომკავშირელ ჰასანისა, სტუდენტ ბასრისა, ადანის საპყრობილეში მოგუდულ მასწავლებელ ჰაიდარისა, იზმირელ მეზღვაურის უსუფისა, ზოუნგუდაკელ მეშახტის ზიასა და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენის?!..

ანკარელი ჯალათები ცდილობენ მიჩქმალონ თავიანთი დანაშაულებანი, მაგრამ თურქმა ხალხმა იცის, თუ ვინ დაახრჩო შავ ზღვაში თურქეთის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი მუსტაფა სუბხი. მან იცის, თუ ვინ ჩამოახრჩო კომუნისტი გლეხი მესუდა, ვინ მოჰკლა აბასი.

დადგება სამაგიეროს გადახდის, შურისძიების დრო და ხალხი თავის ანგარიშს წარუდგენს ჯალათებს.

მეგობარი

სასამართლოს სხდომიდან რამდენიმე დღის შემდეგ, დილის შემოვლის დროს, ჩვენს საკანში შემოვიდა ციხის უფროსი და ჟანდარმერიის უფროსი ოფიცერი. ისინი გვიცხადებენ, რომ ჩვენ ნებადართული გვაქვს გავიდეთ სასეირნოდ ეზოში სხვა ტუსაღებთან ერთად. უბრძანეს გაეღოთ საკნის კარები და გავიდნენ ისე, რომ ჩვენთვის არც კი შემოუხედავთ. მივხვდით, რომ ტყუილუბრალოდ არ მოსულან—აქ რაღაც მახე იყო დაგებული. ჩვენ, კომუნისტები, ყოველთვის სხვა ტუსაღებისაგან მკაცრ იზოლაციაში ვყავდით. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ყურადღება გავამახვილეთ.

უფრო გვიან ჩვენ გავიგეთ, თუ რა მახეს

გვიმზადებდა საიდუმლო პოლიცია: მათ უნდოდათ ჩვენი სიკვდილი სისხლის სამართლის დამნაშავეთა ხელით...

... უბერავს ზღვის მსუბუქი ქარი. ლაზების სათევზაო ნავები გაშლილი იალქნებით გადიან ზღვაში. დროდადრო გვეჩვენება, რომ ჩვენ ამ საპყრობილეში ეს არის ახლა დავდექით ღუზაზე. ვწევართ ტერასზე და ვსუნთქავთ სუფთა ჰაერით. ჩემი ამხანაგი, ტერასზე ფეხებჩაშვებული, ჩემს გვერდით გაიჭიმა. საკნიდან გამოდის „ბოლშევიკი". თვალების ფშვნეტით აუჩქარებლად მოვიდა ჩვენთან.

— რა, ვერ გამოიძინე?

— აქ განა დაიძინებ, როცა ეს მეყავეები ვირებივით ღრიალებენ!

— დაჯექი. დღეს ერთად ვსვამთ ჩაის. მაგრამ შენ პირის დაბანა არ გაწყენდა!

— შემდეგ დავიბან. მხოლოდ ცოტა ხანს ჩამოვჯდები. თქვენთან ხომ არასოდეს არავის არ უშვებენ—კარანტინიაო!

ის ჩამოჯდა ჩვენს შორის და მანაც ჩაჰკიდა ფეხები ტერასზე. აიღო ჩემი ამხა-

ნაგის მიერ მიწოდებული სიგარეტი და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

— რატომ დაგარქვეს შენ „ბოლშევიკი?“

— აქ იყო ერთი... მკვლელობისათვის იჯდა. მტკაველი მიწისათვის თავისი მეზობელი მოეხრჩო მიჯნაზე. მე მას ვეუბნები: „რისთვის მოჰკალი ისეთივე ღარიბი, როგორც შენა ხარ? განა ის დამნაშავეა, რომ შენ მიწა არა გაქვს?“ აი მან შემარქვა „ბოლშევიკი“. ამის შემდეგ ყველა ასე მეძახის...

— შენ რისთვის ზიხარ?

— მკვლელობისათვის. სიკვდილი მომისაჯეს, მაგრამ სრულწლოვანი რომ არ ვიყავი, მაპატიეს.

— ვინ მოჰკალი?

— ერთი წყეული აღა ჩვენი სანაპიროდან. ნავები, ვენახები, ფორთოხლის ჭალები— ყველაფერი მას ეკუთვნოდა ოლქში. გრძელი ისტორიაა. მოვკალი და ჯანდაბას მისი თავი! მომითმინეთ, ჩაის მოვიტან.

ჭაბუკი ეშვება კიბეზე და თან ყვირის:

— კარაჩალი! სამი ფინჯანი ჩაი!

მოკირწყლულ ეზოში ისმის ნაბიჯების

ხმაური:—წინ-უკან, წინ-უკან... ყრუდ ისმის ხმები ამ ქვის ჭაში.

ვსვამთ ჩაის და განვაგრძობთ საუბარს:

— შენ გარეთ გყავს ვინმე?

— უფროსი ძმა. ის ცეცხლფარეშია გემზე.

— შენ რაღას აკეთებდი?

— მე მეთევზე ვარ. დაჭერილი თევზის ნაწილისათვის ვმუშაობდი.

— მაინც რისთვის მოჰკალი შენი აღა?

— წავიჩხუბეთ ჩემს წილზე. არ მომცა რაც მეკუთვნოდა. მამაჩემიც მან დაღუპა.

— მამა ვინღა იყო?

— ისიც მეთევზე იყო, მისდა საუბედუროდ!

— შენ რისთვისღა გახდი მეთევზე?

— შემდეგ გიამბობთ. უყურეთ! ხედავთ ფანჯარას, საკანს თქვენი საკნის გვერდზე? ხედავთ, რიკულზე რომ მიყრდნობილა, ჩვენ გვიცქერის?.. მასთან როცა ხართ, ენას კბილები დააჭირეთ. იგი ციხის უფროსის ჯაშუშია. იმავე წუთში დაგაბეზღებთ.

— ჩვენ რა გვაქვს საერთო მასთან? ჩვენ ერთმანეთისათვის „გამარჯობაც“ კი არ გვითქვამს.

— მისგან ყველაფერი მოსალოდნელია. იგი ამ დღეებში კარაჩალის სულ თქვენზე ეჩურჩულებოდა. მე დღეს ჩაი განგებ კარაჩალის შევუკვეთე. თქვენ ჯერ კიდევ კარგად არ იცით რა ხდება აქ, ჩვენს „კუტუზკაში“! წავიდეთ, ცოტა გავიაროთ.

პატიმრები ქანქარასავით მიდი-მოდიან წინ და უკან, წინ და უკან. მზე სულ უფრო და უფრო ახურებს ქვებს. მორიგე მედილეგემ შემოაღო ეზოს კარები და მთელი ხმით დაიყვირა:

— აიდა, სა-სა-მარ-თლოში! ვინც სასამართლოში უნდა წავიდეს, მოემზადეთ! ტაციაობისათვის—ჩამლი ჰუსიენი, ქათმის ქურდობისათვის—ფიჩალ ნური, ძმები ჯონოლლუები—მიწის თაობაზე. მკვლელობისათვის—ყურუ ალი, ორმანქირან მუსტაფა. გადასახადების გადაუხდელობისათვის—მექანიკოსი ჰასანი და ფეიქარი ველეში. ჩაფრის მკვლელობისათვის—მჭედელი მემედი. აბა, სა-სამართ-ლოში!

ტუსაღები, რომელთა საქმე დღეს ირჩევა სასამართლოში, იკრიბებიან კარებთან. ჟანდარმებმა მათ ხელბორკილები წამოაცვეს.

მეზობელ საკნებში

დღეები გადიან. ჩვენ თანდათან ვეცნობით საპყრობილეს. მივდივართ მეზობელ საკნებში. საპყრობილეში ხუთი დიდი საკანია, რამდენიმე იზოლატორი და რამდენიმე პატარა გალია. საერთო საკნები მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. დაბლა სართულში, სადაც თითქმის ვერ აღწევს მზე და სუფთა ჰაერი, ჩამწკრივებულია ეგრეთ წოდებული შიშველთა". „საკნები სტამბოლის ციხეში ასეთებს ეძახიან „მამა-ადამის საკნებს". ამ საკნებში მოთავსებულ ტუსაღთა ტანსაცმელს ძირითადად შეადგენს ძველი ტომრები. „შიშველთა საკნების" მობინადრენი ჩვეულებრივად ემსახურებიან სხვა საკნებში მოთავსებულ შედარებით შეძლებულ ტუსაღებს. ამისათვის მათ უწოდებენ კიდევ „აიაკჩებსა", რაც ნიშნავს „ხელზე მოსამსახურეებს". მეორე სართულზე ცხოვრობს საპყრობილეს არისტოკრატია—პატიმრები, რომლებსაც ფული აქვთ, ან ჰყავთ გარეთ გავლენიანი ნათესავები. ნარებიც საკნებში ნაწილ-

დება პატიმართა გადახდისუნარიანობის მიხედვით. უვარგისნი კარებთანაა, კასრის ახლოს, ხოლო უკეთესები — ფანჯარასთან, სინათლესა და ჰაერთან უფრო ახლოს. ცალკე ოთახებში მოთავსებული არიან „ბაიები“. *

იზოლატორში ამჟამად ჩვენს გარდა ორი სიკვდილმისჯილია.

უფროსი მედილეგეს ოთახში ჰკიდია დიდი შავი დაფა წარწერით—„პატიმართა სია“. ჩვენს საპყრობილეში სამასამდე ტუსაღია.

პატიმართა უმეტესობა ადგილობრივი მცხოვრებია. აქაური ადამიანები მსახურობენ მეზღვაურებად გემებზე, ლუკმაპურს შოულობენ მეთევზეობით, მენავეობით. მამაკაცთა ნახევარზე მეტი იძულებულია წავიდეს საშოვარზე სხვა ქალაქებში, ფაბრიკებსა და შახტებში, ზონგულდაკის ქვანახშირის მაღაროებში, ბრინჯის პლანტაციებში. ორასზე მეტი პატიმარი გლეხია. მუშები ცოტაა. უფრო მეტი ხელოსნები და შინამრეწველებია. პოლიტიკურებიც ცოტაა—ათ პროცენტამდე.

---

* ბაი—მემამულე.

პატიმართა თითქმის ნახევარი ზის მკვლელობისათვის, სისხლის აღებისათვის. ჩადენილ დანაშაულებათა უმეტესობის მიზეზია—დავა მიჯნებისათვის, მიწისათვის, საძოვრებისათვის, წყლისათვის, ტყისათვის, მემკვიდრეობისათვის, ვალებისათვის. პატიმართა ოცდახუთ პროცენტამდე ზის გადასახადების გადაუხდელობისათვის. დანარჩენები—ბანდიტიზმისათვის, გაძარცვისათვის, კონტრაბანდისათვის. ბევრმა პატიმარმა, დაახლოებით, სამში ერთმა, დაპატიმრებისას წინააღმდეგობა გაუწია ჟანდარმებს, პოლიციელებს ან გადასახადების ამკრებთ.

დიდი ვადით მისჯილთ ჩვეულებრივად გზავნიან სინოპის საპყრობილეში.

ეს ნახვა კი აარა—განშორებაა

ქარი ზღვიდან უბერავს. თანაბრად ხმაურობენ ტალღები, რომლებიც ნაპირს ეხეთქებიან. ზღვა ატკბობს ჩვენს ცხოვრებას სატუსაღოში.

გარეთ ხმამაღალი ლაპარაკია. ისმის მკვეთრი, წკვეტილი ნაბიჯების ხმაური. დღეს ნახვის დღეა. ამ დღეს ტუსაღები ყოველთვის ეზოში დაბორიალობენ. ნერვები ყველას დაჭიმული აქვს.

მნახველის მოსვლისთანავე ტუსაღს იძახებენ ნახვისათვის განკუთვნილ საკანში. აქ ხდება ნახვა. თუმცა მნახველსა და ტუსაღს აშორებს რკინის მოაჯირი, მაგრამ მაინც...

რკინით დასალტულ ფანჯარასთან დასკუპულა ახალგაზრდა, ოცდახუთი წლის ტუსაღი, ხოლო ფანჯრის მეორე მხარეზე დგას ქალი, რომელსაც მოუხვევია მოქარგული, ზოლებიანი თავსაფარი. ის სულ მოკუნტულია. უჩანს მხოლოდ თვალები და ლოყები.

ისინი სხედან, ერთმანეთს მჭიდროდ მიკვრიან... ეს რკინის მოაჯირები რომ არა, ისინი, ალბათ, ერთმანეთს ჩაეკონებიან! მაგრამ რკინის დაჟანგული ჯოხები თიშავდნენ ამ ორთა გულს...

— ეი, ფერიქოლლუ, გეყოფა! შენი დრო დამთავრდა!

მედილეგეს უხეში ხმა აშორებს ორი ადა-

მიანის გულებს ისე, როგორც ულმობელი ნაჯახი აპობს შუაზე ახალგაზრდა ფიჭვის მორს. ქალი დგება, იგი შესცქერის ჭაბუკს ცრემლმორეული თვალებით. ხოლო ყმაწვილი მთვრალივით ბარბაცებს და ფეხზე ძლივს დგას.

საპყრობილეს პარიკმახერი, რომელიც ახლა მპარსავს, ყოფილი მოტორისტია. მან ნავსადგურში მიბეგვა პოლიციის კომისარი, რომელიც აიძულებდა გაფიცულ მტვირთავ მუშებს ემუშავნათ, და ზის ამჟამად „პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო“. ნიჩაბივით ფართო მისი ხელები გეგონებათ ტლანქი, უხეში, მაგრამ როგორი მარდი თითები აქვს, როგორ ადვილად უსვამს ამ თითებით იგი სახეზე დიდ ლაზურ სამართებელს!

ყოველთვის, როცა მედილეგე პატიმარს აშორებს მნახველს, „პარიკმახერი“ კბილებს აკრაჭუნებს — ებერება ცხვირის ნესტოები ილაჯგაწყვეტილი ცხენივით. სიტყვები ტყვიასავით წყდება მის ერთმანეთზე დაჭერილ კბილებს:

— მტარვალები... არც სიყვარული, არც მწუხარება, არაფერი არ ესმით.

ნახვის დრო დამთავრდა. ეზო-ორმოში ხმები კედლებს ასკდება. ვიღაც იცინის, შეიძლება კიდევაც ქვითინებს...

ეს როგორი ნახვაა? ეს ხომ განშორებაა...

დაუფლეთელი იალქნებით შევდივართ ზღვაში

თურქეთის რეაქციული მმართველი კლასები ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა ხალხზე ხიშტების, საპყრობილესა და სახრჩობელების დახმარებით. ისინი ახშობენ, ფიზიკურად ანადგურებენ ყველას, ვინც გამოთქვამს პროტესტს, მოითხოვს სამართლიანობას.

განსაკუთრებით ჩვენ, კომუნისტებს, გვდევნიან მკაცრად, ცდილობენ ჩაახშონ ჩვენი სიმამაცე. მაგრამ ამაოდ. ისინი ვერასოდეს ვერ შესძლებენ ჩვენს დაჩოქებას! ჩვენ გაგვყვება მუშათა კლასი მთელი თავისი ძალით!

ბურჟუაზია შმაგობს, როცა ხედავს, რომ მისი დამსამარებელი პროლეტარიატის ძალა დღითი დღე იზრდება. რომ შეეძლოთ, ქემალისტები ცოცხლად დაგვმარხავდნენ. მათ სურთ გასწყვიტონ ჩვენი მჭიდრო კავშირი მასებთან, ვინაიდან ხედავენ, რომ იქ ვრაზმავთ ჩვენს ძალებს. მაგრამ კომუნისტები განსაკუთრებული აგებულების ხალხია, განსაკუთრებული წრთობის ხალხი. ეს წრთობა მათ მოიპოვეს მრავალი ქვეყნის კლასობრივი ბრძოლების ცეცხლში.

დაფლეთილი იალქნებითა და გახვრეტილი ნავით როდი გავდივართ ჩვენ ზღვაში! ჩვენ გვაქვს მაგარი ორგანიზაცია — ჩვენი უკვდავი კომუნისტური პარტია! ჩვენ ხელთა გვაქვს უტყუარი კომპასი და მშვენიერი რუკა — მარქსიზმ-ლენინიზმი!

ჩვენი კაპიტნის ხიდზეა დიდი მესაჭე და სტრატეგი — სტალინი! გამანთავისუფლებელ ბრძოლაში ჩვენ გზას გვინათებს დიდი შუქურა—საბჭოთა კავშირი! ჩვენმა პაპებმა 1871 წელს გვიჩვენეს თავიანთი სიმამაცე

პარიზის ქუჩებში. 1917 წელს ჩვენმა მამებმა დედამიწის ერთ მეექვსედზე შეაბრუნეს ისტორიის მსვლელობა და გახსნეს ახალი ეპოქა კაცობრიობის ცხოვრებაში.

რატომ უნდა შევამციროთ ჩვენი ძალები? ძლიერი საბჭოთა კავშირი, რომელმაც გადაარჩინა ცივილიზაცია, გიგანტური ნაბიჯებით მიდის კომუნიზმისაკენ. ახალ, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ხალხი სასწაულს ახდენს.

შეხედეთ შორეულ აღმოსავლეთს! აღსდგა ოთხასმილიონიანი ჩინეთი. ჩინეთის ხალხმა კინწისკვრით გაყარა მშობლიური მიწა-წყლიდან იაპონიის, ინგლისის, ამერიკის ბანდიტები, რომლებიც რიკშებით დასეირნობდნენ შანხაის ქუჩებში. კორეაში? კორეის ხალხი, რომელმაც იარაღი აიღო ხელში თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის დასაცავად, მწარე დარტყმებს აგემებს ამერიკის იმპერიალისტებს. ვიეტნამში ხო ში მინის არმია უსწორდება კოლონიზატორებს. იწვის მიწა იმპერიალისტების ფეხქვეშ! კაპიტალის ყველა ქვეყანაში ხალხი იბრძვის თავისი უფ-

ლებებისათვის, იბრძვის დემოკრატიისათვის, თავისუფლებისათვის.

ჩვენში, თურქეთში?

ჩვენშიც ყოველდღე მწვავდება ბრძოლა, იზრდება მებრძოლთა რიგები, იზრდება ჩვენი პარტიის ავტორიტეტი ხალხში. მაგრამ ჩვენ გვაქვს სუსტი მხარეები და შეცდომები. საჭიროა უფრო ენერგიულად, უკეთესად მოვახდინოთ მასის ორგანიზება. ძალთა წყაროები ჩვენ ცოტა როდი გვაქვს. ჩვენს ხალხს აქვს ტრადიცია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა. გაიხსენეთ 1919—1923 წლები, როცა რუსეთის დიდი ოქტომბრის რევოლუციის თავისუფლების ქარმა თურქეთშიაც დაბერა და ფეხზე დააყენა ხალხი ბრძოლისათვის. მებრძოლთა გმირების სისხლით შეიღება მდინარე საქარია. მაშინ მუშებმა, დაივიწყეს რა დასვენება, დღე-ღამ ამზადებდნენ იარაღს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტისათვის. უბრალო გლეხქალებს ქეზიბანს, ფატიმეს და ბევრ სხვას თავიანთი საკუთარი ზურგით გადაჰქონდათ საჭურველი სანგრებში. ბევრი მწუხარება განიცადა მა-

'ბინ ხალხმა: გადასწვეს სოფლები, დაანგრიეს ქალაქები, ამოჟლეტილი ჩვილი ბავშვები ეყარნენ ნანგრევებში. ამერიკელი და ინგლისელი ავაზაკები, როცა თავიანთი ოცდათხუთმეტი ათასი ტონაჟის სამწკრივო ხომალდებით მიუახლოვდნენ ანატოლიის ნაპირებს, ქვეყანას მოსპობით ემუქრებოდნენ. თურქი ხალხის წინააღმდეგ გამოიყენეს საბერძნეთის მეფის კონსტანტინეს დაქირავებული არმია, ანზავორის მონარქისტული ბანდები, „ხალიფას არმია", ჩვენი მამები და ძმები უშიშრად ებრძოდნენ ამ მრავალთავიან გველეშაპს.

საბჭოთა კავშირი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ მაშინ, როგორც სახელმწიფო და ერი, განადგურებული ვიქნებოდით ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტებისაგან. ქემალისტები ყოველნაირად ცდილობენ დაუმალონ ეს ხალხს. ჩვენი ამოცანაა მუდამ მოვაგონოთ ხალხს ამის შესახებ. ჩვენ არ დავივიწყებთ არასოდეს არც ჩვენს საბრძოლო ტრადიციებს და არც „ჩვენი შავი დღეების მეგობარს", როგორც ამას უწოდებს თურქი ხალხი საბჭოთა კავშირს...

„ჰარგია... ამხანაგო... ბრძოლა...“

ტალღების ხმაური მიწყდა. მზე ღრუბლებმა დაფარა. ახლოვდება საღამო. საპყრობილეს ეზოში აქა-იქ გააჩაღეს მხრჩოლავი პატარა მაყალები. ისინი მოგვაგონებენ მწუხარებით დაბინდულ ადამიანის თვალებს. მაყალებზე პატარა კარდლებში ტუსაღები ხარშავენ კერძს. ხუფებიდან ამოდის ორთქლის ნაკადი. ფეხშიშველი ტუსაღი გლეხი გაჩერებულა ერთ-ერთ კარდალთან და თვალებით ჭამს მას. გაყვითლებული, უსისხლო სახე აქვს. ასეთი სახეები აქვთ მხოლოდ ხანგრძლივად ნაშიმშილებ ადამიანებს. ის ჭუტავს თვალებს, ილოკავს ტუჩებს და ხელებს ისვამს ჩავარდნილ მუცელზე.

მაგრამ აი უკვე იწყება ულუფის დარიგება. „შიშველთა საკნიდან“ თავქუდმოგლეჯილნი გამორბიან ტუსაღები და გროვდებიან პურის გარშემო.

გლეხი, რომელიც ასეთი მწუხარებით მისჩერებოდა მაყალას, უკვე გარბის თავის საკანში, თან გზადაგზა კბეჩს შავი პურის პატარა ნაჭერს.

საღამოს ამოძახება. მედილეგეებმა შერეკეს პატიმრები საკნებში. როგორც ცხვრები ფარეხში.

ეზო დაცარიელდა.

ჩვენს მეზობლად ბორკილგაყრილი, ორი სიკვდილმისჯილია. საღამოს ჩვენ ვიძინებთ მათი ბორკილების ჩხარუნში. დილით გვაღვიძებს მათი ლანძღვა-გინება: სიკვდილმისჯილი ადამიანები, როგორც შეუძლიათ, ისე იოხებენ გულს.

ყოველ საღამოს მედილეგეები და ჟანდარმები ჩხრეკენ საკნებს. ჩვენთან ისინი ეძებენ აკრძალულ ქაღალდებს და ფანქრებს. სიკვდილმისჯილებს უსინჯავენ ბორკილებს, ქექავენ საწოლებს — ეძებენ დანას, სამართებელს. ამ ორმა, სხვა ტუსაღებთან ერთად, ერთ ღამეს უკვე გაარღვიეს საკნის კედელი პირველ სართულზე და ყელი გამოჭრეს გუშაგს, მაგრამ გაქცევა ვერ მოახერხეს: ისინი დაჭრეს და შეიპყრეს. დანარჩენები კი გაიქცნენ, წავიდნენ მთებში და შეადგინეს იქ „ჩეთე“ — აჯანყებულთა რაზმი. აჯანყებულებს სათავეში ჩაუდგა გლეხი, რომელსაც

ნუსრეთი ჰქვია. ეს რაზმი მამაცურად იბრძ-
ვის ჟანდარმერიის დამსჯელი ნაწილების
წინააღმდეგ.

ამ ორი ტუსაღის საქმეზე გამოტანილი
განაჩენი უკვე დაადასტურა უმაღლესმა სა-
სამართლომ, მაგრამ მეჯლისს ის ჯერ არ
დაუმტკიცებია. თუმცა სასამართლოს სულ
არ ჰქონდა არავითარი დამადასტურებელი
ფაქტები, მაგრამ მათ მაინც დასდეს ბრალი
დერებე ჰორდოლოშის მკვლელობაში და
მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა. არც ესაა გა-
საკვირი: მოკლულის ნათესავებს დიდ ხალხ-
თან აქვს კავშირი. მისი დისწული — ფაჰრი
კურთტულუში ეგრეთ წოდებული სახალხო
რესპუბლიკური პარტიის, თურქი ფაშისტე-
ბის ერთ-ერთი მეთაურია. მაგრამ ჩვენს
სიკვდილმისჯილებსაც ჰყავთ ახლა დამცვე-
ლი. მთებში წასულ მათ ამხანაგებს მუდმივი
შიშის ქვეშ ჰყავთ ჰორდოლოშები. სულ რამ-
დენიმე დღის წინათ მათ გადასწვეს ერთ-
ერთი ადგილობრივი დერებეის მამული. გლე-
ხები ეხმარებიან აჯანყებულებს.

ერთ-ერთი სიკვდილმისჯილთაგანი მსხვი-

ლი, ჭალარა-კაცი, ბღვერით გამოიყურება. მას ეძახიან კაპიტან ოსმანს. მისი ამხანაგი მაღალი, მოყვანილი, არწივისებური პროფილით, გარეთ მეუნაგირე იყო, მუშაობდა ხელოსანთა ბაზარზე. მას ეძახიან ეხშიოღლუს. მას აქვს რბილი, სასიამოვნო ხმა. იგი ხშირად მღერის ხოლმე ღამღამობით:

> წინ! მტერს დავესხათ!
> პარტიზანები მტერს უშენენ, მტრები გარბიან.
> ეხ, მთებს ღრუბლები შემოხვევია...

როდესაც ჩვენ ვუსმენთ მის სიმღერას, თვალწინ გვიდგება თავდადებული და მამაცი მებრძოლი მუშები და გლეხები, რომლებიც იბრძოდნენ დამპყრობთა წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წლებში. თვითონ მეუნაგირე ეხშიოღლუც ერთ-ერთი უსახელო გმირია ამ განმათავისუფლებელი ბრძოლისა.

ეჰშიოღლუს და მის ამხანაგს მჭიდროდ დავუმეგობრდით. თითქმის ყოველ დილით, როგორც კი გაიღება საკნის კარები, ისინი შემოდიან ჩვენთან. ვსაუბრობთ გლეხების მძიმე ხვედრზე, ხელოსნების ბედზე, მეგობრები გვეკითხებიან საერთაშორისო ამბებზე. გაზე-

თებს ჩვენ არ გვაძლევენ და არაფერი ახალი არ შეგვიძლია ვუამბოთ. ჩვენ მხოლოდ კომენტარებს ვუკეთებთ მათ მიერ ყურმოკრულ ახალ ამბებს.

მეუნაგირე ეჰშიოღლუ მხიარული, გულღია კაცია. ის ყოველთვის დასცინის კაპიტან ოსმანს. ხოლო ეს უკანასკნელი არასოდეს არ იცინის, მაგრამ ყოველთვის ნაზად შესცქერის თავის ამხანაგს. კაპიტან ოსმანს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ყველაზე მძიმე დღეებში საბჭოთა ნავსადგურებიდან გადმოჰქონდა იარაღი და საომარი მასალები. ჩვენ ვთხოვთ მას გვიამბოს ამაზე. კაპიტანი ძუნწად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობს:

— მაშინ რუსებსაც უჭირდათ. ყველა გიაური თავს ესხმოდა საბჭოებს. მაგრამ ყოველთვის, როდესაც კი ჩვენ იქ ავდიოდით, რუსები გვხვდებოდნენ, როგორც მახლობლებს. სწრაფად ტვირთავდნენ ჩვენს გემებს და უკან გვისტუმრებდნენ. გჯერათ თუ არა, რომ რასაც ისინი მაშინ ჩვენ გვაძლევდნენ, მათ ის კიდევ უფრო მეტად სჭირდებოდათ. თუ არა რუსების ასეთი დიდსულოვნება, გა-

ნა ჩვენ შევძლებდით გავმკლავებოდით უცხოელ ქოფაკებს, რომლებიც თავს დაესხნენ ჩვენს მიწა-წყალს? საბჭოები ჩვენ დაგვეხმარნენ და ამიტომ შევძელით ინგლისელებისა და ამერიკელების გაძევება სტამბოლიდან, მძარცველი ბერძნებისა კი — ანატოლიიდან. ანკარა'ში მოკალათებულ საძაგლებს სურთ, რომ ჩვენ დავივიწყოთ ეს... მაგრამ ჩვენ ყველაფერი გვახსოვს. დღემდის მესმის რუსი მეზღვაურის ხმა, რომელმაც უკანასკნელად გამოგვისტუმრა ჩვენ ახაპიდან... „კარგია... ამხანაგო... ბრძოლა"...—ჩაფიქრებული წარმოთქვამს ოსმანი რუსულ სიტყვებს.

ამ სამი რუსული სიტყვით, ბორკილებში გათანგული ჭაღარა ოსმანი გამოთქვამს იმ ღრმა ძალლობის გრძნობას, რასაც გახიცდის მთელი თურქი ხალხი თავისი დიდი მეზობლისადმი — საბჭოთა ხალხისადმი.

თაშჩი ჰასანმა უანდერძა ეს თავის შვილებს

ქალაქის განაპირა ადგილებში მაღაროებია. ისინი ეკუთვნიან სააქციო საზოგადოებას. იქ ტყვიის მადანს ამუშავებენ. ამ

მაღაროებში მიერეკებიან ჩვენს ტუსაღებს, რომელთაც მისჯილი აქვთ საკატორღო სამუშაოები. ამბობენ, რომ სააქციო საზოგადოება ამის შესახებ „შეუთანხმდა“ პროკურატურას. გუბერნატორი და სისხლის სასამართლოს თავმჯდომარეც ღებულობენ „ჯიბის ფულს“. პროკურატურა მოსყიდული ჰყავთ აგრეთვე გზის მშენებლობის მოიჯარადრეებს.

დილაობით ჟანდარმები ჯგუფებად ყოფენ ტუსაღებს. ერთი ჯგუფი დანიშნულია გზებზე ქვების სამტვრევად, მეორე მაღაროებში სამუშაოდ. მათ ხელბორკილებს უყრიან. შემდეგ ჰკრავენ ერთი გრძელი ჯაჭვით, აწყობენ ორ-ორს და მიჰყავთ. მაღაროებში მუშაობის საშინელი პირობებია. გარდა წერაქვისა და ძალაყინისა, არავითარი სხვა იარაღი არ არის. მადანი ზევით ამოაქვთ მუშებს ზურგზე მოსაკიდი კალათებით. ხშირად მუშები იღუპებიან ჩამონგრეული ქანების ქვეშ; ამ უბედურ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად არაფერი არ კეთდება.

მუშების მდგომარეობა თურქეთის მაღაროებსა და შახტებში ცოტათი განირჩევა ტუსაღების მდგომარეობისაგან, რომელთაც აიძულებენ იმუშაონ აქაურ ტყვიის მაღაროებში. მადნის მოპოვება ყველგან წარმოებს უძველესი წესებით და ადამისდროინდელი ხელსაწყოებით. შრომის დაცვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. არავითარი სამედიცინო დახმარება მუშებისათვის. აუტანელი შრომა, მუდმივი შიმშილობა, უსაშინელესი საცხოვრებელი პირობები და სნეულებანი, განსაკუთრებით კი ჭლექი, ყოველ წელს ათასობით ადამიანს ასალმებენ სიცოცხლეს. თუმცა ეგრეთ წოდებული სოციალური დაზღვევისათვის მუშას უქვითავენ ხელფასიდან 5 პროცენტს, მაგრამ უბედური შემთხვევის გამო დაღუპულ მუშათა ოჯახებს ან შრომისუნარმოკლებულებს მოხელეები მხოლოდ ლანძღვითა და შეურაცხყოფით ისტუმრებენ.

კონსტიტუციით თურქეთში იძულებითი მუშაობა აკრძალულია. მაგრამ ფაქტიურად იგი გამოყენებული იყო ყოველთვის. მეორე მსოფლიო ომის დროს, სპეციალური კანო-

ნით შემოღებული იქნა შრომის იძულებითი ბეგარა. ანკარის მთავრობას ხომ ჰიტლერული გერმანიის სამხედრო მანქანა უნდა ესაზრდოებინა ქრომით, სპილენძით, ტყვიით, ბამბით, სურსათით! გერმანიასთან ვაჭრობაში „საექსპორტო კავშირებმა“, რომელთა მეპაიეები იყვნენ ინენიუ, სარაჯოღლუ და ჯელალ ბაიარი, მილიონები მოიგეს. მაგრამ ომი დიდი ხანია დამთავრდა, ხოლო კანონი იძულებითი სამუშაო ბეგარის შესახებ ახლაც ძალაშია. ზონგულდაკში და მომიჯნე რაიონებში ქვეყნის ყოველი კუთხიდან ახლაც ძალით მოერეკებიან გლეხებს შახტებში სამუშაოდ.

გუშინ, შახტში მომუშავე ერთ ტუსაღს ჩამონგრეულმა ქანმა თავი გაუჭეჭყა. ამხანაგებმა მოიტანეს მისი დასახიჩრებული გვამი, მაგრამ საპყრობილეს უფროსმა ბრძანა გვამი არ მიეღოთ.

მე სასაფლაოს დარაჯი არა ვარ.

და მართლაც, ის არ არის სასაფლაოს დარაჯი, არამედ იგი მკვდარი სახლის ჯალათია. ჟანდარმის ოფიცერი ამტკიცებს,

რომ მისი მოვალეობაა ჩააბაროს ტუსაღი ცოცხალი ან მკვდარი. ხოლო, „ტყვიის ამოღების სააქციო საზოგადოება“ ამჯობინებს პილატისებურად დაიბანოს ხელი. დიდი კინკლაობის შემდეგ საკითხი გადაეცა გადასაწყვეტად უმაღლეს ინსტანციას. მთელი ღამე პატიმრის გვამი ძევს წვიმაში საპყრობილეს ჭიშკართან. დაბოლოს, დღეს, შუადღისას, პროკურორის ნებართვით მას დამარხავენ.

ქალაქის სასაფლაო მოთავსებულია იქვე საპყრობილესთან. ჩვენ ვუცქერით სასაფლაოს ერთ-ერთი „შიშველთა საკნის“ ფანჯრიდან. რამდენიმე ტუსაღი ჟანდარმების ბადრაგობის ქვეშ თხრიან საფლავს. ადამიანს, რომელმაც გუშინ თავი გაიჭეჭყა შახტში, რომლის სხეულს მთელი ღამე აწვიმა, ახლა მიწას აბარებენ უკუბოოდ და უსუდაროდ. ეს კაცი იყო მიწის მუშა და ეძახდნენ მას ვენეკლი თაშჩი ჰასანს. მას წაართვეს მიწა, რის გამო მოახდინა მან მკვლელობა და მიიღო თხუთმეტი წლის პატიმრობა. მან ცოლი დაიფიცა, რომ დაიბრუნებს მიტაცებულ მიწას, თუკი ეღირსება თხუთმეტი

წლის შემდეგ განთავისუფლებას, და თუ ვერა — მან უანდერძა შვილებს მათ დაიბრუნონ მიწა. ვენეკლი თაშჩი ჰასანი ახლა წევს საფლავში კვიპაროზის ქვეშ. მაგრამ მიწისათვის იბრძოლებენ მისი შვილები.

ხუმრობა როდია, როდესაც ექვსი მილიონი უმიწო გლეხი მოითხოვს: „მიწა! მიწა!“ მემამულეები და ფეოდალები ცამეტ მილიონ თურქ გლეხის კისერზე სხედან და სისხლს სწოვენ მათ. გლეხების პრობლემა, მიწის გადაუწყვეტელი საკითხი იწვევს მუდმივ შეტაკებებს და ურიცხვ სიმწარეს აყენებს მილიონობით ადამიანს. ეს პრობლემა დგას ხალხის წინაშე მთელი თავისი სიმწვავით, მთელი თავისი გრანდიოზულობით. ერთადერთი პარტია, რომელიც მიუთითებს გლეხობას სწორი გზისაკენ, ეს არის კომუნისტური პარტია. მხოლოდ ის დაეხმარება გლეხებს მიიღონ მიწა.

სოფლიდან ჩამოვიდა ვენეკლი თაშჩი ჰასანის ქვრივი. ქმრის საფლავთან კვიპაროზზე მიყრდნობილი დასტირის ქმარს. მედილეგე აბარებს მას დატოვებულ „მემკვიდრეობას“,

შემდეგ აჩრის ხელში რაღაც ქაღალდს და მი-
დის. მტირალი ქალის ფეხებთან ყრია გარ-
დაცვალებულის მთელი ქონება: თუნუქის
ტოლჩა, თიხის ჯამი, დახეული საბანი. ქვრივს
ხელში უჭირავს სასამართლოს ექიმის მოწ-
მობა—ბეჭედდასმული ქაღალდი, რომელიც
ამართლებს „ტყვიის დამუშავების სააქციო
საზოგადოებას“.

„ჩ ე თ ე“

„ბოლშევიკმა“ შეგვიყვანა თავის საკანში.
ჩემმა ამხანაგმა იკისრა ასწავლოს მას წერა-
კითხვა და იგი ერთი ნაბიჯითაც არ გვშორ-
დება. სკოლაში მას არასოდეს არ უსწავლია,
მაგრამ იგი ყველაფერს მალე ითვისებს. ის
ცოცხალი, გონიერი ჭაბუკია, ჯიუტი ხასია-
თით. მოყვარულია კამათის. ტუსაღებს უყ-
ვართ ის. იგი სულაც არ არის გაფუჭებული,
თუმცა ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, საპა-
ტიმროში რომ მოხვდა.

„ბოლშევიკთან“ ერთად საკანში მოზარდი

ხის. იგი თორმეტამდე წლისაა. ის მეკავშირედ იყო მთებში მებრძოლ ნუსრეთის გლეხთა რაზმისა.

ბიჭუნა დაიჭირეს და სასტიკად სცემეს ჟანდარმებმა. ის გაიქცა და მალე ქალაქის მეჩეთში რევოლვერით მოჰკლა ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი მევახშე პერილი. საპყრობილეში მას შეარქვეს „ჩეთე“ — პარტიზანი. „ბოლშევიკი“ ზრუნავს ჩეთესათვის, როგორც უფროსი ძმა. ჩეთესაც უნდა ისწავლოს წერა-კითხვა. მან იშოვნა რვეული, ფანქარი და ჩვენი დახმარებით შეისწავლა ანბანი. მის მიერ პირველად დაწერილი სიტყვა იყო „ჩეთე“.

ძაღლი ძაღლის ყყავს აკ ღახევს

„ბოლშევიკი“ და ჩემი ამხანაგი ჭილობის ნაგლეჯზე წამოწვენ. მათ შორის ატყდა დავა. ჩეთე პირდაღებული უსმენს მათ.

— შენ ამბობ, რომ ჩვენი მთავრობა მდი-

დარი მემამულეების, მსხვილლიპიანი აღების მთავრობაა. სასამართლო, ჟანდარმები სულ მათ ხელშია. ასეა?

— განა ასე არ არის? ვინ ზის ამ საპყრობილეში? ღარიბები — გლეხები, მეთევზეები, ხელოსნები...

— არა, მოიცა! შენ ამბობ, ღარიბებიო. კალაფათჩი? იგი ხომ ვაჭარია! და ისიც სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წევრი. შენ კი თქვი, რომ ეს პარტია მდიდრებისაა.

— უპირველეს ყოვლისა, საპყრობილეში ორი-სამი კაცია მდიდარი. და სხედან ისინი იმისათვის, რომ უნდოდათ სხვა მდიდრების გაძარცვა. მდიდართა ხელისუფლება ხომ კერძო საკუთრებას ემყარება. და თუ ვინმემ აღმართა ხელი კაპიტალის წინააღმდეგ, კერძო საკუთრების წინააღმდეგ, გინდ ის ღვიძლი შვილიც იყოს, მდიდრები არ შეიბრალებენ.

ყმაწვილი გაკვირვებით შესცქერის ჩემი ამხანაგის სახეს. „კერძო საკუთრება“? „კაპიტალი“? ეს სიტყვები ყმაწვილს არ გაეგება. თვითონ მას ხომ არაფერი აბადია.

— რაც შეეხება სახალხო-რესპუბლიკურ

პარტიას, მართალია, რომ ეს პარტია მდიდრების, ხალხის მტრებისაა. ვინ არიან ამ პარტიაში? ბანკირები, მემამულეები, ფაბრიკანტები, მსხვილი ვაჭრები, ფეოდალები, კულაკები, მაკლერები, ჟურნალისტები, მოხელეები, ადვოკატები. ერთიმეორეზე სხედან, ერთმანეთს ერეკებიან... ყველაფერს განაგებენ უფრო მსხვილი მდიდრები. ერთი შეხედვით სიამტკბილობით ცხოვრობენ, მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ერთიმეორეს ჭამენ. საკმარისია ოდნავ შეეხოს საქმე რომელიმეს ქისას, რომ მათ შორის ატყდეს ჩხუბი.

— ჯანდაბა მათ, დე, დაჭამონ ერთმანეთი!

— ეს ასეა, მაგრამ ისინი დავობენ ჩვენი ტყავისათვის. თვალი გადაავლე თუნდ აი ამ სანაპიროს: მათარაჯი, ბალთა, ქურდოღლუ, კეფელი და სხვა დერებეები, რომლებიც ერთმანეთს ვერ იტანენ. მაგრამ გლეხების, ღარიბების წინააღმდეგ კი ყველა ერთსულოვნად მოქმედებს.

— ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს.

— ისინი ძაღლზე უარესები არიან. ვთქვათ, თუგინდ, კალაფათჩზე. იგი მევახშე იყო. შემდეგ მოისურვა წაერთმია ფორთოხლის ჭალები სოფელ ხალდოზის გლეხებისათვის. მაგრამ მათარაჯის მუშტები უფრო მაგრები გამოდგნენ—ეს ჭალები მან ჩაიგდო ხელში. მაშინ კალაფათჩიმ მალულად დაიწყო გლეხების ამხედრება მათარაჯის წინააღმდეგ. ახლა ეს მიამიტი გლეხები შიმშილისაგან ხმებიან „შიშველთა საკანში“. ხოლო უსირცხვილო ჰალაფათჩი ციხეშიაც ბეგივით ცხოვრობს. მათარაჯიმ დიდი ხანია რაც მის დევნაზე ხელი აიღო.

— ეს მართალია. მე იმ ღორ კალაფათჩის ვიცნობ. ის საპყრობილეს მეორე უფროსია! მას ხშირად ღამღამობით შინაც კი უშვებენ. იმის მიზეზით აქ უკვე ორი მკვლელობა მოხდა. ახლა თქვენ ის ტუსაღებს გისისხიანებს, „კომუნისტები ჩვენი მტრებიაო, ამბობს, ისინიო, ამბობს, არც ხალხს, არც მამას და არც ოჯახს არ ცნობენო“.

ასე მიმდინარეობენ ეს საუბრები, რომლებიც „ბოლშევიკისა“ და ჩეთესათვის კლასობრივი სიძულვილის სკოლად ხდება.

•

წვიმს. ღრუბლები დაბლა ეფინებიან. ციხე ბინდბუნდში იძირება. ასეთ დღეებში ტუსაღები საკნებიდან არ გამოდიან. თითქოს ყველაფერი კვდება. მოულოდნელად სიჩუმეს არღვევს გაშმაგებული ლანძღვა-გინება, ხმაური, ყვირილი.

— მაჭანკალო... სულისგამყიდველო...

კალაფათჩი ტერასზე გამოათრიეს პანღურის ცემით, კბილებში მუშტებს აჩრიან.

ყველა საკნიდან გამორბიან ტუსაღები. გაიმართა აურზაური, გინება. თეთრწვერა ტუსაღი ყვირის:

— არ მოჰკლათ ის, ნუ გაისვრით ხელებს! ჩვენ მას სხვანაირად გავუსწორდებით!

კალაფათჩის ყვითელი, უსირცხვილო სახე სუდარასავით გათეთრებულა. ტუსაღები ხდიან მას შარვალს და ჰკიდებენ კისერზე. ქვაბის მურით უმურავენ სახეს, მიათრევენ ეზოში. მაგრამ კალაფათჩს გინდ თვალებში ჩააფურთხო, მაინც კმაყოფილია, რაკი ცოცხალი გადარჩა.

•

„ბოლშევიკმა“ და ახალგაზრდა ლაზმა თიფუკმა მევახშეს დანაშაულზე წაასწრეს, როცა ის ჩასციებოდა თავის „აიაკჩის“ — ღარიბ გლეხ ბიჭუნას „შიშველთა საკნიდან“. კალაფათჩი შერცხვენილი იქნა მთელი საპატიმროს თვალწინ.

ამ შემთხვევამ ჩაშალა საიდუმლო პოლიციისა და პროკურორის გეგმები. ახლა პატიმრებს ასე ადვილად აღარ სჯეროდათ ჭორებისა, რომლებსაც ასე უხვად ავრცელებდა უსირცხვილო კალაფათჩი, რათა გაეშავებინა კომუნისტები.

რამდენიმე წლის შემდეგ მე კვლავ მომიხდა გამეგონა კალაფათჩის შესახებ.

როდესაც სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა და ინენიუს ავტორიტეტის კვალიც კი აღარ დარჩა, ბურჟუაზია შეუდგა ახალი, ერთიმეორეზე უფრო რეაქციული, პარტიების ჩამოყალიბებას. ეს კეთდებოდა იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ რეაქციული მმართველი წრეებისათვის საბოლოო გაკოტრება და შეემსუბუქებინათ მათთვის მანევრირება. ბაიარმა

და კომპანიამ შეადგინეს მაშინ ეგრეთ წოდებული დემოკრატიული პარტია. და როგორ გგონიათ თქვენ? კალაფათჩი გახდა ამ პარტიის ერთ-ერთი თავგამოდებული მქადაგებელი. იგი გამოდიოდა მოედნებზე მქუხარე სიტყვებით, ცამდე აჰყავდა „ამერიკული დახმარება“, მსჯელობდა „ზნეობასა“ და „პატიოსნებაზე“, ცილს სწამებდა კომუნისტებს. პრეზიდენტს იმდენად მოეწონა კალაფათჩი, რომ, როგორც გაზეთები იტყობინებოდნენ, უნდოდა იგი ანკარის რადიოს დირექტორად დაენიშნა. მაგრამ ახლახან კალაფათჩმა კიდევ უფრო მაღლა აიწია—ის გახდა მეჯლისის დეპუტატი.

ᲕᲛᲦᲔᲠᲘᲗ

პროკურორის მოთხოვნით ჩვენი საქმის გარჩევა კვლავ გადაიდო. ჩვენ ახლა სასამართლოში მივყავართ ღამღამობით. სხდომის დარბაზში არავის არ უშვებენ. გადაწყვეტი-

ლია ჩვენი ბროცესი ჩაატარონ დახურულ კარებში. მოსამართლეები გვაძლევენ კითხვებს, ჩვენ კი ვდუმვართ.

პროკურორი წინანდებურად დაჟინებით მოითხოვს ჩვენს დასჯას სიკვდილით.

საპყრობილეში ჯერჯერობით ნებადართული გვაქვს ვიყოთ ტუსაღებთან ერთად, მაგრამ, ალბათ, ეს დიდხანს არ გაგრძელდება.

ორი თვე გვეძინა შიშველ ფიცრებზე. შემდეგ ლაზმა ტუსაღებმა გვაჩუქეს გრძელბეწვებიანი ნაბადი, და ახლა მასში გახვეულს სძინავს ჩემს ამხანაგს.

მე ჩაფიქრებული ვდგავარ რკინის გისოსიან ფანჯარასთან. როგორ მალე იცვლება ამინდი აქ, სანაპიროზე! ეს-ეს იყო ასხამდა წვიმა, ახლა კი მზის სხივები ცელქობენ, ელვარებენ ტალღებში.

წყნარად ვუსტვენ „ბუდიონის მარშს“.

ჯაჭვების ჩხარუნს გამოვყავარ ფიქრებიდან. საკნის ზღურბლზე დგანან სიკვდილმისჯილნი ჩვენი მეზობლები. გამოეღვიძა ჩემს ამხანაგსაც.

— შემოდით, კაპიტანო! რას გაჩერებულ-ხართ კარებში?

— გემღერათ კომუნისტების სიმღერა, რომელიც გუშინ მოვისმინეთ, მაგრამ კედლის იქით სიტყვები ვერ გავარჩიეთ.

— აბა, დასხედით, მეგობრებო! ვიმღეროთ, თუ გსურთ, კომუნისტების სიმღერაც.

ხმით არ დაუჯილდოვებივარ ბუნებას. ამ-ხანაგს უყვარს დამცინოს, როცა მე ვმღერი, მაგრამ, რომ ცოტა გული გადავაყოლოთ, ჩვენ ვივიწყებთ ყველაფერს, ვმღერით, ვმღერით სიმღერებს. ახლაც ვასრულებთ კა-პიტნის სურვილს და ნელი ხმით ვიწყებთ:

დროშა, რომელიც წინ მიგვიძღვის—ლენინიზმია!
თქვენ იმ დროშის ქვეშ დარაზმულნი
მედგრად იბრძოლებთ!
ძველ ქვეყანას ჩვენ მთლად დავანგრევთ,
ახალს ავაგებთ,
და ყველა ჩაგრულს თან გავიყოლებთ!

ჩვენ თანდათან უფრო ხმამაღლა ვმღერით. სიმღერა ფანჯრიდან გარეთ იჭრება. სხვა საკნების ტუსაღებით ივსება ჩვენი ვიწრო გალია. შეწყდა ნაბიჯების ხმა ეზოში. ციხე

ჩაკვდა, სმენად იქცა. ჩვენ წამოვიწყეთ იზმირის გაფიცულთა სიმღერა, მაგრამ ეზოში უკვე გაისმის ჟანდარმების სასტვენის ხმები.

— შეწყვიტეთ სიმღერა! გასწით საკნებისაკენ!.. ყველა საკნებში!

იწყება საღამოს ამოკითხვა. მედილეგეები ითვლიან ტუსაღებს. მაგრამ ამ საღამოს რაღაც არაჩვეულებრივი ხდება. შემოწმებაზე მოვიდნენ პროკურორი, საპყრობილეს უფროსი და ჟანდარმერიის უფროსი. ჯერ ტუსაღებს ერეკებიან საკნებში, შემდეგ სათითაოდ იძახებენ და ჩხრეკენ. გაჩხრეკის შემდეგ ჩაგვამწკრივეს ეზოში.

რამდენიმე ჟანდარმი და მედილეგე იწყებენ საკნების ჩამოვლას. ისმის მხოლოდ დაჭედილი ჩექმების ბაკაბუკი. უცბად ერთ-ერთი ჟანდარმი ღრიალებს:

— თოფუკის ლოგინში ნაპოვნია დანა! ჩააგდეთ კარცერში!

კალაფათჩი — ურცხვი თვალი უსირცხვილოდ შემოგვცქერის. საზიზღარი შურს იძიებს!

ტუსაღები ისევ საკნებში შერეკეს. ჩაკე-

ტეს კარები, გაუყარეს ურდულები. ღამდება. ჩემი ამხანაგი ფართო ნაბიჯებით ზომავს საკანს. იჩეჩს თავის წითურ თმებს, რაღაცას თავისთვის ბურდღუნებს, რამდენიმეჯერ იმეორებს მის მიერ შეთხზულ ლექსის სტრიქონებს:

სიჩუმე სუფევს ირგვლივ,—ჩვენც ვდუმვართ,
მაგრამ ის ვაზნა, თოფში რომ დევს,
სიჩუმეშიც არის საშიში.
ხმა უფრო მძლავრი, ვიდრე ჩვენი დუმილი არის,
არა, ამქვეყნად არ წარეოიშვის!

გველი და აფთარი

აუჩქარებლად გადიან დღეები საპყრობილეში. პატიმრობაში გატარებული მრავალრიცხოვანი დღეებიდან ერთი დღის საღამომდე მიტანაც ისევე ძნელია, როგორც საკუთარი სუნთქვის სითბოთი ფისის გალღობა. საათის ისრებზე დრო ისეა ჩამოკიდებული, როგორც უქარო ამინდში იალქნები ნავზე. წუთები წლებად გეჩვენებათ.

ერთი შეხედვით ყველა დღე ერთიმეორეს ჰგავს, მაგრამ სწორი არ იქნება ვიფიქროთ ის, რომ საპყრობილეს ოთხ კედელში ცხოვრება წინ არ მიდის. არა, ამ ოთხ ნესტიან კედლებშიაც გრძელდება ბრძოლა.

შუაღამეა. ჭრაქის მბჟუტავი შუქი თვალებს ჭრის. საკნის კარები მოულოდნელად იღება. შემოდიან ჟანდარმის ოფიცერი და უფროსი მედილეგე. ოფიცერი მომმართავს მე და ამბობს:

— ჩაიცვი, ბატონი ვალი* გიბარებს!

კაცმა რომ თქვას, მე ჩაცმა არ მესაჭიროება! მხოლოდ ფეხსაცმელების წამოცმაა საჭირო. ამხანაგი უხმოდ მიცქერის. ალბათ, მასაც იმ წუთში საშიშარმა აზრებმა გაუელვა.

ბადრაგის თანხლებით გამოვდივარ ციხიდან. ვალის განცალკევებული სახლი ზღვის პირას დგას. ქვის შენობა სუროშია გახვეული. გარშემო ველური ალუბლისა და მაგნოლიის ხეებია. ნავსადგურში სამგზავრო გე-

---

* ვალი—გუბერნატორი.

მის ნათურები ბრწყინავენ. სუფთა ჰაერისაგან თავი მიბრუა.

ჟანდარმები შეჩერდნენ ვალის სახლთან. ოფიცერმა წინ გამიშვა. ავდივარ კიბეზე.

მაღალ კარებთან დგას პოლიციის კომისარი სულთანის ვენზელებით. შევდივართ ფართო კაბინეტში. დიდი ფანჯრები ზღვას გადაჰყურებენ, იატაკი ნოხებითაა მოფენილი. ჭერს და კედლებს ამშვენებს ძველი წარწერები და ნახატები, თვალში გვხვდება სულთანის გუბერნატორის ძველი, დიდი სავარძელი.

ქემალისტებმა,—პოლიტიკური სპეკულანტების ამ ხროვამ, -რომლებიც იცავენ მსხვილი ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს, ხელუხლებელი დატოვეს სულთანების სახელმწიფო აპარატი. მათ მხოლოდ დააკრეს ამ ძალადობისა და თვითნებობის აპარატს ეტიკეტი „თ. რ.“ (თურქეთის რესპუბლიკა). არსებითად ყველაფერი უცვლელად დატოვეს. გუბერნატორები, გენერლები, მოსამართლეები, მოხელეები, პოლიცია და ჟანდარმერია — ყოველივე ეს დარჩა მონარქიული თურქეთისაგან.

შავი სახის მოხუცი, მსუქანი, რამდენიმე სართულიანი კისრით და გამობერილი ლოყებით გაშხლართულა ღრმა სავარძელში. ვიცანი ვალი. მას უწოდეს „ღიპიანი არაბი". მის გვერდით სარგადაყლაპულივით ზის ჩამოფხავებული, ქერა კაცი, რომელსაც კბილებში სიგარეტი აქვს გარჭობილი. მას მშიერი აფთარის გამოხედვა აქვს. ზურგს უკან ოფიცერი მიდგას.

ვალი ხმაურით სვამს ყავას, ფინჯანს თითების წვერებზე ატრიალებს, თითქოს ჯადოქრობას აპირებსო.

ღიპიანმა არაბმა დიდი ხანია მოიპოვა მკაცრი ჯალათის რეპუტაცია. ართვინსა და არტანუჯში მისი ბრძანებით ათასობით სომეხი ქალი, მოხუცი, ბავშვი გადაყარეს და დაახრჩვეს მდინარე ჭოროხში. ის ლაზების უბოროტესი მტერია. ვინ მოსთვლის ლაზების რამდენი სოფელი გადაბუგა მან! დღემდე შემორჩენილია სოფელ ჯანოს დანახშირებული ნანგრევები. ეს ფაშისტი ერთ-ერთი სისხლიანი ჯალათია, რომლის ხელებით ანკარელი მმართველები ანხორციელებენ ეროვ-

ნულ უმცირესობათა გათურქების პოლიტიკას.

ვდგავარ მაგიდის წინ. ვალი და ის ჩამოფხავებული თავიდან ფეხებამდე მათვალიერებენ. მე კი მათ პირდაპირ თვალებში ჩავცქერი. არ ვიცი, რომელი მხრიდან დამესხმიან თავს.

ვალის მსუქანი სხეული შეირხა, თავი წინ წამოწია. ამ მომენტში ის მაგონებს მახრჩობელა გველს. მაგრამ მე შინაური კურდღელი როდი ვარ. დაბოლოს ვალის ტუჩები ამოძრავდნენ:

— ვინ არის კომუნისტური პარტია? — ხრიალებს იგი.

თავს ვიკავებ, დამშვიდებულად ვპასუხობ:

— თქვენი კითხვის მიხედვით, ის ვიღაც კაცი უნდა იყოს.

ლაპარაკში ერევა ჩამოფხავებული კაცი. მაჩრის ცხვირში ქაღალდის პატარა ნაგლეჯს:

— შეხედე, ეს თქვენმა, შენმა ამხანაგებმა დასწერეს!

და უცბად მალავს ფურცელს. მე მოვას-

წარი მხოლოდ დიდი ასოების გარჩევა ბო-
ლოსა და თავში: „მშრომელი ხალხისადმი...“
„კომუნისტური პარტია“.

ჩამოფხავებული პირდაპირ თვალებში მი-
ცქერის. შემდეგ მაგიდიდან იღებს ფოტო-
სურათებს და ზედიზედ მაჩვენებს.

— არ ვიცი, არ ვიცი, — ვპასუხობ მე.

— მათ აღიარეს, რომ შენთან არიან და-
კავშირებულნი.

— არ არის მართალი. ყველაფერი ეს
სიცრუეა!

— კარგი! უარყავი! სულ ერთია, ტყავს
მაინც ვერ გადაირჩენ.

ცხადია, გამომიძახეს რა დაკითხვაზე ღა-
მით, ეშმაკობით უნდოდათ ჩემთვის რაიმე
დაეცდინათ. მათ რომ მართლა ჰქონოდათ
რაიმე ფაქტი, ასე არ დამიწყებდნენ ლაპა-
რაკს.

პროკლამაციები მახარებს — ჩანს, მუშა-
ობა არ წყდება. მაგრამ ნაცნობი ფოტოსუ-
რათები და სახელები მწარედ მიკუმშავენ
გულს; მაშასადამე, კიდევ ყოფილა დაჭე-
რები.

ვალი კიდევ უფრო ფართოდ გაიშხლართა სავარძელში, ხან მე მომშტერებია, ხან პროკლამაციებს გადახედავს. მიმართავს რა ჩემს უკან მდგომ ოფიცერს, კბილებში ცრის:

— გაათრიეთ!

როდესაც გამოვედით კაბინეტიდან, ჩამოფხავებულმა უკან მომაძახა:

— მგზავრი ქარვასლას ვერ აცდება!

„ინგლისელი" ზია

და მართლაც, მე ერთხელ კიდევ მომიხდა მასთან შეხვედრა. თავიდანვე გიამბობთ, თუ როგორ მოხდა ეს. მაგრამ ჯერ რამდენიმე სიტყვა თვითონ მასზე. საიდუმლო პოლიციაში ის იყო კომუნიზმის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი, „ინგლისელი" ზიას სახელით ცნობილი. ჯერ კიდევ ანტანტის ჯარების მიერ სტამბოლის ოკუპაციის დროს 1919—1922 წლებში ის „ინგლი-

სის მეგობართა საზოგადოების“ აქტიური წევრი იყო. მუშაობდა „ინტელიჯენს სერვისის“ პოლკოვნიკ მაკსველთან, რომელიც მაშინ სტამბოლში ხელმძღვანელობდა ინგლისის დაზვერვას. რამდენი პატრიოტი აწამეს მაშინ არაპიანჰანის სარდაფებში, სადაც მოთავსებული იყო ინგლისის დაზვერვა!

როცა მეორედ შევხვდი ინგლისელ ზიას, მე საკნიდან მასთან მიმიყვანა უთითო ჰამდიმ. 1950 წ. კომუნისტების ერთ-ერთ პროცესზე სტამბოლში ჰამდიმ ფიცის ქვეშ უჩვენა, რომ ის უკვე 36 წელია მუშაობს საიდუმლო პოლიციაში და არის კომუნიზმთან მებრძოლი განყოფილების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. სტამბოლის ოკუპაციის დროს მუშაობდა ამერიკის სამხედრო პოლიციაში გალათა—კარაკეის რაიონში... სტამბოლის საიდუმლო პოლიცია მაშინაც, როგორც ახლა, მოთავსებული იყო სანასარიანჰანის შენობაში. მაშინ თურქეთის საიდუმლო პოლიციის აგენტები, ინგლის-ამერიკის ეს ყურმოჭრილი მონები, აწამებდნენ პატრიოტებს სანასარიანჰანის სარდაფებში ისე, როგორც ახლა აწამებენ კომუნისტებს

ზემო სართულების საკნებში. ინგლისელი ზია, უთითო ხამდი, წითურა ქემალი, შავი ქემალი და სხვა ნაძირალები — აი ქემალისტების ხელისუფლების დასაყრდენი ძალა. სადიზმი, გამყიდველობა, ურჯულკობა — აი მათი მმართველობის საფუძვლები.

ჩემი მეორე შეხვედრა ინგლისელ ზიასთან რამდენიმედ განსხვავდებოდა პირველისაგან. ამჯერად დეკორაციებიც კი სხვანაირი იყო. ოთახის კედლებთან ჩამწკრივებულან სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პოლიციელები გრძელი ხელკეტებით. იატაკზე სისხლის გუბეში ცურავს ადამიანი: უცებ ვერ გაიგებ — ცოცხალია ის თუ მკვდარი. მას ეკითხებიან — მიცნობს მე თუ არა. ასხამენ ცივ წყალს, მაგრამ გონზე მაინც ვერ მოიყვანეს. ხელი წაავლეს ფეხებში, ხელებში და გაიტანეს. ინგლისელი ზია მხეცივით მეძგერა. მაგრამ პირველივე დარტყმით დავაგდე ძირს. მაშინვე მომვარდნენ, რალაც მძიმე დამარტყეს კისერში...

როცა ცოტათი გონს მოვედი, ვხედავ, რომ ინგლისელ ზიას ერთი თვალი გასიებია.

იგი გაზით ჰგლეჯს ჩემს სხეულს და მოკიდებულ სიგარეტს აქრობს ჭრილობებში... ხელები შეკრული მაქვს...

... იგი ყოველდღე წამების ახალ ხერხებს იგონებს.

ერთხელ ღამით ინგლისელმა ზიამ დამაპირისპირა ფეიქარ ქალთან ზიინეთთან.

— იცნობ ამას? — ეკითხება იგი ქალს.

— არა, არ ვიცნობ,—დამშვიდებულად უპასუხებს ქალი.

იხგლისელი ზია მოუბრუნდა მის გვერდით მდგომ უთითო ჰამდის და უთხრა:

— ამ როსკიპს ჰყავს ძუძუმწოვარა ბავშვი. აბა, გამოიჩინე თავი!

წითურა ქემალი და შავი ქემალი მივარდნენ ზიინეთს, ჩამოგლიჯეს ტანსაცმელი. უთითო ჰამდიმ გრძელი ქინძისთავი გაუყარა ძუძუში ზიინეთს. იფეთქა სისხლმა, მაგრამ მუშა ქალის ტუჩებმა წარმოთქვეს მხოლოდ:

— არ ვიცნობ.

გონებადაკარგული ზიინეთი მიწაზე ეცემა. მე დაჭრილი ვარ. არ ძალმიძს ფეხზე წამოდგომა, არ შემიძლია მას გამოვექომაგო.

ამ ქალს მე ვიგონებ ღრმა პატივისცემით.

იგი ისევე კარგად მიცნობდა მე, როგორც თავის ახლად დაბადებულ ბავშვს. მის სახლში იკრიბებოდა კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობდა სტამბოლელი ფეიქრებისა და მეთამბაქოების გაერთიანებულ გაფიცვას.

რამდენიმე წლის შემდეგ, დილაადრიან სტამბოლის ერთ-ერთ ჩამომსხმელ სახელოსნოსთან, იუქსეკალდიმირიდან კულედიბში ამავალ ციცაბო ალმართზე შეგროვდნენ გამვლელები. საფეხურებზე თავდალმა იდვა გვამი; თითქოს იგი ფეხებით იყო ჩამოკიდებული. შავი სისხლი მიწანწკარებდა ქვებზე, პირდაპირ მკერდში ჰქონდა ჩაკრული დიდი ბრუსული დანა. ეს იყო გვამი პროვოკატორისა, რომელმაც გასცა და ხელში ჩაუგდო ზიინეთი და სხვა მრავალი რევოლუციონერი ინგლისელ ზიას.

ჩვენი ერთადერთი იარაღი

... ჟანდარმთა ბადრაგის თანხლებით ვბრუნდები ვალიდან საპყრობილეში. ჩვენ შევდივართ ეზოში. ჩემი ამხანაგი დგას ფანჯარას-

თან, გაჰყურებს გარიჟრაჟს. როგორც კი გადავაბიჯე ზღურბლს, მომვარდა. ვეხვევით ერთმანეთს, ვუამბობ, რაც მოხდა ვალთან. ვწვებით, მე დავიწყებას ვეძლევი ღრმა ძილში.

ამ საპყრობილეს აქვს გასაოცარი თავისებურებანი: თუმც აქ ყოველდღე ხდება ჩხრეკა, ტუსაღებს მაინც აქვთ დანები, ტესაკები და რევოლვერებიც კი. ხაშიშს თითქოს ქურდულად ჰყიდიან, მაგრამ ეწევიან მას აშკარად. კონტრაბანდი საქონლის მომწოდებელი ბევრია. ვაჭრობს ყველა—ციხის უფროსი და ჟანდარმერიის უფროსიც. მაგრამ წიგნები და გაზეთები ციხემდე ვერ აღწევენ. ჯერ ერთი, ტუსაღთა შორის თითქმის არ არის წერა-კითხვის მცოდნე, მეორეც, მმართველთათვის უფრო სასარგებლო და საჭიროა მისცეს ტუსაღს ხელში დანა და გააბრუოს ის ოპიუმით.

ზღვის პირას მოთავსებულ ამ ციხეში ჩვენ უკვე სამი თვეა ვზივართ და ვსარგებლობთ შედარებითი თავისუფლებითაც. დღისით ჩვენ ეზოშიაც კი გვიშვებენ სხვა ტუსაღებთან ერთად. მაგრამ დღემდე ვერ მოგვიხერ-

ხებია გაზეთებისა და წიგნების მიღება. ჩვენ არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ რა ხდება მსოფლიოში, არა გვაქვს კავშირი საპყრობილეს კედლებს იქით. ჯერ არ შეგვიძლია გამოვიყენოთ ამ მიზნებისათვის ჩვენი თანამგრძნობი ტუსაღები, ვინაიდან ჩვენ გავიგეთ მტრის ვერაგული გეგმები. მდგომარეობა ისეთი შეიქმნა, რომ ჩვენი დროებითი „თავისუფლება“ ერთ გროშადაც არა ღირს. წინათ კი სულ სხვანაირად იყო. მახსოვს ჩემი პატიმრობა ძველ სატუსაღოში ტიგროსის კლდოვან ნაპირზე. აი ადგილი, სადაც ჭეშმარიტად, როგორც ამბობენ, ჩიტი ვერ შეფრინდება, ქარავანი ვერ მიაღწევს. ეს არის ქურთისტანი, რომელიც ქემალისტებმა ნანგრევებად აქციეს და სისხლით მორწყეს.

საპატიმრო, რომელშიც ჩვენ ვიჯექით, ოთხივე მხრით გარშემორტყმულია ორმეტრიანი სისქის კედლით. საპყრობილეშიც კი ჩვენ სრულიად იზოლირებული ვიყავით სხვა პატიმრებისაგან. ხუთი წლის მანძილზე ერთხელაც არ გამოუშვიეართ გასასეირნებლად

ეზოში. საიდუმლო პოლიციამ ჩვენზე დააწესა სპეციალური მეთვალყურეობა. პოლიციის უფროსს, გოგრისებურ თავიან ოსმანს, უყვარდა ტრაბახი, რომ მის ციხეში, მის დაუკითხავად ბუზიც კი ვერ შემოფრინდებოდა. პოლიტიკურ პატიმართა შორის ბევრი იყო პროვოკატორი. ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ არც ერთი წუთით არ შეგვიწყვეტია ბრძოლა მათ წინააღმდეგ. უმკაცრესი პარტიული დისციპლინა, პასუხისმგებლობის შეგნება, რომელსაც გვაკისრებდა პარტიულობის მაღალი წოდება—აი რა წარმოადგენდა ჩვენს იარაღს.

ასეთ პირობებშიც გამოვნახეთ ჩვენ ხერხი დავკავშირებოდით არა მარტო პატიმარ ქურთებს, არამედ გარეთ მყოფ ქურთ გლეხებსაც. წარმოიდგინეთ, მიუხედავად სქელი კედლებისა და მაგრად ჩაჭედილ შვიდი რკინის კარისა, რომლებიც გვაშორებდნენ ჩვენ გარე სამყაროს, შევძელით დავკავშირებოდით მეგობრებს, რომლებმაც შემოგვიგზავნეს ციხეში „ლენინიზმის საკითხებისათვის“ და „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“. ჩვენ

ვკითხულობდით ამხანაგ სტალინის წიგნებს. შემდეგ კი შევძელით მათი გადაცემა ანკარის ციხეში მოთავსებულ ამხანაგებისათვის...

აქ კი? საპყრობილე მიდგმულია დიდ ნავსადგურთან. გისოსებში ჩვენ ვხედავთ, როგორ მიდი-მოდიან საფოსტო გემები. მაგრამ ჩვენ არამც თუ არაფერი ვიცით, რა ხდება ქვეყნად, არამედ არ ვიცით, რა ხდება ჩვენს გვერდით, სანაპიროებზე. ამ დროს კი სამსუნში გაფიცული იყვნენ მუშები, მოხდა შეტაკებები პოლიციასა და ჟანდარმებთან. ერეგლში გაფიცულებმა ზღვაში გადააგდეს პროვოკატორი ეთჰემ რუხი, რომელიც ურჩევდა გაფიცულებს გასულიყვნენ სამუშაოზე.

სტამბოლის ციხიდან ჩვენთან გადმოიყვანეს ხარაზი ნური. ჭკვიანი ახალგაზრდაა. თავი მშვიდად და მტკიცედ უჭირავს, ლაპარაკობს გალათის * მტვირთავებისა და აქსარას ხელოსნების არაჩვეულებრივი ჟარგონით. მისგან ჩვენ გავიგეთ, რომ სტამბოლის საპყრობილეში ასამდე კომუნისტია და რომ იმათ

---

* გალათი—რაიონი სტამბოლში.

გამოაცხადეს შიმშილობა. მათ შორის არიან ქალებიც. პატიმრების მოთხოვნები და შიმშილობის შესახებ ცნობა გაზეთებში მოხვდა. ამხანაგებს ბორკილები გაუყარეს. ერთხელ სასამართლოდან გამოსვლისას მათ მოუხდათ შეტაკება ჟანდარმებთან. ბევრი დაიჭრა. ნურიმ დაგვისახელა ჩვენთვის ნაცნობი გვარები.

ახლა გასაგები გახდა ღამით გამოძახება ლიპიან არაბთან და ინგლისელი ზიას სტამბოლიდან აქ ჩამოსვლა.

ნურისაგან აგრეთვე გავიგეთ, რომ ჩვენი ფოტოსურათები გაზეთებში გამოაქვეყნეს წარწერით: „კომუნისტები, რომელთაც მოელით სიკვდილით დასჯა". ამან კიდევ უფრო ჩაფუშა საიდუმლო პოლიციის გეგმები საპყრობილეში ჩვენი მოკვლის შესახებ. ხალხმა გაიგო, რომ ჩვენ დაპატიმრებული ვიყავით. აი რატომ აჭიანურებდა ჩვენს პროცესს პროკურატურა.

მაგრამ არც ჩვენ ვზივართ აქ გულზე ხელდაკრეფილნი. ვრაზმავთ გარშემო ხალხს. სატუსაღოში მრავალი წლის ყოფნამ ჩვენ ზოგი რამ გვასწავლა.

7 ნოემბერი

ჩვენს სატუსაღოში ზის პატიმარი, რომელსაც „მჭედელ ალის“ ეძახიან. ეს არის დარბაისელი, ყველასაგან პატივცემული ადამიანი. მაღალი, შავთმიანი, ყვავილისაგან დაკენკილი სახით და პირში უცვლელი ჩიბუხით. ის ატარებს წვეტიან კრაველის ქუდს და გრძელ შავ ენთარს — პერანგს, რომელიც იმავე დროს ასრულებს ხალათის მაგივრობას. საპყრობილეში ის მოხვდა გადასახადების გადაუხდელობის გამო.

მჭედელი ალი ძალიან დაახლოებულია კაპიტან ოსმანთან და მეუნაგირე ექშიოღლუსთან. ის მათ არ სცილდება. დღეს ალიმ მიგვიხმო თავის საკანში. შეუკვეთა ყავა ყველა თავისი ამხანაგებისათვის და ჩვენთვისაც.

იგრეხავს რა დაკოჟრებული თითებით გრძელს, თითქოს დათრთვილულ ჭაღარა ულვაშებს, ის ამბობს:

— ჩვენი ხელობა ძნელია, ჭუჭყიანი. სამაგიეროდ ჩვენ ვაკეთებთ დიდებულ, სასიამოვნო ნივთებს. ფოლადის გახურება და

გამოწრთობა ეს ხომ ნამდვილი სიამოვნებაა! ტყავის გამოყვანა! ვის შეუძლია გააკეთოს ასეთი მოქარგული ქისა ტყავისაგან, როგორც ჩვენს ექშის? ახლა ფეიქრის მუშაობა? აი ოსტატები! ჩვენ გვიყვარს ჩვენი შრომა, ჩვენი ხელობა, მაგრამ ღვთისაგან დაწყევლილ ჩვენს ქვეყანაში ხელოსნობით ოჯახს ვერ გამოკვებავ. შეიძლებოდა კი უფრო სხვანაირად მოგვეწყო ცხოვრება...

მჭედელი ჩაფიქრდა, ნელ-ნელა ბერტყავს ჩიბუხს და უცებ გამხიარულებული განაგრძობს:

— თუ არ ვცდები, ეს იყო... ცხრამეტი წლის ნოემბერში. ინგლისელები და ამერიკელები დიდი ხანია, რაც სტამბოლში იყვნენ. ისინი ჩვენც მოგვევლინენ სანაპიროზე. ბრუნდებოდნენ ჩვენი ტყვე ჯარისკაცები. მახსოვს, მაშინ ცოცხლები და ჯანმრთელები დაბრუნდნენ მეუნაგირე მეჰმედი, მექვაბე ჰამიდი, იალქნების ოსტატი დურმუში. ყოველ საღამოს ვიკრიბებოდით რომელიმე ჩვენთაგანის სახლში. ისინი ჩვენ გვიამბობდნენ: რუსეთში ჩამოაგდეს მეფე, აღსდგა ხალხი. წინ მიდიოდ-

ნენ მუშები. მათ სათავეში ედგნენ კომუნისტები. მათს ბელადს ეძახიან ლენინს. ამბობდნენ, რომ ის ძალიან სამართლიანი კაცია. ბეგები განდევნეს, მიწები გლეხებს დაურიგეს. ჩამოაყალიბეს საბჭოები და თქვეს: „დაე, ყველა ხალხმა, ვინც კი ქვეყნად არსებობს, იცხოვროს ძმურად“.

ამ დროს ქალაქში გამოაცხადეს, რომ მალე მუნიციპალიტეტის არჩევნები იქნებაო. როგორც კი ეს ხმა გავრცელდა ბაზარზე, ყოფილმა ტყვეებმა გადაწყვიტეს: მოვაწყოთ ჩვენშიაც საბჭოები!—მორჩა და გათავდა!

— კმარა! გვეყოფა მოთმენა! არ გვინდა ჩვენს ბატონად არც კულაკები, არც ბეგები!

ჩვენ ვერც კი მოვასწარით საქმეში გარკვევა, რომ ერთხელ დილით, როდესაც მე ვაღებდი ჩემი სახელოსნოს დარაბებს, ვხედავ მექვაბე ჰამიდს.

— დახურე დარაბები, ალი!

— რა მოხდა?

— საბჭოები უნდა მოვაწყოთ!

შეგროვდნენ ჩვენი ხელოსნები. იშოვეს წითელი დროშა—ისეთივე, როგორც ჩვენი

თურქული ბაირაღია, მხოლოდ უნახევარ-
მთვაროდ და უვარსკვლავოდ. მათ მაგიერ
ჩაქუჩი და ნამგალი იყო. ეს დროშა მომცეს
მე ხელში და მითხრეს არ მომეხსნა წინსა-
ფარი. ყველამ წითელი ბანტები მივიბნიეთ—
ზოგმა საღილეში გაიკეთა, ზოგმა კიდევ ყაბა-
ლახზე, და შეითანბაზრის გზით გავემართეთ
უზუნჩარშისაკენ. მივდიოდით და გავიძახო-
დით: „გაუმარჯოს საბჭოებს!“

ვერც კი მოვასწარით ვალის სახლამდე
მისვლა, რომ მოედანზე ციხის ახლოს ატყდა
სროლა. მე მიმქონდა დროშა თავს ზევით
აღმართული, როგორც პატარძლის თავ-
საბურავი... ვაჭრებმა დახურეს დუქნები და
მოუსვეს...

მაშინ ჩვენს ოლქში მოქმედებდა აჯანყე-
ბულთა პატარა რაზმი. მას მეთაურობდა
ერთი გლეხი, სახელად ქეჩელი. იგი ისე იყო
გაბოროტებული ენვერფაშაზე, ხელში რომ
ჩავარდნოდა ნაკუწებად აქცევდა. გლეხებს
ძალიან უყვარდათ ქეჩელი. იგი ენათესავე-
ბოდა ჩვენს მეუნაგირე მეჰმედს.

თურმე ჩვენებმა ყველასაგან საიდუმლოდ

შეატყობინეს ქეჩელს ამბავი და იგი თავისი რაზმით დაეშვა მთებიდან. პირველ რიგში რაზმი თავს დაესხა საპყრობილეს. ფართოდ გააღეს აი ამ საპყრობილეს კარები, რომელშიაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, და ყველანი გამოუშვეს. ჩვენ შევიჭერით ვალის სახლში, მაგრამ მისი კვალიც კი აღარ ჩანდა.

დროშას მე სულ მხარით ვატარებდი. საპყრობილედან განთავისუფლებულები მთხოვენ: „მოგვეცი, ჩვენ წამოვიღებთ“. მაგრამ მე არ მივეცი. ვხედავ: ხალხში სულ უფრო და უფრო მრავლდება შეიარაღებულები.

ხალხი სასამართლოში, პირდაპირ სხდომის დარბაზში შეიჭრა სწორედ იმ დროს, როდესაც მოსამართლე ეუბნება გლეხს:

— მოიყვანე მოწმეები?

ქეჩელი ახტა მოსამართლის ადგილზე და მთელი ხმით წამოიძახა:

— აი ისინი, მოწმეები, მოვიდნენ!

სასამართლო გაფანტეს, ხოლო ბრალდებულს ეუბნებიან:

— წადი, ძია, დაიბრუნე შენი მიწა!

ის მაინც დგას და აქეთ-იქით დაბნეულად იცქირება.

იმ დღეს საღამომდე ქუჩები სავსე იყო ხალხით.

— შევკრიბოთ მეჯლისი, მოვაწყოთ საბჭოები!—ვამბობდით ჩვენ მოედანზე.

ხელისუფალნი და ჟანდარმები სულ მიიმალნენ. არც ერთი მდიდართაგანი ქუჩაში არ გამოჩენილა. მეორე დღეს მოაწყდა ხალხი მეზობელ სოფლებიდან. შიმშილობა იყო. გავაღეთ საწყობები, ღარიბებს დავურიგეთ სიმინდი და მარილი, შევადგინეთ საბჭოში ასარჩევთა სია. მეც კანდიდატად ჩამწერეს. აუცილებლად აგირჩევთო, მეუბნებოდნენ.

მთელი ჩვენი ხელოსანთა ბაზარი აიშალა. მაგრამ ჩვენ არაფერი არ ვიცოდით, ისიც კი არ ვიცით, თუ რა ხდებოდა ჩვენს მეზობლად მდებარე სოფელ თეთეკოზში. საპყრობილე გავაღეთ, დერებეების მამულისათვის კი ხელიც არ გვიხლია...

გავიდა სამი დღე. უკვე მოვემზადეთ საბჭოების ასარჩევად. ამასობაში ტრაპიზონიდან ჩვენ წინააღმდეგ გამოგზავნეს ჯარები, ისინი შემოვიდნენ ქალაქში, ატყდა სროლა, დაიწყეს დაპატიმრება. მოგვიხდა დემირდაგის მთებ-

ში გადამალვა. ჩვენ კიდევ დიდხანს ვატა-
რებდით იარაღს. მთავრობას არ ეცალა ჩვენ-
თვის სადევნად. დაიწყო ომი დამოუკიდებლო-
ბისათვის და ჩვენ წავედით ფრონტზე...

ამგვარად, საბჭოები ველარ ავირჩიეთ.
სწორადაა ნათქვამი: სანამ თორნე ცხელია,
პური მანამ ჩააკარიო. მაგრამ ვინც საქმეს
მოკიდებს ხელს, ჩვენსავით, ყოველგვარი
მომზადების გარეშე, მას ყოველთვის ულვა-
შებზე წვეთავს, პირში კი არ ჩაუდის. რა-
საკვირველია, ბრძენად არავინ არ იბადება.
ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, როგორ მო-
გვეწყო საბჭოები. მაგრამ ასე თუ ისე, ერთ
დღეს მაინც ვიყავით ჩვენი თავის ბატონ-
პატრონი!..

მე გადმოგცემთ მჭედელ ალის ამ ნაამ-
ბობს ისე, როგორც ეს აღიბეჭდა ჩემს მეხ-
სიერებაში.

მოხუცმა მჭედელმა ტყუილად როდი შე-
გვკრიბა ჩვენ. დღეს 7 ნოემბერია, დიდი
ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის
წლისთავი. ჩვენ, ორი კომუნისტი, ამჯერად
ვხვდებით მას ზღვისპირა საპყრობილეში თვით

პორტის ნავსაბელებთან. იყო კი დრო, როცა ამ დღეს ჩვენ აღვნიშნავდით ხოლმე მარდინეს საპყრობილეს დაბეტონებულ მიწის ქვეშ. ჩვენ ვიყავით მიწის ქვეშ, მაგრამ ჩვენმა მტრებმა იქაც ვერ დაგვაჩოქეს! და შორეული დიარბექირის საპატიმროდან ხალხს ვუპატაკებდით: „ჩვენ არ შევჩერდებით, მზადა ვართ ბრძოლისათვის!“.

ერთგულება მოვალეობისადმი

ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში ნაყოფიერ ნიადგრად მოედვა დედამიწას. ამოძრავდნენ კოლონიური და დამოკიდებული ხალხები. ინგლის-ამერიკელ იმპერიალისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელმაც ურთიერთშორის გაინაწილეს მაშინ ანატოლია, აღსდგა თურქი ხალხიც. სუსტმა, ჯერ კიდევ მოუმწიფებელმა თურქეთის კაპიტალიზმმა, შეეშინდა რა საყოველთაოდ სახალხო მოძრაობის, მოიმშო-

ბიარა და ეყოლა ნაბიჯვარი: ქემალიზმი, ზედაფენური ბურჟაზიული „რევოლუცია“. მდგომარეობა შეიქნა ისეთი, რომ ხალხთა მასები—მუშები და გლეხები—იბრძოდნენ ინტერვენტების წინააღმდეგ და კვდებოდნენ, ხოლო ხელისუფლება კაპიტალისტებმა და მემამულეებმა ჩაიგდეს ხელ'ში.

დასამალი არ არის, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს 1919-23 წლებში, თურქეთის მუშათა კლასი იყო მცირერიცხოვანი, არაორგანიზებული და გამოუცდელი. კომუნისტური პარტია მაშინ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ადგამდა. ქვეყნის მთავარი სამრეწველო ცენტრები ოკუპირებული იყო ანტანტის მიერ. ყველაფერმა ამან გამოიწვია ის, რომ ხალხთა მასები ამ ომიდან გამოვიდნენ კიდევ უფრო გაძარცულნი.

მხოლოდ შეიარაღებული ხალხთა მასების ზეგავლენით ქემალისტები იძულებულნი გახდნენ მიეღოთ მონაწილეობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომში. მაგრამ ისინი მაშინაც მალულად უთანხმდებოდნენ იმპერიალისტებს და შემდეგაც არასოდეს არ უარყოფდნენ მათთან კავშირს.

ქემალისტებმა, ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე, დაუნდობელი ტერორი დაატეხეს თავს მუშათა კლასს, კომუნისტურ პარტიას, პატრიოტებს... ტერორი უფრო ძლიერდებოდა ყოველთვის, როცა ისინი რაიმე მორიგებას აღწევდნენ რომელიმე იმპერიალისტურ დაჯგუფებასთან. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის ყველაზე მძიმე დღეებში ქემალისტებმა ზურგში ჩასცეს მახვილი თურქ ხალხს—მათ გამცემლურად მოჰკლეს კომუნისტური პარტიის მეთაურები, წყალში დაახრჩვეს ისინი. ეს სისხლიანი დრამა შავ ზღვაზე შემთხვევით როდი გათამაშდა სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ვაშინგტონიდან ჩამოსული ამერიკელი გენერალი ჰარბორდი „კერძო“ მოლაპარაკებას აწარმოებდა ანკარაში.

ხელისუფლების სათავეში ჩადგომის პირველ დღეებიდანვე ქემალისტები ვაჭრობენ ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობით და სუვერენული უფლებებით, რაც დიდი ხანია ხურდა ფულად გახდა მათთვის იმპერიალისტურ ბაზარზე მორიგებისათვის.

ახლა ანკარის პოლიტიკანები ახალი სამ-ხედრო ავანტიურისათვის ემზადებიან. იჯარით გადასცეს რა ქვეყანა ამერიკელ იმპერიალისტებს, ქემალისტები ოცნებობენ „სამ კონტინენტზე მოთავსებულ დიდ თურქეთზე“. გაშალეს რა ავანტიურისტ ენვერის რუკა, ისინი ბოდავენ: „ჩვენ გადავლახავთ კავკასიის მთებს, ჩვენ გავალთ დუნაის ნაპირებზე“! თურქეთის ფაშისტების—პანთურქისტების—მეთაურები გამუდმებით ყოველ გზაჯვარედინზე გაჰყვირიან, რომ ისინი მზად არიან საბჭოთა კავშირის და დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ამერიკის იმპერიალიზმის გონებადაკარგული იანიჩარები თავიანთ გეგმებში არ ითვალისწინებენ ყველაზე მთავარს—თურქეთის მშრომელთა მასების ნება-სურვილს.

ჩვენ, კომუნისტები, ბოლომდე ვიქნებით ერთგულნი პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა. შეუბრალებლად ვიბრძოლებთ მის წინააღმდეგ, ვინც ემზადება თურქეთის ხალხის მეგობარზე — საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად.

ჩვენ შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას მხოლოდ იმ პირობით, თუ გვექნება ურყევი კავშირი მასებთან, თუ ჩვენ შევძლებთ მასების ორგანიზებას, ჩანკაიაში* მოკალათებულ ანტიხალხური დამქაშების გამცემლური როლის, მათი ავანტიურისტული გეგმების შეუწყვეტლივ გამოვლინებას.

არნივი ჯაჭვებში

უკვე დიდი ხანია, რაც ჩვენ ამხანაგთან ვარკვევთ თურქეთის ეროვნულ და გლეხობის პრობლემებს. ჩანს, ამ საუბრით გამოწვეული შთაბეჭდილების გამო მე მიზიდავს დაუძლეველი სურვილი მოვისმინო ოპერა „ივანე სუსანინი“. მე ამის შესახებ ვეუბნები ამხანაგს. ის ამოიოხრებს და ღიმილით ამბობს:

---

* ჩანკაია—პრეზიდენტის რეზიდენცია.

— შენ დიდი სურვილი დაგბადებია! მე, მაგალითად, თანახმა ვარ შტრაუსის ვალსისაც კი...

კვლავ წვიმს. როგორ დაბლა ჩამოწოლილან შავი ღრუბლები! გეგონებათ თითქოს ბინდდება. ეზოში არავინ არის. მე ვეშვები დაბლა, მთიელთა საკანში. აქამდე ვერასოდეს ვერ აღწევს მზის სინათლე. კედელზე ჩამოკიდებული ჭრაქები ოდნავ ანათებენ საკანს. ტუსაღები ჩაცუცქულნი არიან ნარის ნაპირებზე. მთიელები თითქმის ყოველთვის ასე სხედან. ახლა ისინი მოგაგონებენ გარეთ მყოფ დიდ ფრინველებს. მაგრამ არ ჩანს მორჩილება არწივისებურ გამოხედვაში... როდესაც ისინი შეირხევიან, ჭერზე, კედლებზე ჭრაქის მოწითალო სინათლეში ამოძრავდებიან გაურკვეველი ჩრდილები და გეჩვენებათ, თითქოს ვეებერთელა ფრინველები ისწორებენ ფრთებს და საცაა გაფრინდებიანო.

მე მივდივარ გლეხ შაბანთან და ვჯდები მის გვერდით ცხვრის უხეში შატყლისაგან გაკეთებულ ჭილობზე. ამ გლეხს უყვარვართ ჩვენ არა ნაკლებ „ბოლშევიკისა“. ის ჩაცუც-

ქულა თავის კუთხეში. მას სახის მეტად მკვეთრი ნაკვთები აქვს. თვალები უმოძრაოდ მიმართულია შორს, ფანჯრის გისოსის იქით, რომელიც ვიწროა ისე, როგორც სათოფურის ჭუჭრუტანა. ის მღერის დესტანს:

მეჩეთთან სისხლით შეევიღებე, მე ამას ვგრძნობდი.
ციხის კედლებთან მე ბტრებს ფრთხილად
ვუდარაჯებდი,
ჩასაფრებული მე ყანდარმებს ტყვიებს ვესროდი.

დესტანი გრძელია. მე იგი თითქმის დამავიწყდა.

— მითხარი, ვინ შეთხზა ეს დესტანი?

— ჩვენი სოფლის გოგონები ასე მღეროდნენ ჩემზე.

მე უსმენ შაბანის თხრობას:

— ჩვენი სოფელი მდინარე ფირტინზეა, ზღვისაგან ძალიან შორს. ჯერ კიდევ ჩემი პაპა ჩასახლდა ამ მთიან სოფელში, სადაც ორმოცდაათი-სამოციოდე მოსახლეა და ისე არიან გაფანტულები, რომ ერთად ხუთ სახლსაც ვერ დაინახავ. მინდვრები ციცაბო კლდეებზეა. გარდა სიმინდისა და ქერისა, არაფერი არ მოდის.

ეს იყო ორი წლის წინათ. გაზაფხული იშლებოდა... ეხ!

მაშინ ჯარიდან ახლად დაბრუნებული ვიყავი. წამიყვანეს საგზაო ბეგარის მოსახდელად — ქვების სამტვრევად. დაბოლოს შინ დავბრუნდი. ყანაში მე და ჩემი ცოლი ვმუშაობდით, მზე უკვე ეშვებოდა. უცებ შორიდან მესმის მამაჩემის ხმა. შემდეგ თვითონაც გამოჩნდა. წვერს იგლეჯს, თვალებში სისხლი აქვს მოწოლილი.

— ნურიქოლლუ, ამას მხოლოდ სისხლით ირეცხავენ, სისხლით!—ყვირის ის.

— რა მოხდა? თქვი მალე!

— მოვიდა გადასახადების ამკრები. „ამჯერადაც არ შეგვიძლია გადახდა“,—ვეუბნები მას. არც კი მომისმინა. შევიდა სახლში და ჩამოგლიჯა ქვაბი, ხოლო შენი ცოლის ქვედა საცვალი მეჩეთის კარებზე ჩამოჰკიდა, „სხვებისთვის ჭკუის სასწავლად“. შაბან! ეს სირცხვილი მხოლოდ სისხლით შეიძლება მოიბანოს, მხოლოდ სისხლით...

თავში მეხივით დამკრა, ფეხქვეშ ნიადაგი გამომეცალა. შემდეგ რა მოხდა? კარგად არ

მახსოვს. მახსოვს მხოლოდ, თუ როგორ ვიტენიდი ვაზნებს უბეში ბიძაჩემის სახლში.

ამინდი იმავე წუთში უცებ შეიცვალა. ხედავთ როგორი ამინდები იცის ჩვენში— ერთ საათში წვიმა გადაიღებს, ქარი ამოვარდება, შემდეგ ისევ მზე ამობრწყინდება.

მეჩეთი შორსაა ჩვენი სახლიდან. ღამდებოდა, სწორედ ისე, როგორც აი ახლა. მივდიოდი და ვერაფერს ვხედავდი. როდესაც მივუახლოვდი მეჩეთს, წვიმა შოლტებივით მირტყამდა. სამლოცველო ოთახიდან ისმოდა ხმები. მივედი ფანჯარასთან. პირველი, რაც მე დავინახე, იყო ზღურბლთან ჯოხზე ჩამოკიდებული ქალის ქვედა საცვალი. ჩემს თავში რაღაც ისე შხუოდა, რომ სიტყვებს ველარ ვარჩევდი. მესმოდა მხოლოდ ჩვენი სოფლის ბობოლას სიცილი: ამკრები ჰყიდდა საცვალს, ბობოლა კი მზაკვრულად იცინოდა და უმატებდა ფასს. მახსოვს ვიღაცამ თქვა:

— ეს არ არის საკადრისი. როგორი შერცხვენაა!

აღა სულ იცინოდა.

ბოლოს ყველანი წამოდგნენ. მეჩეთის კა-

რები გაიღო. პირველად გამოვიდა გადასახადების ამკრები. მე დავიხიე უკან, ქვისაკენ, რომელზეც კუბოს დგამენ. ამკრების შემდეგ გამოჩნდა აღა. მას ხელში ეჭირა საცვალი და ხმამაღლა იცინოდა. როგორც ახლა მაგონდება, მხოლოდ ორი გაელვება ჩემი შაშხანის ლულიდან და—მორჩა...

შაბანს თვალები გაუფართოვდა, აენთო. აკრაჭუნებს კბილებს.

— ორივე ჩააძაღლე?

— ამკრებმა კიდევ იცოცხლა ცოტა ხანს. მისი სიტყვებით მომისაჯა მოსამართლემ სიკვდილი. აღამ ხმის ამოღებაც ვეღარ მოასწრო.

— შენ მაშინვე შეგიპყრეს?

— არ-ა ა! მე მთებში დიდხანს ვიმალებოდი. ვებრძოდი ჟანდარმებს. დამსჯელთა რაზმმა ჩემი სახლი გადასწვა. რაზმის შედგენა მე ვერ შევძელი. მაშინ არ მყვანდნენ ამხანაგები. აი ნეტავ შემახვედრა ის ქურთი, რომელმაც გადამარჩინა ჟანდარმებისაგან! მაშინ მე არმიიდან გამოვიპარე და დამჭრეს მდინარე სახოსთან. ერთი კაცი ხომ ჭამაშიაც ცოდვაა, არა... აღას შვილი ჟანდარმებთან ერთად ჩასაფრებულიყო გზაზე. მე

წავაწყდი მათ საფარს. დაჭრილი ვიყავი და ველარ მოვახერხე თავის დაღწევა...

შაბანი ოხრავს. ფეხებზე მას ბორკილები ადევს. ჯაჭვები დაბლა აქვს გადმოკიდებული. ის წამოცუცქულა, სწორედ ისე, როგორც არწივი ჯაჭვებში.

ნათურების წითელი ენები კიაფობენ, იზრდებიან. საკანში მძიმე, დახუთული ჰაერია — ჭუჭყიანი სხეულებისა და ძონძების სუნი არეულია თამბაქოს ბოლში. ჭლექიანი ტუსაღები გამუდმებით ახველებენ, სისხლს აფურთხებენ.

იხურება საკნის კარები. მედილეგეს ზევით მივყავართ. ეზოში გუშაგების სტვენა ღამის სიჩუმეს კვეთავს. ქარია. წვიმა უ'ძახპუნებს. ტალღები რკინის გისოსებს ეხეთქებიან.

საპყრობილეები ვერ გასწვეხენ ბრძოლისადმი სურვილს

თურქეთის საპყრობილეების უმეტესობა აშენებულია ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. ეს არის აშმორებული, პარაზიტებით მოწამლული

აკლდამები. ჩვენი საკნის ჭერიდან წვიმასავით ცვიოდნენ ბაღლინჯოები. მათთან განუწყვეტლივ ვაწარმოებთ ბრძოლას.

აფიონკარაჰისარის საპყრობილეში პატიმრები ჭრაქის სინათლეზე ვიჭერდით რწყილებს, მძივებად ვაცვამდით ძაფზე. დიარბექირის ჯურღმულებში ბევრ უსიამოვნებას გვაყენებდნენ 15—20 სანტიმეტრის სიგრძის მორიელები.

ანკარაში ქალაქის ახალი ციხე აშენებულია ჯებეჯის სასაფლაოს გვერდით. ერთი კაცისათვის განკუთვნილი საკნები წარმოადგენდნენ რკინა-ბეტონისგან გაკეთებულ კუბოებს. კედელზე მიმაგრებულ საწოლის სასთუმალთან დგას პარაშა. სინესტე ძვლებამდე ატანს. ვირთხები იმდენად გათავხედნენ, პურს გვტაცებენ ხელიდან. ქემალისტები ტრაბახობენ, რომ თურქეთის სატახტო საპყრობილე არ ჩამორჩება ამერიკის საწამებელს — „სინგ-სინგს“.

ქალაქი მარდინი მთაზეა გაშენებული. ამ ქალაქში საპყრობილე ორმოცი საფეხურით მიწაშია.აქ ერთი კაცისათვის განკუთვნილი და-

ჟანგული რკინის გალიებია, რომელთა ქვეშ წყალი მიედინება. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ ცოცხლად ლპებიან ამ გალიებში ქურთი და არაბი ჭაბუკები.

იზმირის საპყრობილე მოთავსებულია ერთ-ერთ ხალხმრავალ რაიონში, მუშათა კვარტალის ახლოს. აქ საკნები განლაგებულია გრძელი ტალანის ორივე მხარეზე, რომელთაც სახურავის მაგიერ რკინის გისოსი აქვთ. მე იქ ვიჯექი № 12 საკანში. თითოეულ რკინის კარს შუაში დატანებული აქვს მუჭისოდენა „საჭვრეტი“. მხოლოდ მისი საშუალებით აღწევს საკანში დღის სინათლე. ჩემთან ერთად ამ საკნებში იჯდა 55 ბორკილგაყრილი კომუნისტი. ყოველ საღამოს, როცა საპყრობილეს ახლოს გაივლიდნენ ხოლმე ქარხნებიდან დაბრუნებული მუშები, ჩვენ მივეკვრებოდით რა „საჭვრეტს“, ვმღეროდით ინტერნაციონალს. ჩვენი ხმები გადაევლებოდნენ საპყრობილეს კორპუსებს და მიფრინავდნენ გარეთ. საღვინე კასრივით მუცელგაბერილი, სიბრაზისაგან ათპხთახებული ჟანდარმერიის სერჟანტი გვიყვიროდა:

— გაჩუმდით! აი, მე თქვენ გიჩვენებთ!

გუშაგები გვეუბნებოდნენ, რომ მუშები ჩერდებოდნენ და ყურს უგდებდნენ ჩვენს სიმღერას.

თურქეთში 460 საპყრობილეა. მაგრამ ქემალისტები კიდევ და კიდევ აშენებენ. თურქი ფაშისტები ტრაბახობენ ზონგულდაკში აშენებული ახალი საპყრობილით, რომელიც მოთავსებულია ქვეყნის ერთ-ერთ მუშათა ცენტრში; ამბობენ, თავისი „ეფექტურობით“ ის გადააჭარბებს ბოდრუმის სატუსაღოსაც კი, რომელიც აგებულია კლდოვან ნახევარკუნძულზე, და რომლის საკნების ფანჯრებს ეხეთქება ზღვის ტალღები.

თითქმის ყველა სოფელში ქემალისტებმა ააგეს საჟანდარმო უბნები მაშინ, როცა 38 ათას სოფლიდან 23 ათას სოფელში დაწყებითი სკოლაც კი არ არსებობს.

აშკალაში სიკვდილის ბანაკის ორგანიზატორებმა მთელი თურქეთი გადააქციეს საპყრობილედ. მათ შემოიტანეს იტალიიდან ფაშისტური სისხლის სამართლის კოდექსი,

ჰიტლერული გერმანიიდან — გესტაპოს წამების ხერხები, ხოლო ამერიკიდან — თავისუფლების ჩახშობისა და მშვიდობის მომხრეთა დევნის გაუმჯობესებული მეთოდები.

კომუნისტებს, პატრიოტებს ასამართლებენ მხოლოდ დახურულ საგარნიზონო სასამართლოებსა და სპეციალურ სამხედრო ტრიბუნალებში. ხალხის მოძრაობით შეშინებულმა თურქეთის ბურჟუაზიამ გაატარა თავის ამერიკანიზირებულ მეჯლისში ფაშისტური კანონი „კომუნიზმთან ბრძოლის შესახებ“.

თურქ კომუნისტებს შორის ბევრი სრულიად ახალგაზრდა, უწვერულვაშო ჩაყარეს საპყრობილეში, საიდანაც, ვინც სიკვდილს გადაურჩა, გამოვიდნენ თეთრწვერა მოხუცებად. გრძელ სიას შეადგენდა იმ კომუნისტების სახელები, რომლებიც 15-20 წელიწადს ისხდნენ საპყრობილეში. მთელი რიგი წლების განმავლობაში ასობით კომუნისტი დაეხეტებოდა ეტაპებით საპყრობილედან საპყრობილეში, გადასახლებიდან გადასახლებაში.

ოცდაათი წელიწადია, რაც თურქეთის

კომუნისტები მტრის წინაშე, სასამართლოებსა და სამხედრო ტრიბუნალებში, საპყრობილეებსა და პოლიციის ჯურღმულებში, იმეორებენ როგორც ფიცს, 1920 წელს სიკვდილით დასჯილ თავიანთ ამხანაგის მესუდის უკანასკნელ სიტყვებს:

„გაუმარჯოს თურქეთის კომუნისტურ პარტიას!“

ოთხმოცდამეცხრამეჯვეჯერ

ღამის სიწყნარეში, წვიმის ხმაურში, ამხანაგი მიამბობს სამხედრო-საზღვაო სკოლის კურსანტების აჯანყების შესახებ. ერთხელ დილით, როცა სასწავლო გემზე დაუკრეს ასადგომი ბუკი, კურსანტები საწოლებიდან არ წამოდგნენ. მათ უარი თქვეს საუზმეზე, არ გავიდნენ სამეცადინოდ, ხოლო მორიგი ოფიცერი კაიუტაში ჩაჰკეტეს. საქმემ სერიოზული მიმართულება მიიღო. გამოცხადდა კაპიტანი და ბრძანა ჩამწკრივებულიყვნენ

გემბანზე. როცა მან იკითხა, თუ რა სურთ მათ, კურსანტები დაიბნენ. ზოგმა თქვა, რომ საწოლები ვარდება, ზოგმა — ჩანგლები, თეფშები არ გვაქვსო. მხოლოდ ერთი არ დაბნეულა. გადადგა ნაბიჯი წინ, მისცა სამხედრო სალამი.

— ინგლისელები და ამერიკელები დაუკითხავად შემოიჭრნენ ჩვენს ქვეყანაში. ასე ცხოვრება შეუძლებელია. რატომ გვაძლევთ თქვენ სასწავლო შაზხანებს უსაკეტოდ?

ჯანყი გათავდა მით, რომ სადილობისას თეფშების გვერდით დააწყვეს წყვილი დანა-ჩანგალი, კოვზები, ხოლო მათ, რომლებმაც მოითხოვეს იარაღი ინგლის-ამერიკელ ინტერვენტების წინააღმდეგ საბრძოლველად, გახადეს მუნდირები. საყვირის ხმების ქვეშ მისცეს მოწმობები „ნამდვილი“ სამსახურიდან დათხოვნის შესახებ და ჩამოსწერეს გემიდან. ერთი ასეთი დევნილთაგანი იყო ჩემი ამხანაგი.

— მე მაშინ რძე კიდევ არ მქონდა ტუჩზე შემშრალი. ვიყავი მხოლოდ ჩვიდმეტი წლის, — ამბობს ის.

რამდენჯერ ვისმენ ამ ამბავს! საპყრობილეში სიტყვაძვირი ადამიანებიც კი რამდენჯერმე უყვებიან ერთიმეორეს თავიანთი ცხოვრების თავგადასავალს... ზოგიერთი იმდენჯერ იმეორებს თავის ამბავს, რომ ზეპირად იმახსოვრებს მას. ვერც კი მოასწრებს რომელიმე მათგანი პირის გაღებას „საინტერესო“ შემთხვევის მოსაყოლად, რომ დანარჩენები სიტყვას აწყვეტინებენ:

— ჩაიწერეთ, ოთხმოცდამეცხრამეტეჯერ! — და ყველა ერთსულოვნად იცინის.

გაზეთებს არც ახლა გვაძლევენ. წიგნებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ხანდახან ვიწყებთ ოცნებას — და უეცრად შორეული ვარსკვლავებიც ახლოს გვეჩვენება, სულ ახლოს. მომავალი — მზის სინათლეში გვეხატება. სიცოცხლე უფრო ძვირფასი ხდება. ჩვენ დავამხობთ ფაშისტურ რეჟიმს, ჩვენ კიდევ ვნახავთ თავისუფალ თურქეთს.

გავანგრიოთ ეს კედლები, გავიდეთ ამ ქვის ტომრიდან, გავიქცეთ საპყრობილედან, კვლავ გარეთ ვიბრძოლოთ — აი როგორი განზრახვებით ვცხოვრობთ ჩვენ.

პაჭიმრების ნაამბობი

ბევრი საინტერესო ისტორია მოვისმინეთ საპყრობილეში ჩვენი კომუნისტი ამხანაგებისაგან. ეს დიდი აღმზრდელობითი ლიტერატურაა! ამით ეცნობი გამბედაობის, მოხერხებულობის, სიდინჯის, დისციპლინირების, სიმამაცის და ინიციატივის ნიმუშებს — თითოეული კომუნისტისათვის მეტად საჭირო თვისებებს. გიამბობთ რამდენიმე შემთხვევას, რაც დამამახსოვრდა.

„თეთრი მაჯარებელი"

... პირველ მაისს ქალაქის ქუჩებში აკრძალულია სამი მუშის ერთად გამოსვლაც კი. პოლიცია, ჟანდარმერია, სამხედრო ნაწილები საომარ მდგომარეობაში მოჰყავთ. გარეუბნებში, ველებზე, დაუსახლებელ ადგილებში, სადაც შესაძლებელია შედგეს მუშათა კრებები — ეწყობა სამხედრო მანევრები.

ერთხელ ადაწში, პირველ მაისს, მუშათა მორიგი ცვლების საათებში ფაბრიკა-ქარხნებში ტელეფონებმა დარეკეს.

— მოდის „თეთრი მატარებელი“! პრეზიდენტი ჩამოდის! მიეცით საყვირი!

აგუგუნდნენ ქარხნის საყვირები. მუშები დაიშალნენ შეძახილებით—„დაამთავრე მუშაობა!“. გაჩერდნენ დაზგები. ხალხი ქუჩაში გამოეფინა.

მოესმათ რა პოლიციელებს საყვირების ხმა, გაეშურნენ საქარხნო უბანში ჩარჩაბუკ—კურუპეპრიუში. ამ დროს ქალაქის მეორე ბოლოში—პაპაზინბაჰჩესში — გაიმართა სახელდახელო მიტინგი. სანამ პოლიცია მიხვდებოდა, რომ იგი გააბრიყვეს, სანამ ის იქ მივიდოდა, მიტინგი დამთავრდა, ყველა დაიშალა, ხოლო წითელი დროშა, რომელიც ერთ-ერთ ალვის ხეზე იყო აღმართული, რამდენიმე საათს ეკიდა იქ.

„ხმამაღლა მოლაპარაკე“

...პროფესიით ეს ყმაწვილი ხარატია. ლამაზი, მაღალი ხმა აქვს. მუშებმა მას „ხმამაღლა მოლაპარაკე“ შეარქვეს. ის არაჩვეუ-

ლებრივი ენერგიის ადამიანია. როგორღაც ერთსა და იმავე საღამოს იგი შვიდ სახელდახელოდ მოწვეულ მიტინგზე გამოვიდა ფაბრიკა-ქარხნების ალაყაფის კარებთან სტამბოლის სხვადასხვა რაიონში.

დღე-ღამის გაყრისას იგი შეიძლებოდა გვენახა კაისმფაშის უბანშიც, აივანსარაიშიც, კაზლიჩეშმეშიც. გლეხურ ტანსაცმელში, ბოსტნეულით სავსე ვედროთი ხელში, ის დაეხეტებოდა მუშათა განაპირა უბნების ქუჩებში და ხმამაღლა გაიძახოდა:

— წნილი!.. წნილი!., ვის უნდა წნილი?!

ძალიან სწრაფი სიარული იცოდა. ერთხელ მასზე ადევნებულ სამძებრო პოლიციის ხნიერ აგენტს გული გაუსკდა და უსულოდ დაეცა. ვერც კი მოასწრებდი უკან მოხედვას, რომ ხარატი უკვე გაუჩინარდა. ხოლო ქუჩის კუთხეებში, სადაც ჭაბუკმა ის-ის იყო თავისი ვედროთი ჩაიარა, გროვდებიან გამვლელები და კითხულობენ კედლებზე გამოკრულ კომუნისტური პარტიის ფურცლებს.

... მას საბოლოოდ შერჩა შერქმეული სახელი — „ქაღალდის ფრანი“. იგი შოფერია, ირიბი თვალები აქვს, როგორც ჩინელს.

ეს შემთხვევა მოხდა დიდი მასობრივი დაჭერებისა და თავდასხმების დროს. საიდუმლო პოლიციაში ათასობით მუშებს აწამებდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტრო იკვეხნიდა: „თურქეთში აღარაა კომუნისტებიო“. მაგრამ კომუნისტური პარტიის ორგანიზაციები, მტრის ჯიბრზე, ახალსა და ახალ პროკლამაციებს უშვებდნენ.

საიდუმლო პოლიციაში მაშინ მუშაობდა ვინმე მიუჯიბი—ტიპიური იანიჩარი, სისხლმოწყურებული ჯალათი. განსაკუთრებული სიბოროტით ეპყრობოდა ხოლმე ის ეროვნული უმცირესობის კომუნისტებს. საერთოდ, პოლიციაში ბერძენი, ქურთი, სომეხი, ლაზი კომუნისტები ყველაზე უფრო საშინელ წამებასა და დამცირებას განიცდიან.

მიუჯიბი ყველგან დიდი ჯოხით დადიოდა. საყავეებში, ქუჩებში, დუქნებში ის

იკვეხნიდა, კომუნისტს ას მეტრზე გამოვიცნობო.

ერთხელ, როდესაც პოლიციის ეს ახმახი აგენტი ანკარაში კარაოღლანის ბაზარზე მიდიოდა, ყველა გამვლელი უკან მისჩერებოდა: მას ჭურგში ღილზე მიმაგრებულ ძაფზე „ქაღალდის ფრანი“ მისდევდა. ეს იყო პროკლამაცია, რომელიც პროტესტისაკენ მოუწოდებდა ქვეყნად გამეფებული ფაშისტური ტეროორის წინააღმდეგ... იგი მიუჯიბის ზურგზე ჩვენმა შოფერმა მიაბნია.

როდესაც ამის შესახებ მოჰყვება ხოლმე „ქაღალდის ფრანი“, სიცილს ვეღარ იკავებს.

კომკავშირელები

... ისინი სამივე კომკავშირელია. 17 — 19 წლისანი არიან. ერთი მათგანი იზმირში დააპატიმრეს. პოლიციაში მას აიძულებდნენ ნაკვერცხლებზე გაევლო ფეხშიშველი. იგი აქამდის კოჭლობს. მაღალი, ზორბა ბიჭია.

... — ნაკვერცხლებზე სიარული მინდორში

ღიღილოს კრეფა როდია, — ხუმრობს ხოლმე ის.

მეორე—სუსტი, ნაზი აგებულებისაა. დაპატიმრეს თამბაქოს ქარხნის მუშების გაფიცვის დროს სამსუნში. პოლიციაში ის ჯერ შიმშილით აწამეს, მერე მლაშე პურით კვებეს, და რამდენიმე დღეს წყალი არ ასვეს. ამ სუსტმა ყმაწვილმა ბლანტ, ტალახისებურ ციხის პურისგან გააკეთა ხუთქიმიანი ვარსკვლავი, შეღება ჭრილობებიდან გამოჟონილი სისხლით და მკერდზე მიიწება.

მესამე კომკავშირელი — საშუალო ტანის ჩასკვნილი ყმაწვილია. ერთხელ ღამით, სტამბოლში, როცა იგი კედელზე ფურცელს აკრავდა, მის წინაშე პოლიციელი აღიმართა.

— აა, ჩამივარდი, ჩემო კარგო!

კომკავშირელი ოდნავადაც არ დაბნეულა, მიაჩეჩა ხელში პოლიციელს შრეშიანი ქილა, ფუნჯი და პროკლამაცია.

— აჰა, დაიჭი!

როცა ჭაბუკი კუთხეს მოეფარა, „ფარაონი“ მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს. მთელი ძალ-ღონით ჩაბერა მან თავის სასტვენს, მაგრამ საზრიანი ახალგაზრდა უკვე შორს იყო.

საპყრობილეში ახალი პატიმარი მოგვევლინა. ის დგას ეზოში და, როგორც დამფრთხალი შველი, აქეთ-იქით აცეცებს თვალებს. ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს ყოველი კუთხიდან თავდასხმას მოელოდეს. თურქულად ყმაწვილს არც ერთი სიტყვა არ გაეგება. იგი არდიშენელი ლაზია. მან ყანაში მკვლელობა ჩაიდინა ერთი კონა ბრინჯის გულისათვის.

თურქეთის ბრინჯის ყანები... ისინი უხვად არის მორწყული მოჯამაგირეების სისხლითა და ოფლით. მდინარე მარიცის ველებზე მემამულე კარაბექირის პლანტაციებში, ადნან მენდერესის მამულებში, რომელი ადნანიც მათრახით ხელში დასეირნობს თავის სამფლობელოში, — ყველგან იხოცებიან მოჯამაგირეები შიმშილისა და მალარიისაგან. სოფლის მეურნეობის მუშები გლეხებთან ერთად არა ერთხელ აჯანყებულან ფეოდალების წინააღმდეგ, გადაუწვავთ მათი კარ-მიდამო. ასე მოხდა კადირლის მაზრაში. როდესაც ამ

რაიონის გლეხები იარაღით ხელში გამოვიდნენ მემამულის წინააღმდეგ, მათთან ანგარიშის გასასწორებლად მთელი დივიზია გაგზავნეს.

გლეხთა სტიქიური აჯანყებების რიცხვი სულ იზრდება. მსხვილი მემამულეები, რომლებმაც მარშალის გეგმით ამერიკული ტრაქტორები მიიღეს, გლეხებს ერეკებიან მიწებიდან, რომლებსაც ისინი ამუშავებდნენ თაობიდან თაობამდე, ართმევენ საძოვრებს. ანატოლიის ველებზე ყოველი ამერიკული ტრაქტორი, როგორც ტანკი, თავისი მუხლუხებით თელავს ათეულ წვრილ გლეხურ მეურნეობას. მარშალის გეგმა ეუბნება გლეხს: „აბა, გაეთრიე სოფლიდან! აქ იქნება მოწეული ბრინჯი, სელი, ბამბა, სიკვდილით მოვაჭრე ამერიკელ, ინგლისელ და გერმანელთათვის“.

მშობლიური მიწა-წყლიდან ასიათასობით განდევნილი მოწილე გლეხი დიარბექირის, ჩუქუროვის გზებზე დაეხეტებიან. გაღატაკებული გლეხთა მასა მხოლოდ ერთ გამოსავალს ხედავს ამ საშინელი მდგომარეობიდან.

ისინი იარაღდებიან ორთითებით, ცულებით—რაც კი მოჰყვებათ ხელში—და ილაშქრებენ მემამულეებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ მხრივ 1949 წელი. გაზეთების ცნობათა მიხედვით 1949 წელს ექვსი თვის განმავლობაში ქვეყნის 22 გუბერნიაში მოხდა გლეხთა 323 შეიარაღებული შეტაკება ჟანდარმებთან, პოლიციასთან და ჯარებთან. გლეხები სწვავდნენ მემამულეების კარ-მიდამოს, ბეღლებს, გომურებს, მიერეკებოდნენ საქონელს, იყოფდნენ ურთიერთშორის მიწას. სოფელ აბდიოღლუში ადანის რაიონში, სოფელ ბაქირკეიში კარაჯაბეის რაიონში, სოფლებში ჩარდაკში და ჰანოვაში კონიის რაიონში, სოფელ დიუზდერეში დენიზლის რაიონში წარმოებდა ნამდვილი ბრძოლები, რომლებშიაც ასეული გლეხი იღებდა მონაწილეობას.

თურქეთის სოფლებში მომხდარმა ამბებმა დაგვანახეს, რომ გლეხთა მოთმინების ფიალა აივსო და ისინი მემამულეთა მიწების იძულებითი ჩამორთმევის გზას დაადგნენ. ამ ამბებმა ისიც დაგვანახეს, რომ გლეხების

ბრძოლა მიწისათვის მჭიდროდ არის დაკავშირებული ამერიკული მონობის წინააღმდეგ ბრძოლასთან.

მემამულეები შიშმა შეიპყრო. მოუწოდებენ რა რეპრესიებისაკენ, რეაქციული გაზეთები გოდებენ: „ქვეყანა მოიცვა გლეხთა მღელვარების ხანძარმა“! „გლეხები სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიან!“

მილიონობით გლეხთა მასები მრავალი ასეული წლების მანძილზე სასოწარკვეთილებამდე იქნენ მიყვანილი. ფრჩხილებით, კბილებით, იარაღით იბრძოლებენ გლეხები მიწის მოსაპოვებლად. მაგრამ ისინი მას მოიპოვებენ იმ პირობით, თუ გაჰყვებიან კომუნისტურ პარტიას, თუ ჩვენ, კომუნისტები, სათავეში ჩავუდგებით მოძრაობას, დავრაზმავთ და შევამჭიდროებთ მასებს.

კომუნისტებს არ შეუძლიათ განზე იყვნენ, მაყურებლის პოზაში. თურქეთში გლეხთა საკითხის გადაჭრა თურქეთის მუშათა კლასის და მისი ავანგარდის—კომპარტიის საარსებო საქმეა. რარიგ უცხო ელემენტებთან, რარიგ

მტრებთან არ გვიხდებოდა ჩვენ ბრძოლა პარტიის რიგებში! რამდენი „მიმდინარეობის“ განადგურება მოგვიხდა! და კიდევ რამდენთან მოგვიხდება ულმობელი ბრძოლა! ვინ არ გამოდიოდა ჩვენს წინააღმდეგ: სექტანტები, მაჩანჩალები, ლიკვიდატორები, ანტიგლეხური უკლონისტები, ბონაპარტისტები, ავანტიურისტები, მოლაყბენი, „სალონური კომუნისტები“. ერთ რამეში კი ყველა ისინი ერთი აზრისა იყვნენ: მათ უნდოდათ, რომ კომუნისტური პარტია კუდში მისჩანჩალებდეს სტიქიურ მოძრაობას. მაგრამ ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „მაჩანჩალობის“ იდეოლოგია ყოველგვარი ოპორტუნიზმის ლოგიკური საფუძველია. ეს ჩვენ არასდროს არ უნდა დავივიწყოთ!

ღიღი მკერდზე

დღეს ჩვენი ზეიმია: „ბოლშევიკსა“ და თიფუკს ბორკილები ახსნეს. ორივე ახალგაზრდა ძალიან დასუსტებულა, მაგრამ მათი სული, ჩანს, მხოლოდ გამოწრთობილა.

ჩვენ ერთად ვისაუზმეთ. მჭედელმა ალიმ აბდულ მამოშისაგან გამოგზავნილი საჭმლით გავსილი უსკურები გადმოგვცა. ჩვენ თავის დღეში არ გვინახავს მამოშ აბდული. ამბობენ, რომ ის არის შესანიშნავი მსროლელი, ბუმბერაზული აგებულების კეთილშესახედავი თეთრწვერა კაცი. ერთხელ, როდესაც ჟანდარმთა რაზმს, ცნობილი პანთურქისტი პოლკოვნიკი ჰალიდის მეთაურობით, ჰოდუჯურელი სომხების ჯგუფი მიჰყავდა დასახვრეტად, მამოში ერთი მუჭა მამაცი ყმაწვილებით თავს დაესხა ჟანდარმებს და სიკვდილისაგან იხსნა სომეხი გლეხები.

ამბობენ, ახლა მან სამოც წელს გადააცილაო. მამოშმა ჩვენ სასამართლოში გვნახა სხდომის პირველ დღეს. მჭედელ ალის ვთხოვეთ პატივისცემით მოკითხვა გადაეცა ჩვენგან ამ კეთილშობილ ვაჟკაცისათვის და ეთქვა, რომ მეტს ნუღარ შეიწუხებდა თავს ჩვენზე ზრუნვით. მის მიერ გამოგზავნილ საჭმელს კი მადიანად შევექეცით.

თიფუკი სიცილით ამბობს:

— უფროსმა ისე მოგვაჩვენა თავი, თით-

ქოს გვაპატია. მაგრამ სულ იმას გვეკითხებოდა, თუ რის შესახებ ესაუბრებით თქვენ პატიმრებს. ხედავ, რა მოუნდა ამ მემამულეთა მონას! ვერ მივართვით!

„ბოლშევიკი“ ყოველივე ამას უფრო სერიოზულად უყურებს:

— სანამ კალაფათჩის ურცხვი თვალი აქ იქნება, ჩვენ შენთან ერთად კიდევ არა ერთხელ მოგვიხდება ბორკილებში ყოფნა.

ნასაუზმევს გავდივართ ტერასზე. მოკლესახელოიანი მუქი ლურჯი ხალათი მაცვია. ასეთი პატარაჯიბიანი ხალათები ერთ დროს მოდად იყო შემოღებული მუშა ახალგაზრდობაში. ჯიბეზე ნახატიანი პატარა ღილი მაქვს, იგი მე ერთმა ბულგარელმა კომუნისტმა მაჩუქა. ბევრი ჩხრეკა გამოვიარეთ, ბევრჯერ გაგვსინჯეს თავიდან ფეხებამდე, მაგრამ ეს ღილი გადარჩა, თუმცა ჯადოქმნილი არ ყოფილა. მათ არ იცოდნენ, ვისი პორტრეტი იყო გამოკვეთილი ღილზე. პოლიციას აზრადაც არ მოსვლია, რომ მე აშკარად ვატარებდი მკერდზე ლენინის პორტრეტს. ლენინი, ყველასათვის ცნობილი სოლისებრი

ომომცრო წვერით როდი იყო. ის არ იდგა ტრიბუნაზე ოდნავ წინწახრილი, ის არ ელაპარაკებოდა მილიონებს ენერგიულად ხელაწვდილი. მხოლოდ—ხუჭუჭა თმით დაგრუზული ბავშვის მრგვალი სახე, მაგრამ იგივე ლენინის მაღალი შუბლი, ლენინისებური დამახასიათებელი კვეთილი თვალები, პირდაპირ სულში წვდება ადამიანს.

„ბოლშევიკი“ დარცხვენით მეკითხება:

— ეს ვინ არის?

მე ავუხსენი თურქ ჭაბუკს, თუ ვის ვატარებ გულზე.

პური, ექიმი და ოქროს ღიკა

პატიმრებს დღის ულუფას ურიგებენ: მუჭისოდენა ნაჭერ პურს. მაგრამ ამ „პურს“ რომ პური ვუწოდოთ, საჭიროა, როგორც იტყვიან, სამოცდაათი მოწმე. მიმწოდებელი მოისყიდის პროკურორსა და ციხის უფროსს და ასაღებს ამ ქატოს, ოიხისა და ქვიშის

ნარევს. თუმცა ვის რა ენაღვლება, პატიმრებს რომ პურის მაგიერ თიხას აძლევენ? ჩვენ, კომუნისტებს, სრულებით არაფერს გვაძლევენ.

უკვე ბევრი ხანია ველაპარაკებით ტუსაღებს ამ პურის ბოიკოტის შესახებ. „შიშველთა კამერის“ მშიერი ბინადრებიც კი ჩვენ მხარეზე იხრებიან. აუცილებელია ყველა ერთად გამოვიდეთ. თანდათანობით მივაღწიეთ ერთსულოვნებას თურქებსა და ლაზებს შორისაც კი. ახლა, როდესაც პურს არიგებენ, ყოველი მხრიდან მოისმის მუქარა მიმწოდებლისა და პროკურორის მისამართით. მხოლოდ კარაჩალის საკანი გვიფუჭებს საქმეს. კარაჩალი საკანში სრული ბატონ-პატრონია, „ყოჩია“. მას თავისი ბრბო ჰყავს. მისი ხალხი ციხის უფროსის აგენტებია. მაგრამ ჩვენ უმრავლესობის ძალით ვძლევთ მათ. კარაჩალისა და მის კომპანიას უკვე ეშინიათ ჩვენი. საიდუმლო პოლიციასა და ვალის კი სწორედ ამ ნაძირალების საშუალებით უნდათ ბოლო მოგვიღონ.

ამასობაში ჩვენი საპატიმროს ცხოვრება-

ში ხდება მოვლენები, რომელსაც ბევრი მოულოდნელი რამ მოაქვს.

მთიულების კამერაში ორი პატიმარი დიზენტერიით გახდა ავად. მთელი საპატიმრო ფეხზე დადგა. მოვიდა მუნიციპალური ექიმი. ავადმყოფები სახაზინო საავადმყოფოში გაგზავნეს ჯალამბერით. ასეთი შემთხვევა აქაურ საპატიმროს ჯერ არ ახსოვს: აქამდე საპატიმროდან მხოლოდ გვამები გაჰქონდათ.

ადგილობრივი მუნიციპალური ექიმი და სასამართლოს ექიმი ერთი და იგივე პიროვნებაა. ვინ უწყის, ექიმია ის თუ ცხენის ექიმბაში! ქრთამებს ღებულობს, სადაც კი დაახელებს. ქაღალდის ფული „არ უყვარს", სამაგიეროდ ოქროს დანახვაზე მთლიანად აინთება ხოლმე. მოკლავენ ვისმეს გარეუბანში, გამოცხადდება, წერს დასკვნას, თითოეულ სტრიქონში თითო ლირას წააგლეჯს დაზარალებულის ნათესავებს და მოპასუხეს. ეს „ექიმი" საპატიმროშიც შემოდის იშვიათად. აქ პატარა ცარიელი ოთახია, რომელსაც „ამბულატორია" ეწოდება. სანამ ექიმი ამ ოთახში ზის, მედილეგეებს მოჰყავთ მასთან ავადმყოფები. იწყება „საექიმო გასინჯვა".

ექიმი ავადმყოფს ჯოხს ჰკრავს:

— რა გჭირს?

ვერც კი მოასწრებს ავადმყოფი თქვას „მუცელიო“, რომ ექიმი უყვირის:

მუცელი მეც მტკივა! — და გააგდებს ავადმყოფს.

შემოჰყავთ მეორე.

— რა გტკივა?

— კბილები...

— გაეთრიე აქედან! კბილები მეც მტკივა.

ასე გრძელდება 30 — 40 წუთს, შემდეგ ექიმი წამოდგება და მიდის.

მაგრამ უკანასკნელად ყველაფერი სხვაგვარად შეტრიალდა. როგორც კი ექიმი ციხეში შემოვიდა, პატიმრებმა ერთსულოვნად მორთეს ყვირილი:

— ავადმყოფი ექიმი მოვიდა! მოდით, გავსინჯოთ ავადმყოფი!

ექიმმა გადაწყვიტა გადაეხვია თავის „წესებისაგან“ და ლაზარეთში გაგზავნა ავადმყოფები.

მცირეოდენი წარმატებაც კი გამბედაობას მატებს ადამიანს. ახლა პატიმრებმა

სერიოზულად იწყეს ლაპარაკი პურის ბოიკოტზე.

კარაჩალის საკანი საპატიმროს მეორე სართულზეა მოთავსებული. დილით ამ საკნის კარები ყველაზე ადრე იღება, საღამოს ყველაზე გვიან იხურება. საკნის ერთ-ერთ ბნელ კუთხეში რამდენიმე პატიმარი ფეხმორთხმული ზის საწოლზე. ისინი ხელიდან ხელში აწვდიან ერთმანეთს მსხვილ სიგარეტს: ხაშიშს ეწევიან.

ყოველდღე გაბმით კარაჩალის საკანში თავდავიწყებით თამაშობენ ბანქოს. ოთხი პატიმარი თუნუქის ქილას შემოსხდომია ირგვლივ. ისმის მხოლოდ მათი ლანძღვითი რეპლიკები და ლითონის ფულის ჩხრიალი, რომელსაც ქილაში ჰყრიან.

მოთამაშეების გვერდზე თვით „ყოჩი“ კარაჩალი დგას. ის გრძელი თითებით ქარვის კრიალოსანს მარცვლავს, დაძაბულად ადევნებს თვალყურს თამაშს. სწორედ ის წამოიწყებს ხოლმე თამაშს და მონაგებიდან პროცენტებს იღებს.

პირველად კარაჩალი ჩხუბისათვის დააპა-

ტიმრეს. სასჯელის მოხდა ვერც კი მოასწრო, რომ პატიმარი მოჰკლა.

დაუწყეს საპატიმროდან საპატიმროში გადაგზავნა. ჩვენს საპატიმროში მან პატიმარი მოწამლა ფულის გულისთვის, რომელიც მოწამლულის მტრისაგან მიიღო. კარაჩალი მთელი ციხის უბედურებაა. ავგული, აბეზარი და თავხედი, მოძრავი, როგორც კვრინჩხნარის ბუჩქი ქარში. იმიტომაც შეარქვეს მას კარაჩალი—„კვრინჩხნარი“.

მოთამაშენი ძუნწად ლაპარაკობენ, სწრაფად ისვრიან ბანქოს. ერთი მათგანი მწითურია, წამწამებიც კი მწითური აქვს. მას ბექთაშს—მწითურ წარბას ეძახიან. მან თუნუქის ყუთზე ოქროს ლირა დადო. ყველა ხარბად დააცქერდა ლირას. კარაჩალი ზემოდან დაჰყურებს.

— ჩაჭერი ბანქო... კარგად ჩაჭერი!.. ნუ უყურებ!.. მოიტა!.. ტუზია!..—ამბობს ბექთაში და ხელს უწვდის ლირას.

პარტნიორი ხელში ეცემა. თუნუქის ყუთი ემხობა.

— მოიტა, არამზადავ!

— ვერა, ვერ წაიღებ!

ყველა კუთხიდან პატიმრები გამოცვივდნენ. ატყდა ყვირილი, ფაცაფუცი.

— დაჭკა!.. დაიჭი...

— გამიშვით! მე ჩავაძაღლებ მაგას!

კარაჩალი მოჩხუბრებს შუა ჩადგა.

— ბექთაშ, ეგ ლირა შენ ყელში გაგეჩრება! მე კარაჩალის მეძახიან, გახსოვდეს!

მოჩხუბრები გააზავეს. ყვირილი მინელდა. ბექთაშს შუბლიდან სისხლი ჩამოსდის. კარაჩალიმ ოქროს ფული ჯიბეში ჩაიდო.

— ეგ შენ არ შეგრჩება, კარაჩალი, — ღმუის ბექთაში.

— მეტიც გვინახავს... ლეკვო...

კარაჩალი გაიშხლართება ლეიბზე. მისი მსახური ტუსალი „ყოჩს“ მასაჟს უკეთებს ფეხებზე.

პირველი შემთხვევა აქაურ საპყრობილეში

დღეს მზიანი, კარგი დღეა. ცაზე არც ერთი ღრუბელი. ზღვა ლურჯია, ლურჯი. ნაპირს წვრილი, სწორი ტალღები ეშხაპუნება,

ბეგონებათ, თითქოს ხღვა ოდნავ იღიმებაო

გარეთ გრილა. ტუსაღები ბოლთას სცემენ. მძიმე, მძიმე ნაბიჯები... ფართო, ფართო ნაბიჯები. და... უცებ — მოკლე, ხშირი ნაბიჯები.

წყარო, საიდანაც პატიმრებს წყალი მოაქვთ, სრულებით ამოშრა. წყალი ქვის ვარცლში ვიწრო ნაკადად ჩამოდის. ვარცლზე ბრახუნი გააქვთ ცარიელ დოქებსა და თუნუქის ტოლჩებს. წყაროსთან ხალხი შექუჩებულა, რაღაცაზე მსჯელობენ.

მოაქვთ ულუფა. პატიმრები პურს არ ღებულობენ. ბოიკოტი! დაიწყო ბოიკოტი.

— ჩვენ აღარ გვსურს ქვიშით გამოვიტენოთ მუცელი! — ყვირიან პატიმრები.

მჭედელი ალი, კაპიტანი ოსმანი და სარაჯი ექშიოღლუ მიდიან უფროს მედილეგესთან, რათა მან აცნობოს ციხის უფროსს და პროკურორს პატიმრების მოთხოვნა.

მარტო კარაჩალი აგზავნის საკნის მორიგეს პურზე. ის განგებ ხმამაღლა ამბობს:

— ჩვენ წესრიგის მომხრე ვართ. უფასოდ პურს იძლევიან, ისინი კი უარზე არიან...

თითქოს შინ თეთრ ბულკებს მიირთმევ-
დნენ!

სანამ ერთმანეთს ლანძღავენ, ლაზი ბი-
ჭები გარს ეხვევიან პურიან კალათს და ახ-
ლო არავის უშვებენ. მედილეგე გაიპარა.
თავისი ბრბოთი გარშემორტყმული კარაჩალი
საკნიდან გამოვიდა და ლაზებს შეუტია.
ყველაფერი აირია. პატიმრები ერთმანეთს
დაერივნენ, აამოძრავეს დოქები, ტოლჩები.
ვეებერთელა დოქმა სულ მთლად მილეწა კა-
რაჩალის „საყავე.“

იელვეს ხანჯლებმა. დანებმა. კარაჩალის
ბრბო მიმწყვდეული აღმოჩნდა „აბანოს“
კუთხეში. თვით „ყოჩი“ ჩამოცილებულია თა-
ვისიანებს. მას მისდევს ბექთაში უზარმაზა-
რი მახვილით ხელში. კარაჩალი ერთ ხელში
მაყალით და მეორეში დანით გველთევზასა-
ებრ იკლაკნება პაწაწინა ეზოში.

ყოველი მხრიდან გაისმის ყვირილი:

— დაიჭი!..

კარაჩალი სწრაფად არბის ტერასის სა-
ფეხურებზე. ბექთაში დაეწია მას. იგი მთლად
გასისხლიანებულია. დუშმანნი წამიერად

დადგნენ პირისპირ და ერთმანეთს მიაშტერდნენ მძულვარე თვალებით. მოულოდნელად მეზობელი საკნის კარებიდან ვიღაცამ გამოისროლა მაყალი და კარაჩალის დანა გააგდებინა ხელიდან. იმავე წამს ბექთაშმა მახვილი ჩასცა მკერდში თავის მოწინააღმდეგეს. საშინელმა ყვირილმა ხმაური დაფარა:

— ვკვდები!..

კარაჩალი თავდაყირა დაეშვა ტერასიდან. ქვებზე დაანთხია ტვინი. საყოველთაო ორომტრიალი. ქალაფათჩი თავისი საკნის სარკმლიდან ყვირის რაც ძალა და ღონე აქვს:

— ჟანდარმებო!.. გვიშველეთ!.. გვკლავენ!

თიფუკი დაიხრება, აძრობს მახვილს კარაჩალის მკერდიდან და მარჯვედ ისვრის საკნის სარკმელში.

— აჰ, ესეც შენ დახმარება!

მახვილმა გაიელვა მზეზე და ისარივით ჩაესო სარკმლის ჩარჩოში.

ქალაფათჩი საზარლად ყვირის:

— მიშველეთ! ყველაფერი ეს კომუნისტებმა ჩაიდინეს!

„ბოლშევიკმა“ შაბანსა და ჩეთეს ნიშანი

მისცა. მათ ჩვენთან მოირბინეს, გვერდში ამოგვიდგნენ. ეტყობათ, ისინი შიშობენ, თავს არ დაგვესხანო.

ციხის გალავანზე ჟანდარმები დარბიან. ოფიცერი უბრძანებს:

— თოფი გატენე!

ატკაცუნდა საკეტები. ეზოში მოჩხუბარმა პატიმრებმა ხელი უშვეს ერთმანეთს, შაშხანის ლულები მათკენ არის მიშვერილი.

გალავანზე ადგილობრივი ჟანდარმერიის უფროსი, პროკურორი, ვალი და ვილაიეთის „ბატონ-პატრონი“ — მემამულე მათარაჯი გამოჩნდნენ.

ოფიცერი ბრძანებს:

— ყველამ დანები დაჰყარეთ, გესვრით!

პატიმრების ერთმა ნაწილმა ზურგს უკან ამოიფარეს დანები და უკუწევით ჩამწკრივდნენ კედელთან. შაშხანების ლულები პირდაპირ თვალებში მოგვჩერებიან. ეზოში დაჭრილები კვნესიან, მოკლულთა გვამები ყრია. ქვებზე სისხლი მოწვეთავს. სისხლია ჩვენსა და იმათ შორის, ვინც გალავანზე დგას, სისხლი! სისხლი გვყოფს ჩვენ თავისუფლებისაგან.

ყველა საკნებში შეგვრეკეს. ჩაგვკეტეს და ამ დღიდან აღარ გვიშვებდნენ სხვა პატიმრებთან, აღარც სასეირნოდ გაუყვანივართ ეზოში.

გვამები წაიღეს, დაჭრილები ჩაჰყარეს მთიელთა საკანში. ბექთაშსა და ბევრ სხვას ბორკილები გაუყარეს. პროკურატურის ყველა ღონისძიება, რათა აღმოეჩინა „მოთავენი“, ამაო აღმოჩნდა. დაკითხვებზე ყველა პატიმარი უპასუხებდა:

— თვით კარაჩალია დამნაშავე.

კარაჩალი ციხის უფროსის ბრმა იარაღი იყო და თავისი ბატონების ტაქტიკის მსხვერპლი გახდა. როდესაც კარაჩალიმ ლანძღვა-გინებით ლაზებს შეუტია, ეგონა, რომ თურქები, ჩვეულებრივ, მას დაუჭერდნენ მხარს და თავს დაესხმოდნენ ლაზებს, მაგრამ ყველაფერი სხვანაირად შეტრიალდა.

— ეს პირველი შემთხვევაა აქაურ ციხეში, როდესაც თურქები ლაზებთან ერთად გამოვიდნენ ციხის განწესის წინააღმდეგ, — გამოტყდა თვით ციხის უფროსი.

გამარჯობა, სტამბოლო!

ანკარიდან დეპეშა მოვიდა. ჩვენ ისევ გადავყავართ. ხელბორკილებში, სამი ჟანდარმის ბადრაგობით, გემით მივადექით სტამბოლს. გალათის ნავმისადგომიდან ქვეითად მივდივართ აია-სოფიას მეჩეთისაკენ. როდესაც ოქროს რქის ხიდზე შევდგით ფეხი, წამიერად მომეჩვენა, რომ თითქოს პირველად ჩამოვედი მთებიდან, — ისე დიდი ხანია ეს ქალაქი არ მინახავს. მაგრამ მე მახსოვს თითოეული შესახვევი, თითოეული კენჭი. ხუთი თითივით ვიცი მუშათა უბნები, ციცაბო დალმართები და ალმართები ღარიბთა უბნებში, აყრილი რიყეფენილები, ბნელი, ბინძური, ვიწრო ქუჩები და ჩიხები, სადაც ღარიბ-ღატაკნი შიმშილით იხოცებიან, მაშინ, როდესაც იქვე, გვერდით, ქეიფსა და ღრეობაში ატარებენ სიცოცხლეს ღორმუცელა მდიდრები. მე მიყვარს ეს ქალაქი მისი სილამაზითა და სიმახინჯით, მიყვარს მისი მუშათა უბნების ბრძოლა, სიძულვილი, მრისხანება. მე მიყვარს მისი მშრომელი ხალხი,

მიყვარს სტამბოლი—თურქეთის პოლიტიკური ცხოვრების გული, მისი მუშათა კლასის აკვანი.

ჩვენ ჩაგვყარეს წინასწარი გამოძიების საპატიმროში — ყოფილი სულთანის ჟანდარმერიის სამინისტროს ერთ-ერთ სარდაფში. არც ჰაერი, არც დღის სინათლე აქ არ აღწევს. მკრთალად ანათებს ელექტრონათურა. იატაკი განავალით არის დაფარული. ერთ კუთხეში წევს დაჭრილი გლეხი სოფელ ჩატალჯიდან, მას შერიფი ჰქვია. მის დაჩირქებულ ჭრილობებში მატლები ფუთფუთობენ. გლეხი სიკვდილის პირასაა. გვამის მძიმე სუნი დგას.

იმავე დღეს გაგვიძახეს უფროს პროკურორთან. როგორც კი ზღურბლს ფეხი გადავადგით, გვესმის კითხვა:

— კომუნისტური პარტიის წევრები ხართ?

პასუხის ნაცვლად ჩვენ განვუცხადეთ, რომ ჟანდარმთა საგამომძიებლო საპატიმროში ნაწამები გლეხი კვდება. პროკურორმა ამას ყური აარიდა. ფურცლავს მის წინაშე მდებარე ქაღალდის გროვას და გვაყრის კითხვებს. ჩვენ უარს ვაცხადებთ ჩვენების

მიცემაზე და მოვითხოვთ ექიმი გაგზავნონ მომაკვდავთან. პროკურორი განაგრძობს თავის შეკითხვებს. ჩვენ ვდუმვართ. დაინახა რა, რომ არაფერი გამოდის, უბრძანა ჟანდარმს წავეყვანეთ.

საღამომდის სასამართლოს შენობაში გაგვაჩერეს. ამ საგამომძიებლო საპატიმროს კედლები აჭრელებულია სახელებით, ზოგი ფანქრითაა დაწერილი, ზოგი ამოჯხაჭნილია მჭრელი საგნით. ერთ კუთხეში ამოკვეთილია ნამგალი, ჩაქუჩი და ხუთქიმიანი ვარსკვლავი. ჩვენ ვკითხულობთ ბევრი ნაცნობი კომუნისტის გვარებს, მათი გასამართლების თარიღებს. ნიკელის ფულით ჩვენც ამოვჩხაპნეთ ჩვენი გვარები, ქვემოთ რიცხვი დავუსვით.

საღამოს ჩაგვსხეს მატარებელში და ანკარაში გაგვაგზავნეს ბადრაგის თანხლებით. როგორც ჩანს, იუსტიციის სამინისტროში და საიდუმლო პოლიციაში გადაწყვიტეს დაგვქანცონ დაუსრულებელი მოგზაურობით ციხიდან ციხეში, ქალაქიდან ქალაქში. მაგრამ ამ ტაქტიკას სრულიად არასასურველი შედეგი მოაქვს იმათთვის, ვინც ის მოიგონა. ჩვენი

პროცესი მრავალ თვეს გაგრძელდა, იგი ფა
რულად მიმდინარეობდა, მაგრამ ყველა ქა-
ლაქში, სადაც კი მოგვიხდა ყოფნა, ხალხი
გებულობდა კომპარტიის საქმიანობის შესა-
ხებ, მისი ბრძოლის მიზნების შესახებ. ყველ-
გან ლაპარაკობდნენ ამის თაობაზე.

ჩვენ შევძელით აგვეცილებინა პროკურა-
ტურისა და საიდუმლო პოლიციის მიერ ჩვენს
წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები. და-
ბოლოს, პროცესი დამთავრდა. სასამართლოს
მდივანმა განაჩენი წაიკითხა: „კანონს გარე-
შე გამოცხადებული თურქეთის კომუნისტუ-
რი პარტიის ხალხში სიტყვიერი და წერი-
ლობითი პროპაგანდისათვის მიესაჯოს...“

ჩვენ მოვიხადეთ სასჯელი, და აი ახალწლის
ღამეს გამოგვიშვეს ანკარის საპყრობილედან.
კვირისტავისებრ მელოტმა საპყრობილეს უფ-
როსმა, რომელსაც მსუქან, გადმობრუნებულ
ტუჩებში მუდამ სიგარეტი ჰქონდა გაჩრილი,
მოგვცა „მოწმობა“,რომელზედაც უზარმაზარი
ნალისებური ბეჭდები იყო დასმული. ვკითხუ-
ლობთ: „მსჯავრდადებული იყო კომუნისტუ-
რი პროპაგანდისათვის. განთავისუფლებულია

სასჯელის მოხდის შემდეგ“. პასპორტები ჩვენ არა გვაქვს. ასეთი „დოკუმენტით“ პოლიცია არამც თუ სატახტო ქალაქიდან, არამედ მთიანი სოფლიდანაც კი გაგვაძევებს. ასედაც ხდება. ორი დღის შემდეგ პოლიციამ გაგვაძევა ანკარიდან. ჩვენ ისევ სტამბოლში ვართ...

დერბედერ ჰასანის ნაამბობი

ერთხელ ფენერის ნავმისადგომში ნავს ვქირაობდი აზაპკაპში გადასასვლელად. ერთ მენავეს მოვკარი თვალი. მისი სახე მეცნობა. ისიც გაკვირვებით შემომცქერის. მოაცურა ნავი ხის ბოგირთან და მეუბნება:

— გაგიყვანო გაღმა, ჩვენებურო?

ვიცანი იგი. დერბედერ ჰასანია „შიშველთა საკნიდან“. და თუმცა მე აზაპკაპში მინდა გასვლა, მის მოპირდაპირე მხარეს, ჰალიჩოგლუსაკენ მივემგზავრებით.

ჰასანი მომითხრობს:

— შაბანის მიმართ სიკვდილის განაჩენი

შეჯლისმა დაამტკიცა. იმ ღამეს, როდესაც ის უნდა ჩამოეხრჩოთ, მან ბორკილის ჯაჭვით მიამაგრა შიგნიდან საკნის კარი, და თუმცა მედილეკეები ბევრს შეეცადნენ, მაგრამ ვერ შესძლეს კარის გაღება. შაბანმა განაცხადა, რომ სანამ თვით ღიპიანი არაბი არ მოვა ჩემთან სალამით, არ გამოვალო. საპატიმროში მოვიდნენ პროკურორი და ჟანდარმერიის უფროსი. მათ შაბანს უთხრეს, რომ ვალი ანკარაში გაემგზავრაო. შაბანი არ დამორჩილდა. მაშინ შეუდგნენ რკინის კარების შემტვრევას. დაინახა რა, რომ ვეღარ გაუმაგრდებოდა, შაბანმა მიაძახა: „დაიცათ, ახლავე გავაღებ!“

როგორც კი ოდნავ კარი გაიღო, შაბანმა პარაბელიუმი გაისროლა. პირველ გასროლაზე ჟანდარმერიის უფროსი დააწვინა, მეორეზე — პროკურორი, და მძიმედ დასჭრა ციხის უფროსი. შემდეგ ეზოში გამოვარდა და ჟანდარმერიის სერჟანტს მოუღო ბოლო, მაგრამ გუშაგებმა გალავნიდან თოფები დაუშინეს და შაბანი უსულოდ დაეცა „მარადიულ ქვაზე“. როგორ შეიტანა შაბანმა საკანში

რევოლვერი, სად მალავდა მას, — ეს ყველასათვის საიდუმლოდ დარჩა. თავზეხელაღებული ვაჟკაცი იყო! ცეცხლივით ადამიანი!

შაბანის სიკვდილის შემდეგ „ბოლშევიკი“ და თიფუკი ქვეითად ეტაპით გაგზავნეს არზრუმის საპატიმროში. მაგრამ ისინი გზაში გაიქცნენ. ამბობენ, „ბოლშევიკი“ ცოცხალია, მუშაობს, მაგრამ სად—ეს გარკვეულად არავინ იცის. მარტო ის იციან, რომ იგი ხალხშია.

მენავემ ამოიოხრა და უფრო ღონივრად მოუსვა ნიჩბები.

ოქროს რქის ტალღები თანდათან მუქდება. უნკაპანის მხრიდან ანძების მთელი ჭალაა აღმართული. ბოლავენ ქარხნები, გემთა მილების კვამლი წყალს ეფინება.

ოქროს რქა—თურქეთის მუშათა მოძრაობის აკვანია

ოქროს რქის უბანი სტამბოლის ერთ-ერთი უძველესი მუშათა ცენტრია. ოდესღაც აქ, ბორცვებიან, მიხვეულ-მოხვეულ ნაპირებ-

ზე კვიპაროზის ჭალები შრიალებდნენ, შვენოდნენ ძველებური ვილები დახურული აივნებით, ხის მოჩუქურთმებული ჩარჩოებით ფანჯრებზე. მაშინდელ დროიდან აქ შემორჩა მარტო ეიუბის სასაფლაო.

სამრეწველო საწარმოთა მშენებლობა დაიწყო აქ ჯერ კიდევ წარსული საუკუნის დამდეგს. ძველი მუშები ამბობენ, რომ თურქეთში პირველი ორთქლის მანქანა დადგმული იყო სწორედ აქ, ოქროს რქის ნავსაშენებში. პირველი ნახშირიც, რომელიც ზანგულდაკში აღმოაჩინა თურქმა გლეხმა უზუნ მეჰმედმა, ამ ნავსაშენების ორთქლის მანქანის საცეცხლურებში იწვოდა.

1927 წელს მე გავიცანი მტვირთავი ზარაღა. ის მაშინ 156 წლისა იყო. მისმა შვილიშვილმა უკვე 90 წელს გადააცილა, მაგრამ თვითონ ზარო ჯერ კიდევ მაგრად იდგა ფეხზე. ეს იყო ნამდვილი, ორ მეტრზე მეტი სიმაღლის, გოლიათი. ამბობდნენ, რომ ჭაბუკობის დროს იგი მარტო იკიდებდა ზურგზე ხომალდის ანძას. ჭადარივით მრავალწლოვანი მუშა მოგვითხრობდა:

— როცა მე პირველად მოვედი იაგკა-პანის ნავმისადგომში, იქ, სადაც ახლა ბეიო-ღლუა,* კვიპაროზის ჭალა იყო. ხალასი სი-მართლეა... მე მაშინ ნავიდან გადმოვტვირთე თურქეთში შემოტანილი პირველი ორთქლის ქვაბი და კინაღამ წელში გავწყდი.

სტამბოლის ტრამვაიელთა გაფიცვის დროს ზარო-აღას წითელი დროშა მიჰქონდა. რო-დესაც გაფიცულებს პოლიცია დაესხა თავს, მან ერთი შემოკვრით დააწვინა პოლიციის კომისარი. როცა ამის შესახებ მოგითხრობთ, ზარო იღიმება და ბრინჯის მარცვლისებრ წვრილი კბილების წყება მოუჩანს.

სტამბოლის ოკუპაციის წლებში ზარო-აღამ საშინლად შეიძულა ამერიკელი კოლო-ნიზატორები. ერთხელ იგი გალათის უბანში მარტო შეება თორმეტ ამერიკელ მეზღვაურს. მიუხედავად მოხუცებულობისა, იგი ზურგით ეზიდებოდა საომარი მასალით სავსე ყუთებს

---

* ბეიოღლუ (პერა)—სტამბოლის ევროპული ნა-წილის ერთ-ერთი ფეშენებელური უბანი.

და ტვირთავდა იალქნიან ნავებს ქაბათაშში, ბაწრით გადაჰყავდა ბოსფორში იარაღით დატვირთული ნავები პატრიოტებისათვის, რომლებიც დამპყრობლებს ებრძოდნენ ანატოლიაში.

ოქროს რქა მისი ნავსაშენებით, ფაბრიკებით, სახელოსნოებით, რომლებიც გადაჭიმულია უნკაპანიდან ჰასკეამდე, პირქუში და დიდებული სანახაობაა. და მუდამ მღვრიე ყურეს გაღმა მხარეზე განუწყვეტლივ გუგუნებენ ძრავები, ღრჭიალებენ ფაბრიკებისა და სახელოსნოების დაზგები, რომლებიც განლაგებულია კუზიანი ხის სახლების შიგადაშიგ მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში, ურიცხვი აღმართ-დაღმართით.

რამდენი მუშაა თურქეთში?—ზუსტად არ არის გამოანგარიშებული. ქემალისტები უმთავრესად დაინტერესებული არიან, რაც შეიძლება მეტი წაართვან მათ. მაგრამ თუ ფაბრიკის მუშათა რიცხვს, სამთომადნო მრეწველობის, საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტის მუშებს მივუმატებთ სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვს, შეიძლება და-

ბეჯითებით ითქვას, რომ თურქეთში თითქ-
მის მილიონ ნახევარი მუშაა. პაწაწინა
„შაურიანზე“, რომელსაც უჭირავს სივრცე
გალათის ხიდიდან სიუტლუჯემდე, მუშათა
რიცხვი 50 ათას კაცს აღემატება.

გინახავთ თუ არა თქვენ ოდესმე, თუ რო-
გორ მიდიან ქარხნებში მუშები განთიადის
ბინდბუნდში აივანსარაი—ბალატის უბნების
ქუჩებზე? ისინი ქარხნებში სამუშაოდ კი არა,
თითქოს კატორღაში მიდიოდნენ. მიგიქცე-
ვიათ თუ არა ყურადღება, როცა საღამოს
კასიფაშიდან ზინდანარკასის გზით ციცაბო
აღმართით შინ ბრუნდებიან მუშები? ისინი
ისე მიჩანჩალებენ, თითქოს მათ ჯოხით სცე-
მეს საპოლიციო უბანში. გინახავთ თუ არა
ოდესმე თამბაქოს ქარხანასა და საწყობში,
საფეიქრო და რეზინის საამქროებში ჯიბალსა
და დეფტერდარში როგორ ახველებენ სისხლს
შავწარბა, ცისფერთვალება, მაგრამ უკვე ჩა-
ლასავით გაყვითლებული თოთხმეტი წლის
გოგონები? იცით თუ არა თქვენ, რომ შვიდი-
რვა წლის ბავშვები აქ მუშაობენ დღეში 12

საათს თხუთმეტ კურუშად. ესე იგი ნახევარი კილოგრამი პურის ფასად? ვისაც უნახავს თუნდაც ერთხელ მაინც მუშა-დედების თვალები, როცა ისინი აჩრიან პირში გამშრალ ძუძუს შიმშილისაგან მომტირალ ბავშვებს, ის ამას არასოდეს არ დაივიწყებს...

ღამის ყარაული ჯოხით ხელში—აქ უკვე სულთანია. პოლიციელი მუშათა უბანში—ეს სისხლისმსმელი ჭიანიჩარია. საიდუმლო პოლიციის აგენტები დაუკაკუნებლად შედიან ჩვენი მუშათა უბნების სახლებში. გადასახადების თითოეული ამკრები აქ სიკვდილის ანგელოზი აზრაილია.

სტამბოლის მუშათა უბნებში ტყუილუბრალოდ ნუ ეძებ კლუბებსა და სამკითხველოებს, სამაგიეროდ ყველა კუთხეშია სამიკიტნო ან საყავე. თითოეული ასეთი სამიკიტნო გარყვნილების ბუდეა. მე ვიცი, თქვენ იტყვით, რომ კაზლიჩეშმეს „ახალი“ მუშათა უბანი თავისი თუნუქის, მუყაოსა და ფანერების ქოხებით უმჯობესია ჩვენს ძველ ღარიბთა უბნებზე! და თუ შევუდგებით თურქეთის მუშათა ღარიბი უბნების ჩამოთვლას,

დავინახავთ, რომ იზმირში არის ჰალკაპინარი, ადანში—ჩარჩაბუკი, ანკარაში—„თუნუქის ქალაქი“—ალტინდაგი, ხოლო სატახტო ქალაქის გვერდით—საშინელი კირიკალე.

და მხოლოდ კაისერსა და ნაზილში საფეიქრო კომბინატის მუშებისათვის აგებული სახლებია მშვენიერი. ისინი აშენებულია საბჭოთა სახელმწიფოს დახმარებით, საბჭოთა სპეციალისტების ხელით, მეგობრების ხელით. ეს სახლები და ფაბრიკები კეთილმეზობლური პოლიტიკისა და თურქეთის ხალხისადმი, თურქეთის ეროვნული დამოუკიდებლობისადმი პატივისცემის ერთ-ერთი გამოვლინებაა, სიმბოლოა საბჭოთა ხალხის, ლენინისა და სტალინის დიადი ქვეყნის ზრუნვისა თურქეთის მშრომელთა მომავლისათვის.

მე ვყოფილვარ ჩვენი ქვეყნის ბევრ მუშათა რაიონში, ბევრ ქარხანაში მიძებნია სამუშაო, ზოგ მათგანში მიმუშავნია, მაგრამ თუ შემეკითხებით, რა არის ჩემი ძირითადი ხელობა, მე გიპასუხებთ: მე უკვე დიდი ხანია პროფესიული რევოლუციონერი ვარ. და როცა ლაპარაკი ჩამოვარდება ხოლმე ჩვენი

ოქროს რქის შესახებ, არ შემიძლია არ გავიხსენო, რომ მე აქ მეორედ დავიბადე. მე აქ პირველად გადავაბიჯე ფაბრიკის ზღურბლს, ნავსაშენების ჭიშკარმა გამიხსნა მე გზა თურქეთის კომუნისტურ პარტიაში.

მე აქ პირველად შევიცანი, რა არის შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლა. პირველად გავიგე მე აქ იმათი ტანჯვა და იმედები, ვინც დაზგებთან და მანქანებთან დგას, ვინც ასხამს ფოლადს, ქსოვს აბრეშუმს, მათი ტანჯვა, ვინც ქმნის ცხოვრებას და ვინც კაპიტალისტურ სამყაროში მოკლებულია ყველა საწარმოო საშუალებებს, ვისი მარდბ თითების, ღონიერი მკლავებისა და ნათელი გონების გარეშე უსიცოცხლო და მკვდარია ეს საწარმოო საშუალებანი.

„საზღვაო კლუბი"

გემსაშენში მე მყავდა რამდენიმე ამხანაგი, ისეთივე უწვერულვაშო ახალგაზრდა, როგორც მე თვითონ. გემსაშენის პირდა-

პირ იყო ძველი ხომალდების სასაფლაო. ერთი მათგანი, ჟანგისაგან შეჭმული სატორპედო კატარღა „ტაშოზი“ ჩვენი შესაკრები ადგილი იყო. ჩვენ მას „საზღვაო კლუბი“ შევარქვით და ხშირად ვსადილობდით იქ. როგორი სადილები უნდა გვქონოდა ჩვენ? პური ზეთისხილით ან მეწვრილმანე ალბანელისაგან ხუთ კურუშად ნაყიდი ცივი ღვიძლის ნაჭრები. „საზღვაო კლუბში“ გაცხოველებული თავისუფალი საუბრები იმართებოდა. ჩვენ ვაწარმოებდით იმ შეურაცხყოფათა აღრიცხვას, რასაც გვაყენებდნენ საამქროს უფროსი, ოსტატები, დირექტორი.

მე მყავდა ამხანაგი, რომელიც მუშაობდა საზღვაო სტამბაში. როცა ხელში გაზეთი ჩაუვარდებოდა, გადმომცემდა ხოლმე. ჩვენ არ გამოვტოვებდით ხოლმე არც ერთ ცნობას ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მოძრაობის შესახებ, საბჭოთა კავშირის შესახებ. მაგრამ ძალიან ხშირად წაკითხულიდან ბევრ რამეს ვერ ვიგებდით. იწყებოდა დაუსრულებელი დავა.

ერთხელ მოვიდა ჩემთან ჩემი საზღვაო

სტამბის ამხანაგი და რომელიღაც წიგნი ჩამიდო ხელში.

— ეს შენ მოგეწონება,—მითხრა მან.— გორკის მოთხრობაა „დედა“.

მე მაშინ არც კი მქონდა გაგონილი გორკის შესახებ. მაგრამ რომ არ შევრცხვენილიყავ ამხანაგის წინაშე, ვუპასუხე:

— გმადლობ! დიდი ხანია მინდოდა ამ წიგნის წაკითხვა.

წიგნი ჩვენს „კლუბში“ მივიტანე და სასადილო შესვენების დროს ხმამაღლა ვკითხულობდით მას. წიგნმა ჩვენ გაგვიტაცა. საყვირი ყველაზე უფრო საინტეროსო ადგილზე გვაწყვეტინებდა კითხვას, და ჩვენ მისი წყევლა-კრულვით გავრბოდით საამქროში.

ერთხელ, როდესაც სამუშაოზე მივედით, მთავარ შესასვლელთან ჩვენ დავინახეთ კედელზე გაკრული ფურცლები. თითოეულზე წითელი მელნით ეწერა: „მუშავ, შესდექ!“ მუშები ჩერდებოდნენ და კითხულობდნენ. ჰექტოგრაფზე დაბეჭდილ პროკლამაციის ბოლოში მსხვილი ასოებით იყო დაწერილი: „თურქეთის კომუნისტური პარტია. ოქროს

რქის კომიტეტი“. ჯიბალის ფაბრიკებში, ნათქვამი იყო ფურცელში, დაიწყო გაფიცვა. კომპარტიის ორგანიზაცია მოუწოდებდა ოქროს რქის მუშებს მხარი დაუჭირონ გაფიცულებს.

მოცვივდნენ საამქროთა უფროსები, მცველი რაზმები, დირექტორი. ჩამოგლიჯეს პროკლამაციები.

— სამუშაოზე! — ღრიალებდა დირექტორი.

შემდეგ საამქროებში მოვიდნენ ჯაშუშები და პოლიციელები. გამოკვლევამ და დაკითხვებმა ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. ნავსაშენებში რამდენიმე დღე მხოლოდ ამ ფურცლების შესახებ იყო ლაპარაკი. ჩვენც ბევრი ვიმსჯელეთ ამის თაობაზე ჩვენს „კლუბში“. დაგვაინტერესა სიტყვებმა „კომუნისტი“, „კომიტეტი“.

ჩამოსასხამ საამქროს ოსტატი ჰაირი ჩემი მეზობელი იყო. ის იყო პატიოსანი, კარგი ადამიანი. ჰაირი ცოტას ლაპარაკობდა, და ოცი წლით, შესაძლოა ოცდახუთითაც კი, ჩემზე უფროსი იყო. ერთხელ, როცა სამუ-

შაოდან ვბრუნდებოდით, იგი მოვიდა ჩემთან.

— თუ პირდაპირ შინ მიდიხარ, ერთად წავიდეთ.

გზაში ჩვენ ვლაყბობდით ხან ამაზე, ხან იმაზე. დასასრულ ჰაირმა მითხრა:

— თქვენ ჯელები, ფიცხები ხართ. იცოდეთ, უკან არ დაიხიოთ! კეთილი გზა გაქვთ არჩეული. მომისმინე, შვილო, რა უნდა გითხრა. იმ საძაგელმა დირექტორმა დამავალა თვალყური გადევნოთ. უკითხება თქვენს შესახებ მუშებს, აინტერესებს, რას აკეთებთ სასადილო შესვენების დროს „ტაშოზზე", იცოდეთ, ფრთხილად იყავით.

ამის შემდეგ ჩვენ უკვე ისე აშკარად აღარ ვიკრიბებოდით „კლუბში". ერთხელ ოსტატმა ჰაირმა გამაცნო სახარატო საამქროს მღარველი. იგი დაახლოებით ოცდაათი წლისა იქნებოდა. გაფიცვების დროს პოლიციასთან შეტაკებისას მან წინა კბილები დაჰკარგა, ამიტომ ოდნავ ენა ეჩლიქებოდა.

— აი, აჰმედ-უსტა,* —უთხრა მას ჰაირ-

---

* უსტა—უფროსი სამუშაოზე, ოსტატი.

მა,—ეგ სწორედ ის ყმაწვილია, რომელიც თქვენ გესაჭიროებათ, ოღონდ ცოტა ფიცხია... მათ ძლიერ დააშინეს დირექტორი.

...ერთხელ დირექტორმა გამოუძახა ჩვენს სალიჰ კულაქსიზს და უნდოდა გამოეტეხა იგი, თუ რის შესახებ ვსაუბრობდით ჩვენ „ტაშოზზე". როცა ვერაფერს გახდა დირექტორი, დაემუქრა მას სამუშაოდან გაგდებით. საღამოს ჩვენ „შევხვდით" დირექტორს ბნელ ქუჩაში. იფიქრა რა, საქმე ცუდად წამივაო, დირექტორმა ერთბაშად დაუშვა იალქნები. მეორე დღეს ჩვენი ამხანაგი, თითქოს არაფერი მომხდარაო, მოვიდა სამუშაოზე. ჩვენმა საქციელმა მუშებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. აი, რატომ დაინტერესდა ჩვენით მღარავი აჰმედ-უსტა.

სამუშაოდან დაბრუნებისას

ერთხელ საღამოს, როდესაც ჩვენ ნავსაშენის ჭიშკრიდან გამოვდიოდით, აჰმედმა მითხრა. ოქმეიდანზე გავლით წავიდეთ შინო.

ეს მეჩხრად დასახლებული უბანი, ამწვანებული კორდებით, ჭალებით, სტამბოლის მუშახალხის საყვარელი სასეირნო ადგილია. ჩვენ მივდიოდით და ვსაუბრობდით.

— პირველი მსოფლიო ომის დროს,— ამბობდა აჰმედ-უსტა,—შენ ჯერ კიდევ ბალღი იქნებოდი, მე მაშინ უკვე მოზრდილი ბიჭი ვიყავი, ისეთი, როგორიც ახლა შენ ხარ, და მეც ამავე ნავსაშენში ვმუშაობდი. სტამბოლში გერმანელები თარეშობდნენ. ინგლისის თვითმფრინავები ხშირად ბომბავდნენ ჩვენს უბანს. მიწაზე—გერმანელები, ცაზე—ინგლისელები, ჩვენს კისერზე—ენვერის ბანდები. ხალხი შიმშილით იხოცებოდა. მილიონობით ჩვენი ჯარისკაცები სისხლს ღვრიდნენ და იხოცებოდნენ უცხოელთა ინტერესებისათვის. სამხედრო სპეკულანტები ფულს ხვეტდნენ. სამარცხვინო ეროვნული კატასტროფით დამთავრდა ენვერის სისხლიანი ავანტიურა. გამცემლები გერმანელ ბატონებთან ერთად გაიპარნენ ჩვენი ქვეყნიდან და ხალხი ბედის ანაბარა მიატოვეს. მაშინ სტამბოლს მოაწყდნენ ინგლისელები, ამერიკელები, ფრანგები, იტალიელები, ბერძნები.

ოკუპაციის წლები შენ უკვე გახსოვს. რა სამარცხვინო რამ იყო! ინგლისელებისა და ამერიკელების სამხედრო გემები ოქროს რქაში შემოვიდნენ, ღუზები სწორედ ჩვენი ნავსაშენის პირდაპირ ჩაუშვეს. ყველაფერს ინგლისელები და ამერიკელები დაეპატრონენ. ამერიკელები მანდატს მოითხოვდნენ სტამბოლზე, სრუტეებზე, მთელ თურქეთზე. უმრავლესობამ, ვინც ახლა ანკარაში ხელისუფლების სათავეში არიან, მიიღო მაშინ ამერიკის პრეზიდენტის პირობები, გადაწყვიტა სხვისი მონა გაეხადა თურქეთი. რას დაგიდევდნენ ისინი ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას! სამაგიეროდ მათთვის სარფიანი იყო ამერიკელებთან „საქმის“ მოგვარება. ომის დროის ისეთი მილიონერები, როგორიც სარაჯოღლუ იყო, დადიოდნენ ამერიკული პასპორტით იზმირიდან სტამბოლს და სპეკულაციას ეწეოდნენ.

.....ოქროს რქის წყალზე ჩამობნელდა. აინთო ბეიოღლუს ფეშენებელური კვარტალების ნათურები. გაღმა ნაპირზე, ფათიხეში, კვამლის სვეტი ავარდა.

— შეხედე, — მიმითითა აჰმედ-უსტამ, ისევ ხანძარია...

ოკუპაციის დროს ხანძარი კასიმფაშაში ჩვენთვის ხომ ხელსაყრელი იყო. ინგლისელები მთლად დაიბნენ, ჩვენმა მუშებმა კი ამით ისარგებლეს და იმ ღამეს ნავსაშენებში ბევრი დაზგა და მანქანა დაშალეს, დატვირთეს ნავებზე და ანატოლიაში გადაზიდეს. მუშები ნავსაშენებიდან იქ გაიქცნენ. ანკარაში სტამბოლელმა და იზმირელმა მუშებმა საბრძოლი მასალების დამზადება მოაგვარეს. ყველაფერი ეს კომუნისტებმა მოაწყვეს...

ჩემსა და მღარველ აჰმედ-უსტას შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. შემიყვარდა ეს ჭკვიანი, სერიოზული ადამიანი. ჩვენ სხვადასხვა საამქროში ვმუშაობდით: მე მაშინ მექანიკოსად ვიყავი სამანქანო განყოფილებაში. აჰმედ-უსტა ჩვენს საამქროს დიდ მნიშვნელობას აძლევდა.

— თქვენ რომ მუშაობა შეწყვიტოთ, ყველა საამქრო დადგება,—მეუბნებოდა ხოლმე ის.

ყოველთვის, როცა ერთმანეთს შევხვდე-

ბოდით, იგი რაიმე ახალს მომიყვებოდა ხოლმე. შემდეგ მანვე ამიხსნა პარტიის პროგრამა და წესდება, შემასწავლა იატაკქვეშ მუშაობის ძირითადი პრინციპები.

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, მაგრამ დღემდე პატივისცემითა და მადლობით ვიგონებ აჰმედ-უსტას. ისეთი ადამიანები, როგორიც ის იყო, მაგარ დულაბს წარმოადგენდნენ ჩვენი პარტიის რიგებში, მათმა საქმეებმა ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს თურქეთის მუშათა კლასის ისტორიაში. და რამდენი დიდებული ფურცელია ამ, ჯერ კიდევ დაუწერელ, ისტორიაში! მოიგონეთ თუნდ საპირველმაისო დემონსტრაცია სტამბოლში 1921 წელს. მუშათა კოლონები წითელი დროშებით ხელში... წინ, კოლონების სათავეში—კომუნისტები. ამ დემონსტრაციამ დაგვანახა ხალხის ძალა, მისი სიძულვილი ინგლისელ და ამერიკელ დამპყრობლებისადმი.

მეორე ფურცელი თურქეთის მუშათა კლასის საბრძოლო ისტორიისა—ეს იყო სტამბოლის მენავეთა და ნავსადგურის მუშების

გაფიცვა 1927 წელს. მუშათა უბნებში ბარიკადები აღიმართა. სტამბოლის ათასობით მუშა მედგრად ებრძოდა ჯარებს, რომლებიც მთავრობამ გაგზავნა გაფიცვების ჩასახშობად.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როგორც კი თურქეთის ფაშისტური მთავრობა შეუთანხმდა ამერიკელ იმპერიალისტებს, მუშათა კლასმა და მისმა ორგანიზაციებმა კვლავ განიცადეს მძიმე დარტყმა. 1946 წელს დახურეს და დაარბიეს მუშურ-გლეხური პარტია, თავისუფალი პროფკავშირები, პროგრესული გაზეთები და ჟურნალები... ათასობით მუშა ჩაჰყარეს საპყრობილეებში. ასობით კომუნისტი და თავისუფალი პროფკავშირების და მუშურ-გლეხური პარტიის ხელმძღვანელები გაასამართლეს სამხედრო ტრიბუნალებმა, მათ ბორკილები დაადეს და ჯურღმულებში ჩაჰყარეს. მაგრამ ფაშისტურ ტერორის ამ მკაცრ დღეებშიაც მუშები ისევ გამოვიდნენ ქუჩებში.

1950 წელს, როდესაც მენდერესის—ვაშინგტონის მარიონეტულმა მთავრობამ თურქი ჯარისკაცები გაგზავნა კორეაში, დოკე-

რების და სტამბოლის ნავსადგურის მუშათა პროფკავშირმა თურქეთის ხალხის სახელით, ქვეყნის მთელი მუშათა კლასის სახელით პროტესტი განაცხადა ქემალისტების ამ ახალი დანაშაულის წინააღმდეგ. ამის შედეგად პროფკავშირი დახურეს, ხოლო მისი ხელმძღვანელები სამხედრო ტრიბუნალს გადასცეს...

მაგრამ ოქროს რქა ცოცხლობს. დოკებში, ნავსაშენებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშები განაგრძობენ ბრძოლას. მათ სათავეში უდგას თურქეთის კომუნისტური პარტია. მე ვამაყობ იმით, რომ ამ პარტიასთან ერთად მივდივარ ბრძოლის იმ გზით, რომელზედაც ფეხი შევდგი მრავალი წლის წინათ ოქროს რქაში.

პირველი გამოცდა

როგორღაც სასადილო შესვენების დროს ჩემთან მოვიდა აჰმედ-უსტა:

— საღამოს კვიპაროზის ჭალაში შევხვდეთ ერთმანეთს, კასიმფაშაში.

მე არ მიკითხავს, რისთვის.

-- ძალიან კარგი.

როდესაც საღამოს ერთმანეთს შევხვდით, აჰმედ-უსტას ამოღლიავებული ჰქონდა მრგვალი პური, ხელში მომცრო კალათი ეჭირა ბოსტნეულით. პური, ჰო, თავისთვის იყიდა, ნედლი ბოსტნეული კი, არ ვიცი: ოსტატი აჰმედი ხომ უცოლშვილოა.

ვარაუდი გამიმართლდა.

— ბოსტნეულს შინ წაიღებ, — მითხრა აჰმედ-უსტამ და კალათი გადმომცა. — კალათში პროკლამაციებია. ხვალ დილით ადრე აივანსარაიში სამუშაოზე მიმავალ მუშებს უნდა დაურიგო. მხოლოდ, იცოდე, თვითონ არ დაიგვიანო სამუშაოზე.

ჩვენ ისე დავშორდით, რომ ერთი სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისათვის. ტეპებაშის ბაღიდან ორკესტრის ხმა მოისმოდა. უკან მოუხედავად მივაბიჯებდი. შიშს არ განვიცდიდი, მაგრამ ძლიერმა მღელვარებამ შემიპყრო. ეს იყო ჩემთვის პირველი პარტიული დავალება! თითქოს კვლავ გამოცდას ვაბარებდი სკოლაში. მაგრამ თუ

სკოლაში გამოცდაზე ჩაიჭრები —მეორე წელს დარჩები ან ცუდ ნიშანს მიიღებ. აქ ასე როდია. რაც არ უნდა მომხდარიყო, ეს გამოცდა ღირსეულად უნდა ჩამებარებინა. მეორე დღეს, საღამოს, გაზეთებმა გვაუწყეს, რომ მუშათა ბევრ უბანში, მათ შორის აივანსარაიშიც, გავრცელებული იყო კომუნისტური პროკლამაციები. რა ბედნიერი ვიყავი!

მე აჰმედ-უსტას ვუპატაკე დავალების წარმატებით შესრულება. მან ხელი ჩამომართვა, მაგრამ კვლავ გამაფრთხილა, არავისთან კრინტი არ დამეძრა:

— ამას მოითხოვს პარტიული დისციპლინა.

მოუთმენლად მოველოდი ყოველ ახალ დავალებას.

— დაბოლოს, როდისღა მიმიღებთ პარტიაში?—შევეკითხე ერთხელ აჰმედ-უსტას.

— კომუნისტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც თავისუფალ საღამოებს კი არა, მთელ სიცოცხლეს მიუძღვნის პარტიას. დარწმუნებული ხარ თავისთავში? ყველაფრისათ-

ვის მზადა ხარ? თუ ასეა, მოგცემ რეკომენ-
დაციას.

სიხარულისაგან კინაღამ გულში ჩავიკარი
იგი.

დაბადების დღე

ერთხელ ოსტატმა აჰმედმა პაემანი და-
მინიშნა, მუშაობის შემდეგ, ჰასკოიეს ნავ-
მისადგომში. ეს იყო ჩემი დაბადების დღეს.
შევხვდით ერთმანეთს, ჩავსხედით ნავში და
გავშორდით ნაპირს. ნიჩბების მომსმელს მე
არ ვიცნობდი, ხოლო ის, რომელიც საჭეს
უჯდა, ჩვენი ნავსაშენის მუშა იყო.

— ტყუილუბრალოდ დროს ნუ დავკარ-
გავთ,—თქვა აჰმედ-უსტამ.—ამხანაგებო, უჯ-
რედის კრებას გახსნილად ვაცხადებ. დღის
წესრიგში ერთი საკითხია: ახალი ამხანაგის
მიღება პარტიაში. სხვა წინადადება ხომ არ
არის?

— არა.

არ იყო არც ქაღალდი, არც ფანქარი, არც ოქმები, ვლაპარაკობდით ხმადაბლა, მენიჩბე ნელა უსვამდა ნიჩბებს. მე მოვუთხრობდი ჩემი ცხოვრების ამბავს:

— მშობლები არ მახსოვს. ისინი გარდაიცვალნენ, როცა ბავშვი ვიყავი. აღმზარდა დეიდამ. ის რომ არა, მე სკოლას ვერ დავამთავრებდი. ბავშვობიდანვე შემაჩვიეს შრომას. „ხელობა, — უყვარდა თქმა დეიდას, — ეს ოქროს სამაჯურია ხელზე“, მას როდი გაეგებოდა, რომ იმ სამყაროში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ეს ოქროს სამაჯური ბორკილებია მუშის ხელზე. ბავშვობიდან მიყვარდა მანქანები. საღამოობით დავდიოდი ინჟინერთა უმაღლეს სკოლასთან არსებულ მექანიკოსების კურსებზე. შემდეგ თვითონ ვშოულობდი ლუკმაპურს. რამდენი წელიწადია რაც ნავსაშენში ვმუშაობ, ეს თქვენ იცით.

გრილი ნიავი მიბერავდა სახეში, მაგრამ მთლად გაოფლიანებული ვიყავი მღელვარებისაგან.

— დღემდე რა გააკეთე პარტიისათვის— შეგიძლია არ გვიამბო. მე, როგორც უჯრე-

დის მდივანმა, ეს კარგად ვიცი, — თქვა აჰ-
მედ-უსტამ. — თუ არის კიდევ შეკითხვები,
წინადადებები?

— ნავსაშენში ბევრი ახალგაზრდაა, მათ
შორის ფიცხი ბიჭები არიან, ამხანაგმა უნდა
მიხედოს მათ, — შენიშნა მენიჩბემ.

უჯრედის მესამე წევრმა თქვა, რომ მის-
თვის ყველაფერი ნათელია.

— თუ ყველასათვის ყველაფერი ნათელია,
მაშინ მე შენ გეკითხები, ამხანაგო, — თქვა
ოსტატმა აჰმედმა, რომელიც პირდაპირ თვა-
ლებში მიცქეროდა,—იძლევი თუ არა ფიცს,
რომ არასოდეს არ გადაუხვევ დიდი ლენინის
მიერ ნაჩვენებ საბრძოლო გზიდან?

— ვფიცავ, მთელ ჩემს სიცოცხლეში არ
გადავუხვიო საბრძოლო გზიდან, რომელზე-
დაც ჩვენმა დიდმა ლენინმა მიგვითითა. მუ-
შურ პატიოსნებას ვფიცავ!

— მე წინადადება შემომაქვს მივიღოთ
ამხანაგი უსთიუნგელი თურქეთის კომუ-
ნისტურ პარტიაში.

სამი დაკოჟრებული ხელი ერთად აღი-
მართა. შემდეგ ყველამ რიგრიგობით მომი-
ლოცეს, მაგრად ჩამომართვეს ხელი.

იმ დღეს 20 წელი შემისრულდა. ეს დღე— ჩემი მეორედ დაბადების დღეა.

მე ნიჩბებს მივუჯექი. დაბალი ხმით წამოვიწყეთ „ინტერნაციონალი“. წყალი ნავის ქიმზე შხაპუნებდა. კარგ გუნებაზე ვიყავი. გული ფრთებშესხმული მიფრინავს წინ...

აირჩიე, რაც გინდა!..

....რა სასიხარულოა მრავალი წლის პატიმრობის შემდეგ ხელახლა ჩაება მუშაობაში, ბრძოლაში, ხედავდე შენს ირგვლივ ბავშვობიდან ნაცნობ ადგილებს, იყო ხალხში! სტამბოლმა ტყუილად როდი გააღვიძა ჩემში ამდენი მოგონებანი განვლილ დღეებზე.

მაგრამ დიდხანს არ მიცხოვრია თავისუფლად.

ნუშის, ქლიავის, ბლის ხეებზე იშლებოდნენ ყვითელი, თეთრი, ვარდისფერი ყვავილები. გაზაფხული უღიმოდა ხალხს სახეში.

იმ დროს გაფიცული იყვნენ სტამბოლის

თამბაქოს ქარხნის მუშები და ფეიქრები. ორტაკეის, აჰირკაპის, ბალატის უბნებში, ფაბრიკებისა და საწყობების შესავალთან წარმოებდა გაფიცულთა შეტაკება პოლიციასთან. როდესაც ათასობით გაფიცული მუშა შეგროვდა პოლიციის ყაზარმებთან ჯიბალში, პოლიციელებმა საცვლების ამარა მოკურცხლეს.

კომპარტიის ვილაიეთის კომიტეტმა გამოუშვა სპეციალური მიმართვა ხალხისადმი, რომელშიაც მოუწოდებდა დახმარება აღმოეჩინათ გაფიცულთათვის. ხალხი გამოეხმაურა ამ მოწოდებას.

ახლოვდებოდა პირველი მაისი. გახშირდა მასობრივი დაპატიმრებანი. პოლიცია გულმოდგინედ იჭერდა კომუნისტებს. მუშათა უბნებში მიდიოდა საერთო ჩხრეკა. ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან ჟანდარმების ბადრაგობით ჯგუფ-ჯგუფად მიჰყავდათ მუშები საპოლიციო უბნებში.

ერთხელ დაღამებისას სტამბოლის ერთ-ერთი მუშათა უბნის ვიწრო შესახვევში მოვხვდი ალყაში.

პოლიციელებმა მიმიყვანეს საიდუმლო პოლიციაში. როგორც კი ზღურბლს ფეხი გადავადგი, მაშინვე გამხადეს ტანსაცმელი და წაიღეს. დედაშობილად დავრჩი. როცა შემდეგ ტანსაცმელი დამიბრუნეს, ქამარი, ჰალსტუხი, საკინძეები აღარ იყო. ყველა ნაკერი კოსტიუმზე გარღვეული იყო, სარჩული გამოხეული, ფეხსაცმელში ლანჩები ამოგლეჯილი იყო.

შემაგდეს ერთ-ერთ ოთახში. პირველი, რაც მესმის:

— აქ კანონი არ არის, გასაგებია?

მცველმა მიმითითა კარაბინზე, რეზინის მათრახებზე, ჯოხებზე, მარწუხების და ჩქიფების გროვაზე და თქვა:

— უყურე! აი შენ კონსტიტუცია, აი შენ კანონის პარაგრაფები, აი შენ თავისუფლება, აი შენ დემოკრატია. ამოირჩიე, რა გინდა!

კომუნისტების დაკითხვასა და წამებას ხშირად ესწრებიან გუბერნატორი და პროკურორი. საშინელია და საზიზღარი ამ ადამიანის მსგავს ცხოველების სიმკაცრე და სადიზმი. ისინი სტკბებიან წამებულთა ტანჯ-

ვით, იცინიან, ილანძღებიან, ცინიკურად ხუმრობენ:

— აბა, მოგწონთ თურქეთის დემოკრატია?

ამჯერად ჩვენ გვასამართლებენ იმ მუხლით, რომელიც სიკვდილით დასჯას მოითხოვს. მაგრამ „ვინაიდან ბრალდებულებს არ უხმარიათ ძალადობა და იარაღი,—ნათქვამია განაჩენში,—სიკვდილით დასჯა შეეცვალოთ კატორღით“.

და აი, ჩვენ სასამართლოში ვართ.

ჩვენს წინ კერპებივით სხედან შავ მანტიებში გამოწყობილი ძველი სულთანის მოსამართლეები — კაპიტალის მორჩილი ქოფაკები. ჩვენ ვდგავართ მაღლა თავაწეული. ჩვენს უკან პოლიციელები დგანან რევოლვერებით ხელში. ორივე მხარეს — ორ-ორი ჟანდარმი.

კითხულობენ განაჩენს:

„უარჰყო რა ბრალდებულთა მტკიცება, თითქოს ისინი აწამეს პოლიციაში... მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულთა უმრავლესობა უარყოფს როგორც პოლიციაში, ისე

გამოძიების დროსაც და სასამართლოს სხდომებზე მათდამი წაყენებულ ბრალდებას, სასამართლომ, განიხილა რა ბრალდებულთა მიერ გავრცელებული პროკლამაციები და არალეგალური გაზეთები, დარწმუნებული თავისი სინდისით მასში, რომ ბრალდებულები ეკუთვნიან კანონგარეშე გამოცხადებულ თურქეთის კომუნისტურ პარტიას, მათ ცდისათვის—დაემხოთ არსებული წესწყობილება, მიესაჯოთ...“ მოსდევს გადასახლებისა და კატორღის ვადები.

ჩვენ კატორღას გვისჯიან იმისათვის, რომ ვმართავდით მუშათა კრებებს, იმისათვის, რომ ვწერდით ხალხის ტანჯვისა და მოთხოვნილებათა შესახებ, იმისათვის, რომ ჩვენ შევქმენით ორგანიზაცია, რომელიც იცავს მუშათა კლასის, მთელი ერის ინტერესებს.

კონსტიტუციაში ნათქვამია: „მოსამართლეები დამოუკიდებელი არიან“. მაგრამ ჩვენი ხალხი მრავალი მაგალითებით ხედავს, რომ ეს სიცრუეა, ლიტონი სიტყვებია. საპროცესო კოდექსში არის მუხლი, რომლის თანახმად ბრალდებულს შეუძლია გაასაჩივ-

როს განაჩენი ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადამდე უმაღლეს სასამართლოს არ შეუძლია დაამტკიცოს განაჩენი. ასეა ეს ჩაწერილი.

იმის მეორე დღეს, ჩვენ რომ განაჩენი გამოგვიცხადეს, გაზეთები იუწყებოდნენ, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამოუძახა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარესა და წევრებს და განუცხადა:

— მე კომუნისტებს თავს გავუჭყლეტ!

მესამე დღეს პროკურატურამ გამოგვიცხადა, რომ განაჩენი დამტკიცებულია. მეოთხე დღეს ჩვენ განთიადისას აგვაყენეს და ჩაგვამწკრივეს ციხის დერეფანში, გადაგვაბეს ორ-ორი ხელბორკილებით ერთმანეთს და ჟანდარმების ბადრაგობით ეტაპით გაგვამგზავრეს 1300 კილომეტრზე შორეულ ციხეში.

უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარედ მაშინ ფაშისტი ჰალილ ოზურიუკი იყო. 1950 წელს მან იუსტიციის მინისტრის პორტფელი მიიღო. გამოდის რა მეჯლისში, ეს ჯალათი ახლაც ხმამაღლა აცხადებს: „თურ-

ქეთში სასამართლოები და მოსამართლენი დამოუკიდებელია“.

დიახ, დამოუკიდებელი არიან სამართლიანობისაგან, ხალხის ნება-სურვილისაგან...

მათ ზურგს უმაგრებს ამერიკა...

თურქეთის ფაშისტურ მმართველებს მრავალი წლის განმავლობაში საალყო წესები აქვთ გამოცხადებული ქვეყნის ბევრ რაიონში. თურქეთი დაყოფილი აქვთ სამ სამხედრო ზონად სამი სპეციალური სამხედრო ტრიბუნალით. ეს ტრიბუნალები ასამართლებენ კომუნისტებს, მშვიდობის მომხრეებს, ყველა პატიოსან პატრიოტს. ანკარის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალმა ახლახან, არც კი დაფიქრებულა ისე, მიუსაჯა 15 წლის პატიმრობა მშვიდობის მომხრეთა თურქეთის საზოგადოების წევრებს იმისათვის, რომ მათ ხალხის სახელით პროტესტი განაცხადეს თურქი ჯარისკაცების კორეაში გაგზავნის

წინააღმდეგ. ამ თავდადებულ გმირებს ბორკილები გაუყარეს მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი ფურცლებში წერდნენ: „გზა მშვიდობისაკენ—ეს არის გზა ბრძოლისა ჩვენი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!“

თურქეთის ახალგაზრდობა აქტიურად ჩაება მშვიდობის დაცვის დიად საქმეში, იმიტომ რომ თურქეთის გამყიდველ მმართველებს პირველ რიგში სწორედ ეს ახალგაზრდობა სურს აქციოს ამერიკის სიკვდილის მეფეთა საზარბაზნე ხორცად.

ხალხის თვალებში დაუშრეტელი სევდაა, ნაღვლიანი რისხვა. საპატარძლოები ჩვეულებისამებრ ცრემლებს ღვრიან დამტვრეულ სარკეზე, როდესაც ისინი აცილებენ თავიანთ მეჰმეტს, თავიანთ ნემიშს ცხრა მთას იქით სასიკვდილოდ.

ვინც არ იცის, დე იცოდეს! მშვიდობის მომხრეთა თურქეთის საზოგადოების წარმომადგენელი ბოჰიჯე ბორონი ფეხმძიმედ არის, და საპატიმროში დაბადებული მისი ბავშვის პირველი ყვირილი საპყრობილეს რკინის გისოსიდან გამოვარდება და მოედება მთელ

თურქეთს, როგორც ყვირილი: „ძირს ომის გამჩაღებლები!“

სტამბოლში ჯაშუშები და პოლიციელები დიდხანს ნადირობდნენ ორ ქალიშვილზე. ერთი მათგანი მუშა იყო, მეორე—სტუდენტი. ისინი მშვიდობის მომხრეთა საზოგადოების მოწოდებებს ავრცელებდნენ. დღისითმზისით ხალხმრავალ ქუჩაზე ერთი მათგანი შეიპყრო პოლიციამ. იქვე ჩააგდეს ამერიკულ „ჯიპში“.

— ჩემი ძმა სასიკვდილოდ გარეკეს კორეაში! — ხმამაღლა დაიყვირა სტუდენტმა ქალმა ლეილამ წინააღმდეგობის გაწევის დროს, ვიდრე მას მანქანაში ჩააგდებდნენ.—დედებო და მამებო! არ მისცეთ თქვენი შვილები სიკვდილით მოვაჭრე ამერიკელებს!

ქუჩა ხმაურობდა, ჯიპი გამალებული სიჩქარით გასცილდა ხალხს. ხალხმა მანქანას წყევლა-კრულვა გააყოლა უკან ამერიკანიზირებული პოლიციის მისამართით.

ქემალისტები ყოველმხრივ იყენებენ დაშინების განგსტერულ ხერხებს.

ისინი სულ იმას გაიძახიან: „ქვეყნად მშვიდობაა!“ საქმით კი ულმობელ ტერორს აძლიერებენ ყოველი პატიოსანი და მოწინავე ადამიანის წინააღმდეგ. ანკარელი მმართველები აცხადებენ: „მშვიდობა მთელ მსოფლიოში!“ საქმით კი სამხედრო ავანტიურებს ამზადებენ ამერიკელი აგრესორების მითითებით, სჩადიან დანაშაულს მშვიდობის წინააღმდეგ, უსჯიან კატორღას მშვიდობის მომხრეებს. ფლიდობითა და სიცრუით მუდამ სავსე იყო იმათი სიტყვები და საქმენი, ვინც უფსკრულისაკენ მიაქანებს ჩვენს სამშობლოს. მაგრამ ახლა სიცრუითაც კი აღარ სურთ თავი შეიწუხონ. გაზეთი „ენი საბაჰ“ ცინიკურად წერს: „ვისი და რისთვის უნდა გვერიდებოდეს? ჩვენ ზურგს გვიმაგრებს ამერიკა“... ხოლო „ჯუმჰურიეთი“ მოითხოვს: „ჩვენ უნდა უკუვაგდოთ დემოკრატიული სამოსელი, ეს ღვთისაგან მოვლენილი სასჯელი“.

ქემალისტებისათვის უკვე დამამძიმებელი გახდა პსევდოდემოკრატიული ხალათიც კი.

ბელგეთოფლარის ჩანაწერები

ხალხს არაფერი არ ავიწყდება. ყველაფერი აღრიცხვაზე აჰყავს. უკეთუ მას აშკარად არ შეუძლია რისიმე თქმა, იგი ქარაგმებს მიმართავს.

ძალადობისა და ჩაგვრის მრავალი წლის მანძილზე ხალხის ისტორიულ მეხსიერებაში დიდი ანგარიში დაგროვდა, რომელიც წარედგინება გასანაღდებლად მჩაგვრელებს, როცა მათი ჟამი დაჰკრავს.

პაპა ბელგეთოფლარი („ფაქტების შემკრები“) ხალხის მეხსიერების სიმბოლოა. კითხეთ ხალხს, ვინ არის ბელგეთოფლარი, და თქვენ გეტყვიან, რომ იგი ცხოვრობს სტამბოლში სალაჯიკის უბანში. ბელგეთოფლარი ცნობილია თავისი მოუსყიდავი პატიოსნებით. ამბობენ, რომ სტამბოლის ოკუპაციის დროიდან ბელგეთოფლარს შუბლზე შერჩა ღრმა ნაჭრილობები — ამერიკელმა საზღვაო ქვეითმა ჯარისკაცმა მახვილით დაჭრა ის; ამბობენ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის დროს მან შვილი დაჰკარგა და

რომ მისი შვილიშვილი კომუნისტია. ამბობენ, რომ ის იყო ხარატ ფაზლი ბაბას ახლო მეგობარი, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის დღეებში რანდავდა და აპატარავებდა გატენილ ჭურვებს, რათა მცირე ყალიბის ზარბაზნებით, რომელიც ჰქონდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ჯარს, დაეშინათ ამერიკელი და ინგლისელი ოკუპანტებისათვის.

ბელგეთოფლარი ყოველ დღე აწარმოებს თავის ჩანაწერებს.

„1941 წლის მაისი. ფონ პაპენი თავის ჭკუაზე ატრიალებს პრეზიდენტს... ინენიუ ელაქუცება თავის ძველ მეგობარს. გუშინ ისინი ისევ საუბრობდნენ მთელ საათს...“

„1941 წლის 18 ივნისი. ანკარამ მეგობრობის პაქტი დასდო ჰიტლერთან. ლონდონი ამით სრულიადაც არ შეწუხებულა...“

„1941 წლის 22 ივნისი. ნაცისტური გერმანია ღამის წყვდიადში მუხანათურად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. 170 ფაშისტურმა დივიზიამ გადალახა საზღვარი... ბერლინ-ანკარას პაქტის დადების სულ სამი დღის შემ-

დეგ!.. დაიწყო „დრანგ ნახ ოსტენ“*... ამერიკელმა მილიარდერებმა ბევრი იშრომეს იმისათვის, რომ ეკონომიკური და სამხედრო გაზა შეექმნათ ამ ძველი პრუსიული გეგმისათვის... ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტები ყოველთვის უსისინებდნენ ფაშისტ მეთაურებს აღმოსავლეთზე... თურქეთის დამონების გეგმაც „დრანგ ნახ ოსტენის“ ნაწილია“..

„1941 წლის 5 ოქტომბერი. ქემალისტური ოფიციოზი „ულუსი“ წერს: „გერმანელები სრულიად მართებულად მოიქცნენ, თავს რომ დაესხნენ საბჭოებს“. ანკარას დაბოლოს წამოსცდა. ქემალისტები აშკარად ულოკავენ ფეხებს ჰიტლერს“.

„1942 წელი. სტალინგრადის კედლებთან არნახული ბრძოლები წარმოებს. პირწავარდნილი ფაშისტი ათაიც კი იძულებულია აღიაროს, რომ „საბჭოთა წყობილება გერმანელების ტანკებზე და ზარბაზნებზე ბევრად უფრო მტკიცე აღმოჩნდა“. გვიან მოვიდნენ გონს! საბჭოთა მეომრების გმირობამ დაგვანახა, თუ რა შეუძლია სოციალიზმის თავისუ-

* გზა აღმოსავლეთისაკენ.

ფალ ადამიანს. ისტორიამ ჯერ არ იცის ისეთი სარდალი, როგორიც სტალინია... ვოლგის ნაპირებზე წყდება კაცობრიობის ბედი...“

„1942 წლის 31 აგვისტო. თურქი ფაშისტები იჩქარიან. დღეს გაზეთებში დაბეჭდილია სივასში წარმოთქმული სარაჯოღლუს სიტყვა. „ჩვენ არ ვაპირებთ ხელიდან გავუშვათ მოხერხებული შემთხვევა, რათა ერთი დაკვრით დავიბრუნოთ ის, რაც დამარცხების წლებში დავკარგეთ“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. ქემალისტები ელოდებიან ხელსაყრელ შემთხვევას მიიღონ მონაწილეობა ძარცვა - გლეჯაში...“

„1942 წლის 5 სექტემბერი. სარაჯოღლუ არზრუმშია. რუსეთის საზღვრებზე გაემგზავრა საინსპექციოდ...“

„1942 წლის 19 სექტემბერი. თურქეთის არმია აღმოსავლეთის საზღვრებზე იყრის თავს. ბრძანება „სამხედრო მზადყოფნა № 1“ ყველა ასეულის უფროსს დაეგზავნა დალუქულ კონვერტებში...“

„1942 წლის 23 სექტემბერი. „გერმანიის

არმიამ სტალინგრადში უნდა გაანადგუროს საბჭოთა არმია უკანასკნელ ჯარისკაცამდე“, — წერს „ულუსი“. ამბობენ, ძაღლის ლოცვა რომ ყოფილიყო მოსმენილი, ციდან წვიმის ნაცვლად ძვლები ჩამოცვივოდა...“

„1942 წლის 12 ოქტომბერი. დღევანდელ გაზეთებში ციტირებულია ჰერინგის სიტყვები: „გერმანელები სხვებზე ადრე ისარგებლებენ ნადავლით“. და იქვე გაზეთები სვამენ კითხვას: როგორიღა იქნება ფიურერის მოკავშირეთა წილი?“

„1942 წლის 27 ნოემბერი. „აუცილებელია რუსეთს წაერთვას მდიდარი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონები კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე. უნდა განადგურდეს რუსეთის ფლოტი შავ ზღვაში“, — მოითხოვს „ულუსი“. ქემალისტების მეთაურები აშკარად აცხადებენ, რომ იმედი აქვთ მიიღონ ნაცისტების ყაჩაღური სუფრიდან მსუქანი ტაბუხი“.

კიდევ რამდენიმე სტრიქონი პაპა ბელგეთოფლარის ჩანაწერებიდან:

„1942 წელი... სტალინგრადის მძიმე

დღეები. გაზეთები იუწყებიან: „კომუნისტები ავრცელებენ მოწოდებებს. სულეიმანიეს მეჩეთის მინარეთებს შუა მათ გამოჰკიდეს ოცდაათმეტრიანი წითელი ტრანსპორანტი ვეებერთელა ლოზუნგით: „ძირს ანკარის ფაშისტური მთავრობა!“

„1943 წელი. კომუნისტების დიდ ჯგუფებს სასჯელი აქვთ გამოტანილი სამხედრო ტრიბუნალების მიერ... ყარსში დახვრიტეს ორი უნტერ-ოფიცერი და ხუთი კომუნისტი ოფიცერი. ერთ მათგანს ომარ იილმაზი ერქვა...“

„1944 წელი... 55 ახალგაზრდა ანტიფაშისტი სამხედრო ტრიბუნალს გადასცეს... საიდუმლო პოლიციაში ისინი საშინლად აწამეს...“

რისი ეშინიათ?

ფაშისტური დიქტატურა ნებას არ აძლევს ჩვენს პარტიას ლეგალურად იმუშაოს. კომპარტია გამოცხადებულია „არაკანონიერად“ და თითოეული ჩვენგანი—„კანონგარეშე“.

კონსტიტუციაში ჩაწერილია ეგრეთ წოდებული სამოქალაქო უფლებები. ისინი ყველა, თავიდან ბოლომდე, გაუქმებულია სპეციალური დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით. ბეჭდვითი სიტყვის კანონი, ისევე როგორც სისხლის სამართლის კოდექსი, ფაშისტური იტალიის კანონებიდან გადმოღებული პირია. სულთანის დროიდან შემორჩენილი კანონები მოქმედებენ ორგანიზაციების შესახებ, კრებების შესახებ, პოლიციის უფლებამოსილობის შესახებ. „კანონი პროფკავშირების შესახებ", რომელიც გაფიცვებს კრძალავს, იმისაკენ არის მიმართული, რომ დააბრკოლოს ქვეყანაში მუშათა მოძრაობის განვითარება და ფაშისტურ ორგანიზაციებს გადასცეს პროფკავშირებზე კონტროლი. საარჩევნო კანონის ერთადერთი მიზანია უზრუნველყოს ფაშისტური ორგანიზაციებისათვის მუშების, გლეხების და ეროვნულ უმცირესობათა ხმები, ხოლო არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას მათი წარმომადგენლები მეჯლისში.

ხედავენ რა, რომ ბრძოლა დემოკრატი-

ისათვის ძლიერდება, ქემალისტებს ექსპრესის სიჩქარით გაჰყავთ მეჯლისში ახალი დრაკონული კანონები. ფაშისტების ერთ-ერთი მეთაური არვაზი, გამოვიდა რა მეჯლისში, გაიძახოდა: „ღამღამობით თვალები ვერ დაგვიხუჭავს. წითლები გვესიზმრება. ჩვენ მოვითხოვთ კიდევ უფრო მკაცრ კანონებს. ჩვენ უნდა მოვსპოთ კომუნისტები, როგორც ამას ჰიტლერი სჩადიოდა...“

დიახ, დიდია თქვენი შიში, დიდია თქვენი გაბოროტება, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ სახრჩობელათი ჩაახშოთ ფაბრიკებისა და ქარხნების ცხოვრება. თქვენ არ შეგიძლიათ გაანადგუროთ მუშათა კლასი! თქვენ უძლურნი ხართ „გააუქმოთ“ კომუნისტური პარტია!

კომპარტიის გაზეთები და ფურცლები ფართო გავრცელებას პოულობენ ხალხში. ამერიკანიზირებული დეპუტატები მეჯლისში, დოლარებით მოსყიდული მინისტრები და ჟურნალისტები გოდებენ: „მემარცხენეები მძვინვარებენ!“ „წითელი მეხუთე კოლონა!“ „კომინფორმის აგენტები!“ თურქ რეაქციო-

ნერებს იმისიც კი ეშინიათ, სახელი უწოდონ თურქეთის კომუნისტურ პარტიას. ისინი არ ამბობენ, რას მოითხოვს კომპარტია, რის შესახებ წერს იგი თავის გაზეთებში და ფურცლებში, — ცდილობენ მხოლოდ სახელი გაუტეხონ მას. განა შესაძლებელია სხვა რაიმეს მოველოდეთ ჩვენი მტრებისაგან?!

ხოლო როგორც კი პოლიციის კლანჭებში მოხვდები ან სამხედრო ტრიბუნალის სამსჯავროს წინაშე წარსდგები, ლაპარაკი სხვანაირად შეტრიალდება. საიდუმლო პოლიციის ჯურღმულებში, სამხედრო ტრიბუნალის დახშულ კარების უკან, კომუნისტების დაკითხვისა და წამების დროს, ჯალათები სრულ სახელს უწოდებენ პარტიას და მოითხოვენ: „დაასახელე ვინ შედის ცენტრალურ კომიტეტში? სად არის პარტიის ვილაიეთისა და რაიონული კომიტეტები? რის შესახებ ლაპარაკობთ უჯრედების კრებებზე? სად არის სტამბა? ვინ უშვებს გაზეთებს? ვინ ააწყო და ვინ გაავრცელა პროკლამაციები?“

ტრიბუნალებში ჩვენ გვეუბნებიან:

— თქვენ წერთ: „ახლანდელი მეჯლისი—

ეს სააქციო საზოგადოება არის! იგი მოსყიდულია ამერიკელების მიერ!“ მაშ აი, მეჯლისის გარეკვის ცდისათვის მიიღეთ თხუთმეტი წლის პატიმრობა!

· საიდუმლო პოლიციაში არამც თუ გელაპარაკებიან, არამედ იქვე ადგილზე მოქმედებით ასაბუთებენ ნათქვამ სიტყვებს.

— თქვენ აცხადებთ: „იმისათვის, რომ ქვეყანა იხსნას საშინელი კატასტროფისაგან, თურქეთის ხალხი უნდა აჯანყდეს. ყველა პატრიოტი უნდა გაერთიანდეს ეროვნულ ფრონტში“. მაშ, აი თქვენ, მიიღეთ! — და ჩვენ გვერდებს გვილეწავენ, კუბო-საკანში გვსვამენ.

— თქვენ კედლებზე ფურცლებს აკრავთ: „გარეკეთ თურქეთიდან ამერიკელი გენერლები და ოფიცრები! გავაუქმოთ კაბალური დამოკიდებულება ვაშინგტონთან!“ მაშ აი თქვენ ამისათვის! — და კომუნისტებს კბილებს ამტვრევენ, ფრჩხილებს გლეჯენ.

— თქვენ ამტკიცებთ, რომ საბჭოთა წინადადება სრუტეების შესახებ სამართლიანი და თანასწორუფლებიანი წინადადებაა, რო-

მელიც უზრუნველყოფს თურქეთის ეროვნულ დამოუკიდებლობას და კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას შავიზღვისპირა სახელმწიფოებს შორის? აი თქვენ რას ეუბნებით ხალხს! — და პროკურორი, იმის მიხედვით თუ როგორ გუნებაზეა, გვისჯის ჩვენ 15 და 20 წლის კატორღას სამშობლოს ღალატისათვის.

აი როგორ გამოიყურება დღეს თურქეთში „დემოკრატია“, „კანონი“ და „აზრის თავისუფლება“!

პოლიციაში და სამხედრო ტრიბუნალებში დაპატიმრებულ კომუნისტებს უდგენენ არალეგალურ გაზეთებს, ხალხში გავრცელებულ პროკლამაციებს, როგორც მათი საქმიანობის დამამტკიცებელ ნივთიერ საბუთს. კომპარტიის გაზეთები და ჟურნალები: „ალი“, „ბოლშევიკი“, „კომუნისტი“, „ერთობა“, „მოჯამაგირე“, „შრომა“, ასეულ საქმეებში ჩაკერებული, მოგზაურობენ ბორკილებგაყრილ კომუნისტებთან ერთად საიდუმლო პოლიციიდან პროკურატურაში, პროკურატურიდან — პოლიციაში, პოლიციიდან — სამხედრო ტრიბუნალში.

„წითელი სტამბოლი“, „წითელი ესქიშეხირი“, „წითელი იზმირი“, „წითელი სამსუნი“, „მეშახტე“, „მემაღაროე“! — რამდენი ათასი წელიწადი ციხე და კატორღა აქვს მისჯილი ამ გაზეთებს ჩვენი პარტიის წევრებთან ერთად!

ჯაშუშები, პოლიციელები, პროვოკატორები უკვე 20 წელია ნადირობენ პარტიის ცენტრალურ ორგანოზე — გაზეთ „ორაკ-ჩექიჩზე“ („ნამგალი და ჩაქუჩი“). რამდენმა ჩვენმა გმირმა ამხანაგმა, ისეთმა, როგორიც მეზღვაური მუხარემი იყო, სიცოცხლე შესწირა „ორაკ-ჩექიჩის“ დაცვას!

კომუნისტებზე ყოველი მასობრივი თავდასხმების შემდეგ, თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო გადასცემს ხოლმე გაზეთებში გამოსაქვეყნებლად დაშტამპულ ცნობებს: „კომუნისტური ორგანიზაციების კვალიც კი აღარ დარჩენილა თურქეთში“-ო. მაგრამ გადის მცირე ხანი და ანკარის ქუჩის მჯდაბნელები ხელახლა ღმუიან: „კომუნისტები... წითლები...“ მარშალიზებული დეპუტატები მეჯლისში ქმნიან „კომუნიზმთან მე-

ბრძოლ კომისიას“, გამოდის კანონი „მემარ-
ცხენე მიმდინარეობებთან ბრძოლის შესახებ“.
აქეზებენ პანთურქისტების ფაშისტურ ხუ-
ლიგნურ ბანდებს, რომლებიც აწყობენ მანი-
ფესტაციებს და ყველაფერს არბევენ.

მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალება.
დროგამოშვებით ანტიხალხური მმართველი
წრეები იძულებული არიან უნებლიეთ გა-
მოტყდნენ. „კომუნისტურმა პარტიამ ღრმად
გაიდგა ფესვები თურქეთში... იმათ მეთა-
ურად, ვინც მოითხოვს თავისუფლებასა და დე-
მოკრატიას, თქვენ ხედავთ კომუნისტებს!“—
წერს გაზეთი „ულუსი“.

ქემალისტებიც კი, რომლებიც ჩვენ ცილს
გვწამებენ და „საიმპორტო საქონელს“ გვე-
ძახიან, იძულებული არიან აღიარონ, რომ
თურქეთის კომუნისტური პარტია ხალხის
მშვიდობისა, დემოკრატიისა და ეროვნული
დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სათავეში
დგას. სწორედ ეს აშინებს მათ ყველაზე
უფრო.

არის ასეთი გენერალი ტინაზთეფე. იგი
ტიპიური ფაშისტია. აი რას წერდა ეს ახ-

ლანდელი იედი-სექიზ-ჰასან-ფაშა* ერთ-ერთ თავის მოხსენებაში, როდესაც იგი სტამბოლის გენერალ-გუბერნატორი იყო:

„თურქეთის სამხედრო სასამართლოებში და ტრიბუნალებში მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები—ეს, არსებითად, არის თურქეთის კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის პროცესები... ახლა ეს პარტია მოუწოდებს ხალხს ამერიკელების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. თავის ფურცლებში იგი აცხადებს: „ანკარის მთავრობამ ქვეყნის დამოუკიდებლობა გაჰყიდა ამერიკულ ნასუფრალზეო“.

თურქეთის ხალხის მტრები თავიანთ საიდუმლო პატაკებსა და მოხსენებებში ალიარებენ იმას, რისი აშკარად თქმა ეშინიათ. ისინი იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ

---

* იედი-სექიზ-ჰასან-ფაშა — თურქეთის არაკჩეევი; სულთან აბდულ-ჰამიდ II საიდუმლო პოლიციის უფროსი, რომელიც ცნობილი იყო თავისი გონებაჩლუნგობითა და სიმკაცრით.

იმ პარტიის საქმიანობას, რომლის გასრესა უნდათ თავიანთი ფაშისტური კანონებით. მაგრამ მზეს ტალახით ვერ გათხუპნი!

„ორმოცი ყაჩაღი"

ასე ეძახის ხალხი თურქეთის ბურჟუაზიის მეთაურებს—ფაშისტური პარტიის ხელმძღვანელებს და ვაშინგტონთან დაკავშირებულ თურქეთის რეაქციულ მმართველებს.

„ორმოც ყაჩაღს" არ სურს ხელიდან გაუშვას შემოსავლიანი მამულები. მაგრამ მომავალი დიდ შიშს ჰგვრის მათ. ისეთი ბობოლები, როგორიც არის ინენიუ, ყოველ შემთხვევისათვის მამულებს ყიდულობენ კალიფორნიაში. ბევრი მათგანი ამჯობინებს თავიანთი ოქრო შვეიცარიის, ლონდონისა და ნიუიორკის ბანკების სეიფებში შეინახოს. ისინი გულში მუშტების ცემით გაჰყვირიან: „ჩვენ ნაციონალისტები ვართ!" მაგრამ მათთვის დოლარი ლირაზე უფრო ძვირფასია. „ჩვენ

თურქები ვართ!“—ირწმუნება „ორმოცი ყაჩაღი“. მაგრამ მეტი სიფრთხილისათვის, ნაცვლად იმისა, რომ თურქეთში ქარხნები ააგონ, ხალხისაგან ამოქაჩულ უზარმაზარ კაპიტალს,—ორას მილიონ დოლარს, — უმოძრაოდ ინახავენ ნიუ-იორკის ბანკებში.

მოსყიდული მჯღაბნელები და პოლიტიკანები „რჩეულ მოღვაწეებს“ უწოდებენ სარაჯოღლუს და ბაიარს, ურანსა და მენდერესს, ქარალთანსა და ინანს, საკსა და კარაოსმანოღლუს, რომლებიც ქრთამებით, ხაზინის მსხვილი ქურდობით და ჩაგრული ერების გაძარცვით გამდიდრდნენ.

ერთ-ერთმა ამ „რჩეულმა“ ყაჩაღთაგანმა, უოლ-სტრიტის ლაქიამ, სივასში განაცხადა: „ქაღალდი და რადიო, სტამბები და კინოთეატრები, გაზეთები და პოლიცია, სასამართლოები და ყაზარმები, ხაზინა, საპყრობილეები და ბანკები, მეჯლისი და არმია—ყოველივე ეს, მთელი სახელმწიფო მანქანა ჩვენს ხელშია... ჩვენსკენაა ამერიკა... დე იცოდნენ ეს ჩვენმა შინაურმა მტრებმა“.

მართლაც, ექსპლოატატორული კლასების

ხელში ძლიერი აპარატია, მაგრამ ხალხი მათი წინააღმდეგია, აი რატომ უწოდებენ ისინი ხალხს „შინაურ მტერს!“

„ორმოც ყაჩაღს“ სურს მოტყუებითა და ძალადობით გარეკოს თურქი ხალხი ამერიკის ომში. აი რისთვის უსწორდებიან რეაქციული მმართველი წრეები სასტიკი ტერორით თურქეთის პროგრესულ ძალებს, უპირველეს ყოვლისა — მუშათა კლასს და მის პარტიას.

გუშინ და დღეს

ჩვენ ისევ საპატიმროდან საპატიმროში, ეტაპიდან ეტაპებში გვიხდება ხეტიალი. ჟანდარმების ბადრაგობით ხელბორკილებში აღმოსავლეთიდან დასავლეთში მივყავართ...

მივდივართ სამხრეთის თემებზე გავლით. ჩუქუროვის ბამბის პლანტაციები. აქ თავს იყრის ათასობით გლეხი, რომელთაც მშობ-

ლიურ სოფლებში აღარაფერი აბადიათ. გზებზე სიღატაკე და შიმშილი მძვინვარებს.

ადანა. მოედანზე, ხიდთან მოჯამაგირეთა ბაზარია. იგი უფრო მეტად საშინელია, ვიდრე ზონათა ძველი ბაზრები. 50 ათასი უმუშევარია ამ ბაზარზე!

- წვიმს. ჩვენ არ მიგვიღეს არც ადგილობრივ საპატიმროში, არც ჟანდარმთა საბმართველოში. „თქვენი ქალალდები სინოპშია მიმართული“.

ჩვენ მოედანზე ვდგავართ ვილაიეთის სამმართველოს შენობასთან. წვიმამ ძვალ-რბილში გაგვატანა. ჩვენი მხლებელი ჟანდარმები დაიბნენ, არ იციან რა ქნან.

მთელი ძალ-ღონით გავყვირით: „ძირს ფაშიზმი!“ ვმღერით:

ისმის ბორკილის ხმა...
ჩვენი ამხანაგი კატორღაში მიჰყავთ...

გამვლელები შეჩერდნენ. მიუხედავად წვიმისა, ხალხი შეგროვდა. დაბოლოს მოვიდა პროკურორი და ჟანდარმერიის უფროსი. პოლიციელებმა ხალხი გარეკეს.

ჩვენ ჩაგვყარეს ვილაიეთის სამმართველოს შენობის სარდაფში. აქ ორი დღე დავყავით, ამ თითქოს ვეებერთელა, სანაგვე კალათში: ირგვლივ გაყვითლებული, დაობებული ძველი ქაღალდები, გაზეთები, დავთრები.

ვიქექებით ძველ ქაღალდებში, ჩემი ამხანაგი გაზეთებში ეძებს რაიმე „ცხელ-ცხელ“ ამბავს, თუნდაც ხუთი-რვა წლის დროინდელს. უსაზღვრო სურვილი გვიპყრობს გავიგოთ ახალი რამ იმ ცხოვრების შესახებ, საიდანაც უნდათ გაგვაძეონ! მაგრამ ყველაზე უფრო „ცხელ-ცხელი“ გაზეთები ოცდაათიანი წლების დამდეგს ეკუთვნის. 1932 წელი. პირველ გვერდზე ამერიკელი გენერლის სურათებია. ეს მაკარტურია. იგი ჩამოვიდა, რათა „უფრო ახლოს გაეცნოს თურქეთის არმიას“. „მე პატივად ჩავთვლიდი თურქული დივიზიის უფროსობას... თუ გაჭირდა, თურქეთს მილიონიანი არმიის გამოყვანა შეუძლია“, — განუცხადა მან კორესპონდენტებს.

ამერიკელი მილიტარისტების წარმომადგენლებმა ჯერ ერთი დივიზია დაათმობინეს

ანკარას, მაგრამ პენტაგონს მაშინ უკვე მილიონობით მემეტჩიკებზე* ეჭირა თვალი!

მეორე გაზეთი. 1933 წელი. „ეკონომიკის მინისტრმა—ჯელიალ-ბეიმ (ბაიარმა) ამერიკიდან სპეციალისტები მოიწვია... ამერიკელები გამოიკვლევენ თურქეთის ნავთობის მდიდარ საბადოებს და მადნეულს... ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სპილენძისა და ქრომის ბუდობებს. ისინი გამოიკვლევენ აგრეთვე თურქეთის ბანკების საქმეებს“.

დოლარისა და ნავთობის ამერიკელი მეფეები უკვე დიდი ხანია აგზავნიდნენ თურქეთში თავიანთ მზვერავებს, ამერიკის მანდატის მომხრე ქემალისტების დახმარებით თანდათან ანმტკიცებდნენ თავიანთ პოზიციებს. ანკარა ჩუმჩუმად ევაჭრებოდა მათ. წლები კი გადიოდნენ... და აი, ერთ მშვენიერ დღეს ამერიკელი გენერლები, ოფიცრები, ეგრეთ წოდებული ბიზნესმენები, ბანკირები, დიპლო-

---

* მემეტჩიკს ჯარისკაცს ეძახიან თურქეთში.

მატები, „სპეციალისტები“, სენატორები ზედიზედ მოაწყდნენ თურქეთს.

აღორძინდა კაპიტულაციის წინანდელი რეჟიმი. ამერიკელებმა ანკარაში შექმნეს „სახელმწიფო სახელმწიფოში“—უოლ-სტრიტის ნაცვლები ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონი გახდნენ. პრემიერ-მინისტრისა და მეჯლისის თავმჯდომარის რეზიდენცია—ჩანკაია, გენერალური შტაბი და ყველა სამინისტრო სპეციალური სატელეფონო ხაზებით, სპეციალური კურიერებით უშუალოდ დაკავშირებული არიან ამერიკის საელჩოსთან, ამერიკის სამხედრო მისიასთან, „მარშალის გეგმის განხორციელების სამმართველოსთან“. სპეციალურ კურიერებთან შეხვედრისას, პირდაპირი ტელეფონის მილის აღებისას „ორმოცი ყაჩაღი“ სალამის მიცემის დროს სამკეცად იხრის ქედს.

საკმარისი იყო მაკარტურის დეპეშა, რომ მისთვის თურქეთიდან კორეაში გაეგზავნათ ჯარისკაცთა ბატალიონები. მაკარტური მემეტჩიკეებს ხარჯავს, როგორც საზარბაზნე ხორცს, სამშობლოში კი აბრუნებს მათ პირად ნომრებსა და დამარხვის ცნობებს.

ძარცვა

„ორმოცმა ყაჩაღმა“ მეჯლისი ბაზრად აქცია. ამ ბაზარზე ისინი ერთ დასტა დოლარზე ჰყიდიან სამშობლოს, თურქ ჯარისკაცებს, ეროვნულ ღირსებას და სიამაყეს.

ვაშინგტონში მოქაჩავენ ძაფის ერთ ბოლოს—და ანკარაში დეპუტატები გამოხტებიან მეჯლისის ტრიბუნაზე და გაჰყვირიან:

„ჩვენ მოვიპოვეთ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში შესვლის უფლება კორეაში დაღვრილი მემეტჩიკების სისხლით. ყველაფერი სასწორზე უნდა დავდოთ, რაც კი თურქ ხალხს გააჩნია. მას, ვინც გემრიელ ღვეზილზე უარს იტყვის, დაე, კბილები ჩასცვივდეს!“

ტოტალური ძარცვის სამზადისში, ფაშისტური პარტიების მეთაურებმა თურქ ხალხს მოუსპეს შაქარი, ხორცი, ერბო, კარაქი. ამის ნაცვლად მათ თურქეთში შემოაქვთ ამერიკული ტანკები და ზარბაზნები. რამდენად მეტი ამერიკული იარაღი შემოაქვთ ჩვენს ქვეყანაში, იმდენად უფრო მატულობს გადასახა-

დები, იზრდება ხალხის სიღატაკე და ტანჯვა.

ამერიკელი კოლონიზატორები მოზღვავდნენ. ვაგონობით შემოზიდულმა ამერიკულმა საქონელმა, უამრავმა ბიზნესმენებმა გაჭედეს თურქეთის ბაზრები. მილიონობით ხალხმა დაჰკარგა თავისი კერა. განადგურდნენ ხელოსნები, ფეიქრები. თითქმის სრულებით აღარ ამზადებენ ჰარპუთში მაუდს, ანთებში ნარმას, ბურსაში აბრეშუმს, ანკარაში შალეულს, დენიზლში ბამბის ქსოვილებს. ეგეში დაეცა მევენახეობა. გადახმა ოქროსფერი იაპინჯაკის * ვაზი.

ტაშოვში უკულმა წავიდა მეთამბაქოების საქმე. გაევრანებულ ველად იქცა მწვანე ბურსა: ამერიკულმა „ნეილონმა“ აქ ძირიანად მოთხარა თუთის ხე. აღარ არიან მტრედები დამშეულ დიარბაქირში.

სამაგიეროდ სიხარულით იფშვნეტენ ხელებს ამერიკული საქონლით მოვაჭრენი, სამ-

---

* იაპინჯაკი — ერთ-ერთი საუკეთესო ყურძნის ჯიშია.

ხედრო მოიჯარადრეები, რომლებიც მდიდრ-
დებოდნენ ამერიკული იარაღის მიწოდებით.
ამერიკელი ავაზაკების კომპანიონებმა ამე-
რიკულ „სველ“ საქმეში მიიღეს არა მარტო
სარფიანი აქციები. მარტო უკანასკნელი
ორი წლის განმავლობაში ოქროს ნაკადი,
რომელიც მათ ჯიბეში მიედინება, 850 მი-
ლიონი ლირიდან ერთ მილიარდ 200 მილიონ
ლირამდე გაიზარდა. ძარცვა გრძელდება!

ხალხი გაანაგრძობს ბრძოლას

სულშემხუთავი სიცხეა. ისკენდერუნის
პორტში ნავმისადგომებზე, მოლზე ორომ-
ტრიალია. მემეტჩიკებს, როგორც ცხვრებს,
აგზავნიან კორეის სასაკლაოზე. ისინი გადაჰ-
ყავთ ეშელონებიდან და მიერეკებიან ამერი-
კის გემების ტრიუმებში. ეს ამერიკული კუ-
ბოები გადიან ზღვაში და მიჰყავთ სასიკვდი-
ლოდ განწირული ხალხი. განუწყვეტლივ მო-
დიან გემები ამერიკული იარაღით, უშვებენ

ლუზას ნავსადგურში. მათ თურქეთში ამერიკული სიკვდილი მოაქვთ.

ვაგონებზე, სადგურის შენობებზე, სახლების კარებზე, ამწევ ონკანებზე ნავსადგურში კომუნისტებმა მოწოდება გააკრეს: „თურქო ჯარისკაცებო! თქვენ ჩაგაცვეს სიკვდილმისჯილთა ამერიკული პერანგები! თქვენ გაგგზავნიან სასიკვდილოდ და სხვის მოსაკლავად ტრუმენების გულისათვის! გაიქეცით ჯარიდან! თურქო მუშებო! ნუ გადმოტვირთავთ და ნუ დატვირთავთ ამერიკულ იარაღს!“

გაიფიცნენ ისკანდერუნის დოკერები. მათ უარი თქვეს გემებიდან ამერიკული იარაღის გადმოტვირთვაზე. ხალხი მხარს უჭერს გაფიცულთ. ქალაქში გამოცხადებულია საალყო წესები. გაფიცულების წინააღმდეგ, ხალხის წინააღმდეგ გაგზავნილია ჯარები. ხდება შეტაკებები, იღვრება სისხლი.

ამერიკელ სიკვდილით მოვაჭრე ფაბრიკანტებისაგან მიღებული იარაღი ქემალისტებმა ხალხს შიგ გულში დაუმიზნეს.

აჯანყდნენ აფიენის გარნიზონის რადის-

ტები: „ჩვენ არ წავალთ კორეაში!“ -განაცხადეს მათ. ახალი შეტაკებები, კვლავ სისხლი იღვრება. მაგრამ ამჯერად მოვლენებმა დაგვანახეს, რომ ხალხი სწავლობს—მიღებული ამერიკული იარაღი თვით ამერიკელების წინააღმდეგ გამოიყენოს. იარაღს რომ ხელს კიდებდნენ, აფიენის რადისტებს არ დავიწყებიათ. რომ მათი მამები ანადგურებდნენ უცხოელ ოკუპანტებს აფიენის კლდოვან ბორცვებზე.

ამერიკის სამხედრო გემები წამდაუწუმ გადიან დარდანელში, მათი კვამლი ცას ჭვარტლავს მარმარილოს ზღვაში, ისინი ღუზებს უშვებენ რეიდზე სტამბოლში. თავხედი ამერიკელი მეზღვაურები, ქერა წარბებზე ჩამოწეული უსაჩინო ქუდებით, ქუჩებში გამოეფინენ. ყვირიან, შეურაცხყოფენ გამვლელებს. გეგონებათ, სტამბოლი კვლავ განიცდის უცხოელთა ოკუპაციის დღეებს.

ბაიაზეთის მოედანი. თვით უნივერსიტეტის წინ, დახურულ ბაზარზე ანტიკვარისაგან ნაყიდი ხანჯლებით მთვრალმა ამერიკელმა მეზღვაურებმა ალიაქოთი -ასტეხეს.

იქვე არის გალეშილი ამერიკელი, ბანკირების ნაცვალი ანკარაში, როსელ დოორი. მას მხარზე მოსადაფებული კაჟიანი თოფი აქვს. ერთობიან, თავი იანიჩარებად წარმოუდგენიათ, ხანჯლებს ატრიალებენ. ამერიკული განგსტერები ქუჩაში თურქ ქალიშვილებს აედევნენ. ქალიშვილებს უნივერსიტეტის სტუდენტები გამოექომაგნენ. სტუდენტებს აქსარას ტრამვაიელებმა დაუჭირეს მხარი. დამფრთხალმა კოლონიზატორებმა ნავსადგურისაკენ მოუსვეს. პოლიციელები იცავენ ამერიკელ ბატონებს თურქი პატრიოტებისაგან.

სტამბოლის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე ტანად ერთი გოჯია, საქმეები კი მის თავს აღემატება. იგი მუნდირის კალთებს ულოკავს ამერიკელებს და მუნიციპალიტეტის ხარჯზე ბანკეტებს მართავს მათ საპატივცემოდ. ასევე მუნიციპალიტეტის ხარჯზე იგი საროსკიპოებს უთმობს „საპატიო სტუმრებს“. რომ აარიდოს ამერიკელ ვაჟბატონებს უსიამოვნო სანახაობა, ვალი ანგრევს კაზლიჩეშმში ღარიბთა ღამის სათევებსა და

ქოხმახებს. ვალის ბრძანებით, ჟანდარმერიისა და პოლიციის რაზმები გარს შემოერტყნენ თუნუქ-ფანერის ქალაქს, სადაც 50 ათასი ლატაკი აფარებს თავს. უბედურება ზედ კარებს მიადგათ. ერთი გამოსავალიღა დარჩენილა—ბრძოლა. და კაზალიჩეშმე იბრძვის.

კულტურისა და სპორტის სასახლის წინ ასობით ავტომანქანა დგას. ხუთი ათასი შოფერი მოვიდა თავიანთ პროფკავშირის კონგრესზე. სტამბოლის ქუჩებში არც ერთი ტაქსი არ არის. ამერიკელი ტურისტები, რომლებიც გალათის ნავმისადგომში გადმოსხდნენ. უკმაყოფილებას გამოთქვამენ. ვალი და საიდუმლო პოლიციის უფროსი დაიბნენ.

კონგრესის დარბაზში ტრიბუნაზე ამერიკული ავტომობილების მეფეთა აგენტი, დეპუტატი იურიუთენია. მის მარჯვნივ და მარცხნივ ორ-ორი მცველია სამოქალაქო ტანსაცმელში. ეს ფაშისტი ცდილობს მოაწყოს ახალი პროვოკაცია — ისევ ცილს სწამებს კომუნისტებს. მაგრამ გამოუვიდა არა ის. რასაც იგი ელოდა. ხუთი ათასმა შოფერმა ყიჟინა დასცა ამერიკის მასხარას.

— დაიკარგე! ფორდის ლაქიავ, „საკონი ვაკუუმის“* მონავ!

როდესაც დაინახეს, რომ საქმე სერიოზულ ხასიათს ღებულობს, ფაშისტებმა მაშველი რაზმი გამოიძახეს. დარბაზში ვალი შემოდის.

— ჩვენი ამერიკელი სტუმრები ნავმისადგომში იცდიან...

მას სიტყვას აწყვეტინებენ:

— ზურგზე შეისვი ისინი, ზურგზე!...

ჰომერულმა ხარხარმა შეძრა კონგრესის კედლები.

დარბაზში პოლიციელები შემოიჭრნენ. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. სპორტის სასახლე მოტორიზებული პოლიციითაა გარშემორტყმული. ბრძოლა რამდენიმე საათს გრძელდება. ჟანდარმებმა ცრემლსადენი აირიანი ყუმბარები ისროლეს. ცრემლსადენი ბომბები ახლახან მიიღეს ამერიკიდან.

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ

„ბილწი იზმირი“—ასე ეძახის ჩვეულებრივ ხალხი იზმირს. ესაა კომპრადორული

* ამერიკის ნავთობის კომპანია.

ბურჟუაზიის, ლევანტელი კოსმოპოლიტების იზმირი, სადაც ბატონობენ უცხოელთა კომპანიები. ეს იზმირი დიდი ხნიდან ფაშისტური პარტიების ბუნაგია. იგი გამყიდველი, ბილწი, მუხანათი იზმირია.

მაგრამ არის მეორე იზმირიც. ხალხი მას „მშვენიერ იზმირს“ უწოდებს. ეს იზმირი მუშათა მსხვილი ცენტრია, მშრომელთა იზმირი, რევოლუციური ტრადიციების იზმირი. რომელიც განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებს ბილწ იზმირთან. ეს კომუნისტური პარტიის არალეგალური სტამბების იზმირია, იმათი იზმირი, ვინც რკინიგზელთა გაფიცვის დროს ლიანდაგზე გაწვა, რათა შეეჩერებინა დამსჯელთა ეშელონები. ეს იზმირი ანადგურებს ფაშისტური გაზეთების სტამბებს და ეხმარება კომუნისტურ ბეჭდვითი სიტყვას. ეს იზმირი ჟანდარმთა ხიშტების ქვეშ ასეული ხმებით იმეორებდა ვოროშილოვის ბულვარზე ქვეყნის პროგრესულ ძალთა ლოზუნგს: „ვერავითარი ძალა ვერ გვაიძულებს ხელი ავიღოთ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე!“ ეს ის იზმირია, სადაც 1950 წელს

მხოლოდ რიყის ქვებით შეიარაღებული ორი ათასი ფეიქარი მუშა შეუპოვრად ებრძოდა ჟანდარმერიის რაზმებს. და ეს ის იზმირია, რომელსაც თვალები უბნელდება შიმშილის. სენისა და უმუშევრობისაგან.

ფაშისტ-ქემალისტებს ეშინიათ ამ იზმირის.

ერთხელ სახელდახელო მიტინგზე ჰალკაპინარში მოულოდნელად თავს დაგვესხა პოლიცია. შეტაკების დროს მუშებმა, ჩემი გადარჩენის მიზნით, სწრაფად მომახურეს ქალის გაზეთილი სამუშაო წამოსასხამი. საღამოს ბინდმაც ხელი შეგვიწყო: ხანგრძლივი დევნის შემდეგ ჩვენ, დაბოლოს, თავი შევაფარეთ ერთი მუშის სახლს თილკილიკში. კარი გამიღო ოციოდე წლის ახალგაზრდა ქალიშვილმა. მოქანცული, მაგრამ ლამაზი სახე აქვს.

- ამხანაგო, აქ, როგორც ციხე-სიმაგრეში, თქვენთვის არავითარი მტერი საშიში აღარ არის, — მითხრა თამბაქოს ქარხნის ახალგაზრდა მუშა ქალმა.

მართლაც მშვენიერი, თავდადებული, მამაცი იზმირი!

9 სექტემბერს იზმირის აღების 27 წლისთავია. 27 წლის წინათ იზმირში ხალხმა ოკუპანტები ზღვაში გადაჰყარა.

ნავსადგურში ამერიკელების ვეებერთელა ავიოსანი და სხვადასხვა სიდიდის სამხედრო ხომალდების მთელი ესკადრა დგას. 1922 წლის 9 სექტემბერს მათ წინამორბედებმა აქედან მოკურცხლეს. დღეს კი...

მშვენიერი იზმირი .უნდობლად უცქერის ნავსაბმელთან მომდგარ ამერიკელებს, „ბილწ იზმირს“.

მოედანზე, მუნიციპალიტეტის წინ, ხალხია. საპატიო ტრიბუნაზე ამერიკელი ადმირალია ვალისთან და ამერიკულ ფორმაში გამოწყობილ თურქ გენერლებთან და ოფიცრებთან ერთად. მის წინ კავალერისტები თავმომწონედ დაჯირითობენ. ეს—პარადია 27 წლისთავის აღსანიშნავად. მაგრამ ამ კავალერისტების სახეზე არ არის და არც შეიძლება იყოს იმ ანატოლიელ ჯარისკაცთა აღფრთოვანება, რომლებიც 27 წლის წინათ იბრძოდნენ ეროვნული განთავისუფლებისათვის ისე, რომ არაფერი იცოდნენ ქემალის-

ტების გამცემლობის შესახებ. მათი ტანსაცმელიც ისეთი როდია. ესენი ამერიკელი სიკვდილის მეფეების მოჯამაგირეებია. მათ ამერიკული მუნდირები აცვიათ.

ვიდრე ცხენოსნები გაივლიდნენ, მუნიციპალიტეტის შენობის აივანზე „სადღესასწაულო წარმოდგენა“ გათამაშდა. უბადრუკი. უსირცხვილო კომედია. შავ. სამგლოვიარო მანტიაში გახვეული ქალიშვილი. ამერიკულ ფორმაში გამოწყობილი ოფიცერი მახვილით უჭრის მას შავ საბურველს... თურქი გენერალი ეუბნება ამერიკელ ადმირალს:—რას იტყვით, ეს სცენა იზმირის განთავისუფლების ხომ კარგი სიმბოლოა?

ქემალისტები აყალბებენ ყველასათვის ცნობილ ისტორიულ ფაქტებს, აბუჩად იგდებენ ხალხის საბრძოლო ტრადიციებს, მის ეროვნულ გრძნობებს.

ამ გენერალს, რომელიც ახლა ამერიკელი ადმირალის წინაშე ასე დამამცირებლად იხრის ქედს, ჩვეულებრივ, ქემალისტები გმირად, იზმირის მხსნელად აცხადებენ. სინამდვილეში კი 1922 წელს იგი ცხენს თავგა-

მეტებით მიაჭენებდა აიდინის რკინიგზის გასწვრივ არა იმისათვის, რომ იზმირი ეხსნა. მისი ამოცანა იყო გადაერჩინა ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის კომპანიების გენერალური დირექტორების სიცოცხლე და ქონება და განეიარაღებინა მუშათა რაზმები. რომლებმაც გაათავისუფლეს იზმირი ჯერ კიდევ ანატოლიის ჯარების მოსვლამდე. ასეთი იყო მთავარსარდლის ქემალ-ფაშას სპეციალური ბრძანება.

ყურეს წყალი მუქდება. კარდონბოიუს სანაპიროს გასწვრივ ელექტრონის ნათურები აინთო. გეგონებათ ისინი ქალაქის გულზე ჩამოკიდებული ყალბი ბრილიანტების გულქანდა იყოს. კაზინო „ფუარში“ ბანკეტია. ბილწი იზმირი მხიარულობს. ორი ამერიკელი ოფიცერი ეხვევა ქალიშვილს, რომელიც დილის კომედიაში, შავი მანტიით შემოსილი, იზმირს ანსახიერებდა. ეს სალახანა ამერიკელ ქალთა კოლეჯის მოსწავლეა იზმირში.

ქუჩებში ღრიალებენ, უხამსობენ ამერიკელი მეზღვაურები. სცემენ გამვლელებს.

შეურაცხყოფას აყენებენ ქალებს. ახალგაზრდა ქალიშვილი შველას ითხოვს. პოლიცია ყურადღებას არ აქცევს.

ჩვენ მათ ვერ შევეხებით.

დოკერებისა და ტაქსის შოფერთა ჯგუფი ისწრაფის საშველად. გაისმა სროლა. დაინახეს რა, საქმე ცუდად იყო. ამერიკელებმა ნაპირისაკენ მოუსვეს. ერთი მათგანი ქუჩაში აგდია სისხლის მორევში.

ბასმანის უბნის ერთ-ერთ ყავახანაში. იმ უბნის, სადაც მუშები და ხელოსნები ცხოვრობენ, გაცხარებით მსჯელობენ უკანასკნელი ამბების შესახებ.

— ამ ქუჩას იმ თურქის სახელი უნდა დავარქვათ, რომელმაც პირველი ტყვია ესროლა აქ 1919 წელს ინტერვენტებს.

— არა, ამ ქუჩას იმ 27 წლის მუშის სახელი უნდა დაერქვას, რომელმაც დღეს აქ ამერიკელი მიაწვინა.

— ერთი სიტყვით — დამოუკიდებლობის ქუჩა, — დაასკვნა ძველმა რკინიგზელმა მუშამ.

რისთვის ვიბრძვით

ფაშისტურ ტრიბუნალებს კომუნისტებისათვის გამოაქვთ განაჩენები ერთი სტანდარტული ფორმულით: „არსებული სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური წყობილების დამხობის. მეჯლისის გარეკვის და მთავრობის ჩამოგდების ცდისათვის...“

სამხედრო ტრიბუნალი № 2 ანკარაში. სხდომების მომცრო დარბაზი. დახურული კარები. კედლებთან ჩამწკრივებულან გუშაგები ამერიკულ ფორმაში, ამერიკული შაშხანებით ხელში.

მსაჯულთა კოლეგია. განიერი მაგიდა. ჩასუქებული თურქი გენერალი ამერიკულ მუნდირში. მის მარცხნივ და მარჯვნივ— კოლეგიის ისეთივე ამერიკანიზირებული წევრები. გვერდით—პროკურორი...

დარბაზის შუაგულში—ადგილი ბრალდებულთათვის, ოთხივე მხრივ მკერდის სიმაღლემდე რკინის გისოსით შემოვლებული. ამ რკინის გალიაში კომუნისტების ჯგუფი დგას მხარდამხარ. ერთი მათგანი. საშუალო ტა-

ნის, თმაჭალარა, ლაპარაკობს მკაფიოდ და ხმამაღლა:

ჩვენ უარვყოფთ პროკურორის მიერ წამოყენებულ. ბრალდებას. ხალხს კი ჩვენ მზად ვართ ჩავაბაროთ ანგარიში. აი რატომ მოვითხოვთ ჩვენ, რომ თქვენი სხდომები იმართებოდეს ღია კარებში. ხალხმა უნდა იცოდეს სიმართლე. დე ხალხმა იცოდეს. თუ რისთვის გვდევნიან ჩვენ.

ჩვენ, კომუნისტები, აშკარად ვაცხადებთ. რომ „არსებულ პოლიტიკურ წყობილებას" ჩაგრულთა უმრავლესობისათვის არასოდეს არავითარი უფლება და არავითარი თავისუფლება არ უზრუნველუყვია, ვერ უზრუნველყოფს და არც შეუძლია უზრუნველყოს.

ოცდაათმა წელმა განვლო მას შემდეგ. რაც ხალხთა მასების შეტევის შედეგად შეიქმნა მეჯლისი—თურქეთის დიდი ეროვნული კრება. ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ მის ზღურბლზე ფეხი გადაედგას მუშებისა და ღარიბი გლეხების თუნდაც ერთ წარმომადგენელს.

კომპარტია თავიდანვე იმისათვის იბრ-

ძოდა და ახლაც იბრძვის, რომ ხალხს გარანტირებული ექნეს არჩევნების თავისუფლება. კომპარტია თავიდანვე მოითხოვდა და მოითხოვს სამართლიანი სახელმწიფო წყობილების დამყარებას. ახლანდელ სოციალურ წყობილებას ხალხთა მასებისათვის მოაქვს მხოლოდ სილატაკე, შიმშილი და ცრემლები. მთავრობები, რომლებიც ერთიმეორეზე იცვლებიან, არც კი ფიქრობენ გააუქმონ ანტიდემოკრატიული კანონები. ამ მთავრობებმა, ძალით ჩამოაშორეს რა ხალხი პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას, იოლად მიჰყიდეს იმპერიალისტებს ერის ინტერესები. და რაკი ყოველივე ეს ასეა, საჭიროა დავამსხვრიოთ ანტიხალხური რეჟიმი. აი როგორ სამართლიან დასკვნამდის მიდიან თურქი ხალხის სულ უფრო ფართო ფენები, რომლებსაც ბევრი რამ ასწავლა საკუთარმა მწარე გამოცდილებამ

თურქეთის ახლანდელი მმართველები „ერის ერთიანობაზე" გაჰყვირიან. არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება ერთიანობა ხალხსა და იმათ შორის, ვინც დოლარებზე

გაჰყიდა ქვეყნის ეროვნული ინტერესები. მაგრამ მწიფდება პირობები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ერთიან ეროვნულ ფრონტში გაერთიანებისათვის ამერიკული მონობისა, გამცემლებისა და რეაქციის წინააღმდეგ...

ტრიბუნალის თავმჯდომარე ცდილობს შეაჩეროს ჩვენი ამხანაგი, მაგრამ იგი განაგრძობს თავის მრისხანე მხილებას:

— თქვენ ცრუ ბრალდებებს გვიყენებთ ჩვენ, რათა გაამართლოთ ექსპლოატატორული კლასები, მათი ფაშისტური მთავრობები, გაამართლოთ ხალხის სიღატაკე და უუფლებობა. თქვენ დახურულ კარებში აწყობთ პროცესებს, თქვენ გინდათ გაუსწორდეთ კომუნისტებს იმისათვის, რომ ისინი მთელი თურქი ხალხის სახელით პროტესტს აცხადებენ პროამერიკული პარტიების ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ...

გენერალი მოთმინებას ჰკარგავს, მუშტს ურტყამს მაგიდას, ისე ყვირის, გეგონება. ეს-ეს არის ღიპი გაუსკდებაო:

— გა-ჩუმ-დი! გაათრიეთ ისინი! გაუყა-

რეთ ბორკილები! დე, იცოდნენ ვის წინაშე ლაპარაკობენ!... მე არ დავუშვებ ჩვენი მუნ-დირის ღირსების აბუჩად აგდებას!...

კომუნისტების ჯგუფიდან გაისმის მშვიდი და დამცინავი ხმა:

— თქვენი მუნდირი ამერიკულია. თვი-თონ თქვენ კი ფაშისტები ხართ.

ჯარისკაცები და ოფიცრები მყისვე შე-მოერტყნენ ბრალდებულებს და კონდახების ცემით გაჰყავთ ისინი სხდომის დარბაზიდან.

ამერიკანიზირებულ გონებაჩლუნგ გენე-რალს, ალბათ, არასოდეს არ გაუგონია სახალ-ხო თურქი პოეტის მართალი სიტყვები: „განა შეიძლება ბოქლომი დაადო მდინარის მოძ-რავ წყლებს!“ ანკარაში სამხედრო ტრიბუ-ნალის დახურულ კარებში შეწყვეტილი კო-მუნისტის სიტყვის გაგრძელება ხალხმა წაი-კითხა კომპარტიის არალეგალურ გაზეთებში:

„...თურქეთის კომუნისტურმა პარტიამ თავის საბრძოლო პროგრამას საფუძვლად დაუდო ხალხთა მასების ზრახვები. ჩვენ ვიბრძვით ნამდვილი დემოკრატიული რეს-პუბლიკისათვის. ეროვნულ უმცირესობათა

თანასწორუფლებიანობისათვის, მიწის საკითხის ძირეულად გადაჭრისათვის. საჭიროა საბოლოოდ აღმოიფხვრას ფეოდალიზმის ნაშთები, უფასოდ დაურიგდეს მიწები მილიონობით უმიწო გლეხებს, უზრუნველყოფილ იქნენ ისინი სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, თესლეულით. უნდა მოისპოს ახლანდელი საგადასახადო სისტემა, რომელიც სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არ დაკანონებულ ძარცვას. იმ დროს, როდესაც მუშები თავიანთი მათხოვრული ხელფასის 30 პროცენტს გადასახადში აძლევენ, მილიონერები იხდიან თავიანთი მოგების ერთ პროცენტზე ნაკლებს. ღარიბი გლეხი შვიდჯერ მეტ გადასახადს იხდის, ვიდრე მსხვილი მემამულე. ათობით სოფლების მფლობელი ფეოდალები, დერებეები სრულებით არ იხდიან გადასახადს.

ხალხი შიმშილისა და სენისაგან იხოცება, ფაშისტური მეჯლისი და მთავრობა კი ხალხისაგან ამოქაჩულ ფულს ამერიკულ ზარბაზნებში და ტანკებში ხარჯავენ.

გამოვგლიჯოთ თურქეთი იმპერიალისტ

მტაცებლების კლანჭებიდან! მოვსპოთ იხგლის-ამერიკის მონოპოლისტების კონტროლი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, არმიასა და კულტურაზე!

იმისათვის, რომ ვიხსნათ ხალხი იმპერიალისტური დამონებისაგან, არსებობს მხოლოდ ერთი გზა: გავაუქმოთ „ამერიკა-თურქეთის შეთანხმებანი“, დავლეწოთ ეს მონური ჯაჭვები! თურქ ხალხს სძულს აგრესიული პაქტები, მას არ სურს დაღვაროს თავისი სისხლი უცხოელთა გულისათვის!

თურქი ხალხი მოითხოვს კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის დამყარებას სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებთან და ჩვენს დიდ მეზობელთან, მშვიდობის ბურჯთან—საბჭოთა კავშირთან.

ქვეყნის სიმდიდრენი ხალხის საკეთილდღეოდ უნდა გამოვიყენოთ.

უნდა ჩავატაროთ ძირითადი სოციალური გარდაქმნანი, სამუდამოდ მოვსპოთ უმუშევრობა, შიმშილი, სიღატაკე—ახლანდელი რეჟიმის ეს აუცილებელი თანამგზავრები, გავაძლიეროთ ხალხის კეთილდღეობა, მოვაწყოთ

ჯანმრთელობის დაცვა, ფართოდ გავუღოთ სკოლებისა და უნივერსიტეტების კარები მუშებისა და გლეხების შვილებს.

უნდა უზრუნველვყოთ ხალხის ფართო მასების მონაწილეობა ჩვენი ეროვნული ცხოვრების ძირეულ გარდაქმნაში. მივცეთ საშუალება მუშათა კლასს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ახალი სახელმწიფო აპარატის შექმნაში. გავწმინდოთ სახელმწიფო მანქანა რეაქციონერებისაგან, ბნელეთის მოციქულთაგან—იმპერიალიზმის აგენტებისაგან. გავრეკოთ ფაშისტების პანთურქისტული ორგანიზაციები. გავწმინდოთ არმია ხალხის მტრებისაგან, გერმანული, ინგლისური და ამერიკული მილიტარიზმის მიერ გამოკვებილ რეაქციონერ გენერლებისა და ოფიცრებისაგან!

მშრომელებს უნდა მიეცეს შესაძლებლობა თავისუფლად შექმნან თავიანთი ორგანიზაციები. თურქმა ხალხმა უნდა დაიკავოს თავისი ადგილი მშვიდობისა და დემოკრატიის საერთაშორისო ფრონტის რიგებში!“

ამ მხურვალე სიტყვებს მალულად კითხუ-

ლობდნენ ათასობით ადამიანები და იწონებ-
დნენ მათ.

...1950 წლის პირველი მაისის წინადღე
იყო. შავი ზღვის სანაპიროზე, განსაკუთრე-
ბით ბაფრისა და ჩარშანბის რაიონებში, შიმ-
შილი მძვინვარებდა. ამერიკელებმა და მათმა
ანკარელმა მსახურებმა გააჩანაგეს თურქი
მეთამბაქოე გლეხები. დამშეული გლეხები,
კოლონებად დარაზმულნი, გაემართნენ სამ-
სუნში.

ნათელ, მზიან დღეს სამსუნის თამბაქოსა
და საფეიქრო ფაბრიკებიდან გამოყრილი მუ-
შები გამოვიდნენ ქუჩაში, რათა დაეცვათ
თავიანთი უფლებები, რათა განეცხადებინათ
თავიანთი მოთხოვნების შესახებ. უმუშევ-
რებმა დამშეულ გლეხებთან ერთად აავსეს
მოედანი ვილაიეთის სამმართველოს შენო-
ბის წინ.

— პური! სამუშაო!

მოედანი ვულკანს ჰგავდა, გუგუნებდა,
როგორც ტყის ხანძარი.

მშიერთა ეს ლაშქრობა, უმუშევართა ეს
დემონსტრაცია კომუნისტურმა პარტიამ
მოაწყო.

— ისინი, ვინც თქვენ შიმშილისა და უმუშევრობისათვის გაგწირათ, — ამბობდა ერთ-ერთი ორატორი,—ახლა ამერიკელებთან ერთად ქეიფობენ ანკარაში. ფაშისტური პარტიების მეთაურები არ დაგიდევენ ხალხის ტანჯვას, ქვეყნის ინტერესებს. თურქი მდიდრები ამერიკელებთან ერთად ძარცვავენ ხალხს...

— ხმა გააკმენდინეთ მაგას! ეგ კომუნისტია! — გაისმა ვიღაცის ცალკეული წამოძახილი.

— არ გაბედოთ! მან უნდა განაგრძოს, ილაპარაკე, ჩვენებურო!.. იგი მართალს ამბობს!—გაისმა პასუხად ასეულების ხმა.

ხალხი ხმაურობდა. მოედანზე ხალხი თანდათან მატულობდა. მოედნის ცენტრში დემონსტრანტებმა წრე შეკრეს, თითქოს კედელი აღიმართა ირგვლივ. მხრებზე ახალი ორატორი შეისვეს. ამ მაღალ, ქერათმიან მუშა-მეთამბაქოეს ყველა იცნობდა.

— დიახ, კომუნისტი ლაპარაკობდა, — მიმართა ხალხს მოედანზე მეთამბაქოემ.—მხოლოდ კომუნისტებს ესმით ჩვენი ტანჯვა და

შწუხარება.. დიახ, ხალხი თქვენკენ არის, ამხანაგო კომუნისტებო!..

თურქეთის კომუნისტური პარტია დგას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში, რომელმაც სულ უფრო და უფრო მოიცვა ხალხის ფართო ფენები. ეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ვითარდება სრულიად სხვა პირობებში, ვიდრე 1919-1920 წლებში. და თუმცა ჩვენი მტრები—იგივე ძველი მტრებია, მაგრამ ძალთა განლაგება და თანაფარდობა ახლა სხვაა. ჩვენ თუმცა ვიცავთ ჩვენი ხალხის საბრძოლო რევოლუციურ ტრადიციებს, მაგრამ ხალხთა მასებს არ მოვუწოდებთ იბრძოლონ ძველი იარაღით, ძველი მეთოდებით. ჩვენ მივდიოდით და შემდეგშიაც ვივლით ლენინიზმის ყოვლისმძლე სტრატეგიისა და ტაქტიკის გზით. ორგანიზაცია იბადება ბრძოლაში და ბრძოლით ცოცხლობს. იმისათვის, რომ მოიპოვო გამარჯვება მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, აუცილებელია შეაერთო, დარაზმო ხალხის მასები.

ჩვენი პარტია ბოლომდის, მტკიცედ და თანმიმდევრობით იცავდა, იცავს და მომავალშიაც დაიცავს მთელი ერის ინტერესებს, რომლებიც სულ უფრო მჭიდროდ ენასკვება პროლეტარიატის ინტერესებს. თურქეთის კომუნისტური პარტია ხალხის გულში წარმოიშვა.

თურქეთის კომუნისტურმა პარტიამ მძიმე წლები განიცადა და მომავალშიც კიდევ ბევრი მძიმე დღე მოელის მას. ამერიკული მონობისა და რეაქციის გამცემლობის წინააღმდეგ ბრძოლაში კომპარტია ხალხის მედროშე გახდა. თურქეთის მუშათა კლასი ამაყობს თავისი კომუნისტური პარტიით. კომუნისტური პარტიის რიგები განუწყვეტლივ იზრდება ახალი მებრძოლებით.

„ციხეში ჯდომა სიყოჩაღე როდია; სიყოჩაღე იმაშია, რომ ყოველთვის და ყველგან იბრძოლო“,—ამბობენ ჩვენს პარტიაში.

მრავალი ამხანაგი რამდენიმეჯერ გამოიქცა ციხიდან, გადასახლებიდან. ისინი იმალებოდნენ, მიდიოდნენ იატაკქვეშეთში. უმძიმეს პირობებში ისინი ღირსეულად ას-

რულებენ პარტიის მიერ დავალებულ საქმეს.

მე თურქეთის კომუნისტური პარტიის რიგითი მებრძოლი ვარ. მეც მოვახერხე გამოვქცეულიყავი, დამეღწია თავი მეციხოვნეთა, პოლიციის, ჟანდარმების კლანჭებისგან. მე კვლავ ხალხის შუაგულში, ხალხის ზღვაში ვარ! მე ისევ ბრძოლის ველზე ვარ!

სტამბოლი,
კულაქსიზი. 1950 წ.

ბოღოსიტყვაობა ქართული გამოცემისათვის

ქართველ ხალხს, ცხადია, აინტერესებს თავისი სამხრეთელი მეზობელ სახელმწიფოში არსებული ვითარება. მით უმეტეს, რომ საუკუნეთა მანძილზე თურქებმა დიდი ზიანი მიაყენეს ჩვენს ხალხს. მრავალი ახალგაზრდა ჭაბუკი, თვალწარმტაცი ქალწული, სახლი და მდელო, ვაზი და ხეხილი იმსხვერპლა თურქმა მტარვალმა. ჩვენი სახელმწიფოებრიობის აკვანი და კულტურის კერა, საქართველოს სამხრეთი რაიონები, უდაბნოდ აქციეს სულთანთა იანიჩარებმა. მხოლოდ დიდ და მძლავრ რუსეთთან კავშირმა იხსნა საქართველო თურქეთისა და ირანის დამპყრობთა თარეშისაგან და გადაარჩინა ჩვენი ხალხი ეროვნული და ფიზიკური განადგურებისაგან.

უეჭველად დიდი ინტერესით გაეცნობა მკითხველი უსთიუნგელის ჩანაწერებს. ამ ფურცლებზე, როგორც სარკეში, მოჩანს ქემალისტთა შემწეობით ამერიკულ კოლონიად გადაქცეული თურქეთის სახე.

უსთიუნგელის თხრობა 1950 წლის ამბებით წყდება. მას შემდეგ ორმა წელმა განვლო და თურქეთში არაფერი შეცვლილა. პირიქით, თურქეთის ამერიკული კოლონიად გადაქცევის პროცესი უფრო ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. თურქეთი, რომელსაც გეოგრაფიულად

ისე არაფერი აკავშირებს ატლანტიკის ოკეანესთან როგორც მთვარეს სტამბოლთან, 1952 წლის დამდეგიდან ჩრდილო ატლანტიკის აგრესიული კავშირის ერთ-ერთი წევრი გახდა.

თურქეთს მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობა აქვს ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმისათვის. ამიტომ არის, რომ ამერიკელი იმპერიალისტები დიდი ხანია ოცნებობენ თურქეთში დამკვიდრებას. ამერიკელებმა თურქეთი დასერეს სამხედრო მნიშვნელობის გზებით, თურქ გლეხებს მშობლიური მიწა-წყლიდან ერეკებიან, რომ იქ ამერიკული აეროდრომები გააშენონ. ნავსადგურების მშენებლობა-რეკონსტრუქციისათვის მილიონობით დოლარი იხარჯება. თურქეთის წყლებში ამერიკისა და ინგლისის სამხედრო ესკადრების თავისუფალი თარეშის უზრუნველყოფა სურთ ახალი ომის გამჩაღებლებს. „თურქეთი უკვე დიდი ხანია გადაიქცა იმ ბუდედ, სადაც იმპერიალიზმი ამერიკელ ინგლისელი სვავები ეწევიან მტრულ ანტისაბჭოთა მუშაობას, ძირგამომთხრელ საქმიანობასა და ინტრიგებს ახლო აღმოსავლეთში და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“ (ა. მ გ ე ლ ა ძ ე).

თურქეთზე დიდ იმედებს ამყარებენ „შავი ჭირის გენერალი“ რიჯუეი, დიუნკერკთან სამარცხვინოდ დამარცხებული და გამოქცეული ინგლისის მარშალი მონტგომერი. ერთიც და მეორეც თურქეთის ხშირი სტუმრები ხრიან. ისინი ერთმანეთს ექიშპებიან და სურთ თურქეთი თავიანთი ავანტიურისტული გეგმების განხორციელებისათვის გამოიყენონ. ამერიკელები აი-

არაღებენ და საბრძოლო მწყობრში შეჰყავთ თურქ იანიჩართა დივიზიები. მიუხედავად იმისა, რომ თურქებს კორეაში კუდით ქვა ასროლინეს და მრავალმა ანკარელმა იანიჩარმა კორეაში სამარის მეტი ვერაფერი მოიპოვა, პენტაგონის აგენტები არ იშლიან და თურქეთიდან ახალ და ახალ საკლ-ვს გზავნიან კორეის ფრონტზე. რიჯუეის სურს თურქეთის ჯარები გამოიყენოს ევროპის ხალხთა წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორც დამკვრელი საპოლიციო ძალა. თურქეთი აქტიურად თანამშრომლობს ათენელ მონარქისტ-ფაშისტებთან და ობერ-ბანდიტთან — სისხლიან ჯალათ ტიტოსთან.

რესპუბლიკური თურქეთი არაფრით განირჩევა ყაჩაღ სულთანთა სამფლობელოსაგან. ქემალისტებს ოდნავადაც არ მეუცვლიათ სულთანის სახელმწიფო აპარატი. გუბერნატორ-ვალებმა მხოლოდ ტანსაცმელი გამოიცვალეს და გვარები გადაიკეთეს. ბიუროკრატიული პოლიტიკური სისტემა კი ხელუხლებელი დარჩა. თურქეთი მოფენილია სატუსაღოებით. პატარა თურქეთში 460 საპყრობილეა. ამ საპყრობილეებში შუასაუკუნოებრივი იანიჩარული რეჟიმი სუფევს, ცოტაოდენ მოდერნიზირებული ჯერ გესტაპოელებისა და ახლა კი კოჯედოსა და პონგანის ჯალათების კარნახით.

შკითხველი, ალბათ, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა უსთიუნგელის ჩანაწერებს, სადაც მოთხრობილია სასტიკ ეროვნულ ჩაგვრაზე, რომელსაც ადგილი აქვს თურქეთში. ქემალისტები მშობლიურ სოფ-

ლებიდან ერეკებიან ლაზებს, სწვავენ და ანადგურებენ მათ სოფლებს. ქემალისტები ამ საქმეში არ ჩამოუვარდებიან თავის წინაპარ სულთანებს. ინენიუ და ბაიარები ძალით ათურქებენ ლაზებს, ქურთებს, სომხებს, ქლეტენ და აწიოკებენ მათ.

ლაზებით სავსეა თურქეთის საპყრობილეები. უსთიუნგელი დიდი სიმპათიით მოგვითხრობს ლაზების კეთილშობილებაზე, ვაჟკაცობაზე, მათ გულღია მეგობრობაზე, რევოლუციურ განწყობილებაზე. ლაზები განიცდიან ორმაგ სასტიკ ჩაგვრას—სოციალურს და ეროვნულს. თურქი ასიმილიატორები აგერ მეხუთე საუკუნეა ცდილობენ გაათურქონ ლაზები, დაავიწყონ მათ დედაენა. მაგრამ ამ ყველაზე სასტიკმა ასიმილიატორებმა აქაც, ისე როგორც, მაგალითად, ბულგარეთში, მარცხი განიცადეს. ლაზებს უკვე მრავალი საუკუნეა წაართვეს ქართული სკოლა, ქართული წიგნი, მოწყვიტეს დედა-საქართველოს და მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მშობლიურ ენაზე ლაპარაკობენ. უსთიუნგელი მოგვითხრობს ერთ ახალგაზრდა პატიმარ ლაზზე, რომელმაც არც ერთი თურქული სიტყვა არ იცოდა. უსთიუნგელი იმასაც შენიშნავს, რომ ლაზებს თავისი ნაციონალური ტანსაცმელი აქვთ, რომ გარეგნობით ისინი მკვეთრად განირჩევიან თურქებისაგან.

ანკარელი ვაშინგტონის ლაქიები ახალი სამხედრო ავანტიურებისთვის ემზადებიან. ისინი ოცნებობენ რაღაც „დიდ თურქეთზე". პანთურქისტები ბოდავენ ჩვენ კავკასიონს გადავლახავთ, დუნაის პირას მივალთო. ისინი ყოველ კუთხეში გაჰკივიან, რომ მზად არიან

საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომისათვის. მაგრამ ამერიკელი იმპერიალისტების ამ თავგასულ მეკობრეებს ავიწყდებათ მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესის ბანაკის უძლეველობა. ისინი ანგარიშს არ უწევენ საკუთარი ხალხის უმრავლესობას, რომელსაც ყველაზე ნაკლებად აწყობს ავანტიურები. თურქეთის მუშასა და გლეხს ომი არ სურთ. მათ პური უნდათ, ისინი მიწას არიან მონატრებულნი, ისინი თურქეთის დამოუკიდებლობაზე, თავისუფლებაზე ოცნებობენ.

უ თიუნგელი მოგვითხრობს იმ შეუპოვარ გმირულ ბრძოლაზე, რომელსაც თურქი კომუნისტები ეწევიან თავიანთ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის, მშობლიური მიწა-ჭყლიდან ამერიკელების გაძევებისათვის. უსთიუნგელი იმედს გამოთქვამს, რომ თურქი ხალხისა და მისი მოწინავე რაზმის, კომუნისტების ეს ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდება.

უსთიუნგელის ჩანაწერები ქარიელულ ენაზე თარგმნილია რუსულიდან და გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა ტრანსკრიპცია რიგ შემთხვევაში მისდევს რუსულს.

ელ. მაჭავარიანი

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
წინასიტყვაობა (3-დან—120 გვ.-დე თარგმნა გრ. მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ მ ა)	3
ფოტოგრაფიის წიგნაკი	9
აქ ქუჩებზე მიჰქონდათ სანდიუჩი	13
მედილიგეები	16
„მარადიული ქვა"	20
საპყრობილეს ეზო	25
უბრძოლველად ჩვენთვის არც ჰაერია, არც მზე	28
ხილი ნი კალათა	34
ხალხი ანგარიშს წარუდგენს	38
მეგობარი	42
მეზობელ საკნებში	47
ეს ნახვა კი არა—განშორეპაა	49
დაუფლეთელი იალქნებით შევდივართ ზღვაში	52
კარგია... ამხანაგებო... ბრძოლა	57
თაშჩი ხასანმა უანდერძა ეს თავის შვილებს	62
„ჩეთე"	68
ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს	69
მეჯლისის დეპუტატი	73
ვმღერით	75
გველი [illegible] ფთარი	79
ინ[illegible]ია	85
ჩ[illegible] [illegible] ია[illegible]ალი	89
7 ნოემბერი	95
ე[illegible] [illegible]ოვალ[illegible]ობისადმი	102

არწივი ჯაჭვებში 106
საპყრობილეები ვერ გასტეხენ ბრძოლისადმი სურ-
ვილს 112
ოთხმოცდამეცხრამეტეჯერ 117
პატიმრების ნაამბობი 120
„თეთრი მატარებელი" (120-დან—220 გვ.-დე
თარგნა თ. შავიშვილმა) 120
„ხმამაღლა მოლაპარაკე" 121
„ქალალდის ფრანი" 123
კომკავშირლები 124
მასების სათავეში 126
ღელი მკერდზე 130
პური, ექიმი და ოქროს ლირა 133
პირველი შემთხვევა აქაურ საპყრობილეში . . . 139
გამარჯობა სტამბოლო 145
დერბედერ ხასანის ნაამბობი 149
ოქროს რქა—თურქეთის მუშათა მოძრაობის აკვა-
ნია 151
„საზღვაო კლუბი" 158
სამუშაოდან დაბრუნებისას 163
პირველი გამოცდა 169
დაბადების დღე 172
აირჩიე, რაც გინდა!.. 175
მათ ზურგს უმაგრებს ამერიკა 181
ბელგეთოფლარის ჩანაწერები 185
რისი ეშინიათ? 190
„ორმოცი ყაჩაღი" 199
გუშინ და დღეს 201
ძარცვა 206
ხალხი განაგრძობს ბრძოლას 208
დამოუკიდებლობის ქუჩა 213
რისთვის ვიბრძვით 220